პარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

9 ივლისი **პარასკევი** 2010
№ 159 (13 147) ფასი 60 თეთრი



## ფაჩულია და ცქიტიშვილი ნაკრებს შეუერთდნენ

» გვერდი 12

## დინამო და ზესტაფონი წულებით გავიდნენ

» გვერდი 9

ლეგიონი გუშინ...

## ორი გოლი და ერთიც საგოლე



უნგრულმა დიორიმ ანგარიში რატი ალექსიძის გოლით გაათანაბრა

გუშინ ევროპის ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩებში ჩვენმა ლეგიონერებმაც ითამაშეს. **გიორგი ადამია** სკოპიეს „მეტალურგის" წინააღმდეგ მაკედონიაშიც სასტარტოში იყო. ის 83-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო მისმა „ყარაბახმა" 1:1 ითამაშა და ორი მატჩის ჯამში (5:2) შემდგომ ეტაპზე გავიდა. შეგახსენებთ, რომ პირველ მატჩში ადამიამ გოლი გაიტანა, ამ თამაშში კი საგოლე პასით დაკმაყოფილდა.

მეორე აზერბაიჯანული კლუბი „ხაზარი" კი გათამაშებიდან მოლდოვურმა „ოლიმპიამ" გამოთიშა. **დავით იმედაშვილის** გუნდი მეტოქეს შინ დაუზავდა (1:1) და ორი მატჩის ჯამში, აზერბაიჯანში გატანილი გოლის წყალობით, მომდევნო სტადიაზე მოლდოველები გავიდნენ. იმედაშვილმა სრულად ითამაშა და მატჩის ბოლოს ყვითელი ბარათიც მიიღო.

ებრაულმა „ბნეი იეჰუდამ" შინ 1:0 დაამარცხა სომხური „ულისი" და ორი მატჩის ჯამში ამავე ანგარიშით გააგდო გათამაშებიდან. **გიორგი კრასოვსკიმ** და **თენგიზ უგრეხელიძემ** სტუმართა რიგებში შეუცვლელად ითამაშეს, **გაგა თიბილაშვილი** კი 67-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო ხუთ წუთში მოედანზე **შოთა ჯიქიაც** გამოჩნდა...

მოლდოვური „დაჩია", რომელსაც წინა მატჩში გაძევებული **დავით გამეზარდაშვილი** აკლდა, 0:0 ითამაშა „ზეტასთან" და სტუმრად გატანილი გოლის ხარჯზე შემდგომ ეტაპზე გავიდა. მოლდოველთა შორის **ლევან კორღალიძემ** 84-ე წუთამდე ითამაშა, **ვასილ ლუჭაშვილი** ბოლო წუთზე გამოიყვანეს, ხოლო **მამუკა ლომიძე** არ შეუცვლიათ.

უნგრულმა „დიორი ეტომ" 3:1 (ჯამში 5:3) მოუგო „ნიტრას" და ისიც აგრძელებს წინსვლას. ამ მატჩში ანგარიში **რატი ალექსიძემ** გაათანაბრა (22-ე წუთზე), 75-ე წუთზე ვეტერანი ქართველი ფორვარდი შეცვალეს, **თეიმურაზ შარაშენიძე** კი მასპინძელთა სათადარიგო სკამზე იჯდა.

დაბოლოს რუსეთის ჩემპიონატი. იქაური პრემიერლიგის მე-12 ტურის მატჩში ნალჩიკის „სპარტაკმა" შინ 2:1 მოუგო „ტერეკს". მასპინძელთა შორის 90 წუთი ითამაშა **დავით სირაძემ**, **გოგიტა გოგუა** კი 65-ე წუთზე ჩაერთო თამაშში, სტუმართა შორის მეორე ტაიმი ითამაშა **ლევან გვაზავამ**. სწორედ მან გაიტანა „ტერეკის" ერთადერთი გოლი - 5 წუთის გამოსულმა ქართველმა საჯარიმოს რკალიდან კუთხეში შეაგდო. გოგუამ კი 25 წუთი ითამაშა და მაინც მოასწრო ყვითელი ბარათის მიღება. სირაძემ და გვაზავამ championat.ru-სგან 6-6 ბალი მიიღეს, გოგუამ - 5,5.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ფოტო: www.police.ge

## სამართალდამცავებმა ქურდული ტრადიციების მიმდევრობაში ეჭვმიტანილები, მათ შორის, ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე დააკავეს

თბილისის მთავარი სამმართველოს და კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა თბილისში ქურდული ტრადიციების მიმდევრობაში ეჭვმიტანილი რამდენიმე პირი დააკავეს.

შსს-ს ცნობით, დაკავებულები არიან ქურდული ტრადიციების მატარებლები: დავით გაგნიძე, გიორგი დემეტრაძე და კახა მისირელი. დაკავების დროს მათგან ამოღებულია ერთ-ერთი მოქალაქისგან მიღებული 40 700 აშშ დოლარი, რომელიც მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატთან დაკავშირებით ე.წ „მაზით" 140 000 აშშ დოლარი მოგებული ჰქონდა დავით ფეიქრიშვილს.

გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული თანხის ამოსაღებად უკრაინიდან სატელეფონო საუბრებით ჩაერთო წარსულში ნასამართლევი ვატო ყიფიანი, რომელიც დაუკავშირდა თბილისში მყოფ დავით გაგნიძეს, გიორგი დემეტრაძეს და კახა მისირელს და მათი საშუალებით, ქურდული გარჩევებით ცდილობდა აღნიშნული თანხის ამოღებას და ნაწილის ე.წ. ქურდულ „ობშიაკში" გადარიცხვას. ვატო ყიფიანს მოგებული თანხის 30 000 აშშ დოლარი ამოღებული ჰქონდა უკრაინაში და ცდილობდა დარჩენილი თანხის, 40 700 აშშ დოლარის გადაცემას დავით ფეიქრიშვილისთვის, რა დროსაც მოხდა აღნიშნული პირების დაკავება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით. კახა მისირელის პირადი ჩხრეკის შედეგად ამოღებულია „გლოკის" ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო ბინის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია: „მაუზერის" და „იერიხოს" ტიპის ცეცხლსასროლი იარაღები, ხელყუმბარა და საბრძოლო ვაზნები, ხოლო დავით გაგნიძის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები.

რადგან ვახტანგ ყიფიანი ამჟამად იმყოფება უკრაინაში, მას დაუსწრებლად წარედგინა ბრალდება 223-ე პრიმა მუხლის 1-ლი ნაწილით.

გამოძიებას აწარმოებს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო.

*ინტერპრესნიუსი*

*P.S. გუშინვე გიორგი დემეტრაძეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა*

## თემურ მახარაძე

## ჩვენში მოღალატეებს რა გამოლევს?!

მოდებაძე ოლიმპის ლიდერი გახდა. ვანგა ვარგა, მაგრამ... ფინანსები...

ინტერვიუ ოლიმპის მთავარ მწვრთნელთან » გვერდი 8







## იოჰან კრუიფი

## ჰოლანდიაც და ესპანეთიც ორი წლის წინ უფრო მომწონდა

» გვერდი 4,6

# ...და მაინც, გადამწყვეტი პუიოლის თავია

## ბრწყინვალე ტაქტიკური სპექტაკლი და დიდებული მსახიობები

**უნგრელმა ვიქტორ კასაიმ საფინალოდ ჩასტვინა და ესპანეთის ქალაქებში ზარ-ზეიმი დაიწყო. თითქმის ყველა ქალაქში გულშემატკივრებმა გვიან ღამემდე მოილხინეს, აივნებზე გადმოფინეს ესპანეთის დროშები. ფიესტაში მილიონობით ესპანელმა მიიღო მონაწილეობა.**


კარლეს პუიოლის თავურმა ესპანეთის ნაკრებს ფინალის ბილეთი მოაპოვებინა

ესპანეთის ნაკრები ისტორიაში პირველად გავიდა მუნდიალის ფინალში. ორი გოლიათის რკენაში გადამწყვეტი **კარლეს პუიოლის** თავური გამოდგა. „ფურია როხას" უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ის ყველამ აღიარა, უპირველესად კი თავად დამარცხებულმა გუნდმა. მოკლედ, **ვისენტე დელ ბოსკე**, რომელიც პირველი მარცხის შემდეგ კრიტიკის ქარ-ცეცხლში მოექცა, მსოფლიოს ჩემპიონატს ტრიუმფატორად ასრულებს, მისმა განვრთნილმა გუნდმა უკვე შექმნა ესპანური ფეხბურთის ისტორია. არადა დელ ბოსკეს შვეიცარიასთან მატჩის შემდეგ „ლა როხას" ყოფილი თავკაცი **ლუის არაგონესიც** კი აკრიტიკებდა.

ესპანეთის ნაკრების საუკეთესო შედეგი მუნდიალზე მე-4 ადგილია და ისიც ძალიან დიდი ხნის ამბავია, „ფურია როხა" მეოთხეზე 1950 წელს გავიდა, 60 წლის წინათ! ახლა კი გუნდი ახალი, უმთავრესი მწვერვალისკენ მიილტვის, ევროპის მოქმედ ჩემპიონს ერთი ნაბიჯიღა აშორებს მსოფლიოს ჩემპიონობამდე, თანაც ფინალის წინ ფავორიტად მიიჩნევა. დიდებული ფინალი გველის, მატჩი, რომელიც პლანეტას, ახალ, მერვე ჩემპიონს აჩუქებს. ჰოლანდიის ნაკრები 32 წელიწადია ფინალში არ ყოფილა, ესპანეთზე კი უკვე მოგახსენეთ, ფინალი საერთოდ არ უთამაშია...

გერმანიასთან მოგების შემდეგ დელ ბოსკემ ესპანელთა წარმატების ფორმულაზე ილაპარაკა. მისი აზრით, ყველაფერი „მარტივადაა" - გუნდი ორგანიზებული ნახევარდაცვის წყალობით იგებს, სადაც თითოეული ფეხბურთელის ინდივიდუალური მონაცემები მაქსიმალურად გამოიყენება. ამასთან ერთად ნაკრებში მართლაც დიდებული ფეხბურთელები არიან, რომელთაც ყველაფერი იოლად გამოსდით. სათქმელად მართლაც იოლია...

*„თითოეული ჩვენი ფეხბურთელი ექსტრაორდინარული იყო მოედანზე. ჰოლანდიური ფეხბურთი კარგად ვიცით და ამ ნაკრების ძალაც კარგად მოგვეხსენება. მოკლედ, წინ დიდი თამაშია. დაცვიდან დაწყებული, შეტევით დასრულებული, ყველამ საუცხოოდ ითამაშა. ჩვენმა გუნდმა დიდებული თამაში აჩუქა მაყურებელს. ერთი და მთავარი შეხვედრა წინაა. მოდი, ვნახოთ, შევძლებთ ამ მატჩშიც ბურთის კონტროლის მოპოვებას? ფიზიკურად გუნდი ამისთვის მზადაა. ვნახოთ, გუნდი მონდომებულია, რომ მუნდიალი მოიგოს"*, - განაცხადა დელ ბოსკემ.

### პოზიციურ ბრძოლა

მოდი, ნახევარფინალური მატჩი პოზიციების მიხედვით შევაფასოთ, ჯერ წაგებული გუნდით დავიწყოთ. დაცვა (აქ მეკარეებიც შედის): მართალია, **პერ მერტეზაკერი** საკმაოდ მაღალი მცველია, მაგრამ ამის მიუხედავად ის საოცრად სხარტია, პლუს გამოცდილია. მერტეზაკერი კარგად უმკლავდებოდა ესპანელთა შეტევებს. მან ხშირად ჩაჭრა მეტოქის ეშმაკური პასები. გერმანელთა ახალგაზრდა გოლკიპერ **მანუელ ნოიერსაც** საქმე არ გაუფუჭებია, მისი დამსახურებაცაა, რომ „მანშაფტი" ბოლომდე ინარჩუნებდა შანსს. **ფრიდრიხი** ის კაცია, რომელმაც **პედროს** საშიში შეტევა აღკვეთა. აი, **ბოატენგი** კი მოისუსტებდა, ის ბევრჯერ შეცდა და **სერხიო რამოსთანაც** წააგო დუელი. ესპანელებმა ეს იგრძნეს მისი ფლანგიდან შეტევებს მოუხშირეს. ბოატენგი სწორედ ის ფეხბურთელია, რომლის შეცვლაც **იოახიმ ლიოვს** მალე დასჭირდა.

ნახევარდაცვა: **თომას მიულერის** არყოფნაში, მთელი დატვირთვა **ბასტიან შვაინშტაიგერის** მხრებზე იყო. ბასტიანი ბასტიონივით იდგა და ესპანელთა დაუსრულებელ შეტევებს იგერიებდა. მისდა სამწუხაროდ, წინ წასვლის არც დრო და არც შესაძლებლობა გერმანელთა ლიდერს არ ჰქონდა. **მესუთ იოზილმა** ერთი ორჯერ გაიბრწყინა, მაგრამ მას აკლდა თანაგუნდელებთან ურთიერთგაგება და პასის სიზუსტე. ერთ ეპიზოდში დრიბლინგით მოინდომა ესპანეთის დაცვის გავლა და ამით მოკლა გერმანელთა იშვიათი შეტევა. გოლის ეპიზოდში **ხედირამ** დაკარგა პოზიცია. იმ მომენტში **ჟერარდ პიკეს** და კარლეს პუიოლს გაცილებით უკეთესი პოზიცია ჰქონდათ, ორივე შემართული იყო დასარტყამად. მარტივად, რომ ვთქვათ გუნდი, რომელიც ამხელა უპირატესობას ფლობს სიმაღლეში, ამ კომპონენტში არ უნდა დაჩაგრულიყო.

თავდასხმა: **მიროსლავ კლოზე** ისევ ისეთი კარგი ფორვარდია, უბრალოდ მას ნაკლებად ჰქონდა თავის გამოჩენის შანსი. მეორე ტაიმში გერმანიის ნაკრები გააქტიურდა და კლოზეც უფრო საშიში გახდა. გერმანელებმა მაინცდამაინც ვერ შეაწუხეს მეტოქის მეკარე. **ტროხოვსკის** ჰქონდა ერთი შანსი და ერთიც ახლად შესულ **კროოსს**, რომელსაც აშკარად უკეთ უნდა დაერტყა იმ ეპიზოდში.

მწვრთნელი: ლიოვმა თამაში „ჩააგდო". მას ვიზუალურადაც ეტყობოდა, რომ პანიკაში იყო და ეს გუნდს თვითრწმენას ულახავდა. ტაქტიკური არსენალით მდიდარ მწვრთნელს, არ აღმოაჩნდა თუნდაც ერთი პასუხი ესპანელთა ტოტალური კონტროლის წინააღმდეგ. ლიოვმა სწორად შეამჩნია, რომ ბოატენგი დაიჩაგრა და უმალ შეცვალა კიდეც, მაგრამ თუ კროოსის ერთ დარტყმას არ ჩავთვლით, მისმა სათაგარიგოებმა მატჩს ვერაფერი დაატყვეს.

ესპანეთის ნაკრები, დაცვა: ესპანეთის ნაკრების დაცვამ დიდებულად ითამაშა, თუმცა ერთის გამოყოფა მაინც შეგვიძლია - კარლეს პუიოლი ერთი თავით სჯობდა ყველას. მარტო გადამწყვეტ გოლს არ ვგულისხმობთ, მისმა ბრწყინვალე თამაშმა დაცვაში გერმანელებს ბევრი კონტრშეტევა ჩაუშალა. დაცვის ცენტრში მის პარტნიორ პიკესაც ყველაფერი კარგად გამოსდიოდა. მართალია, პიკე ერთი-ორჯერ შეცდა კიდეც, მაგრამ მისი დამსახურებაცაა, რომ ბოლოსკენ გერმანელთა მუდმივი ჩაწოდებები ადრესატამდე ვერ მიდიოდა.

ნახევარდაცვა: **ჩავი** და **ინიესტა** მშვიდად და მიზანმიმართულად შლიდნენ გერმანულ ბასტიონს. განსაკუთრებით აღსანიშნავია **სერხიო ბუსკეტსის** დიდებული თამაში. ფეხბურთელი, რომელსაც არ ახასიათებს ეფექტური პასები და ნაკლებად კრეატიულია შეტევაში, მუდამ თანაგუნდელების ჩრდილშია, მაგრამ ბუსკეტსმა თავისი საქმე ხუთიანზე შეასრულა - მას მეტოქის შეტევების ჩანასახშივე მოკვლა და ესპანელთა იერიშების დაწყება ევალებოდა. ბუსკეტსმა მართლაც გაუიოლა დაცვის ოთხეულს საქმე, შედეგად კი მათი შეტევებში ხშირი ჩართვები მივიღეთ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო, რადგან ამ მუნდიალმა გვაჩვენა, რომ გერმანიის ნაკრებს სხვებზე უკეთ გამოსდიოდა, შეტევაში წასული მეტოქის ნელში გატეხვა.

რომ ვთქვათ, **ჩაბი ალონსომ** ცუდად ითამაშაო, მეტისმეტად არაობიექტურები ვიქნებით, მაგრამ სხვების ფონზე, ბასკმა მართლაც ნაკლები სარგებელი მოუტანა ნაკრებს გერმანიასთან მატჩში. მან ერთხელაც ვერ დაარტყა კარში ზუსტად, რანდენჯერმე კი იოლად დაკარგა ბურთი.

თავდასხმა: პედრო ვისენტე დელ ბოსკეს სიურპრიზი იყო, რომელმაც გაამართლა. მან ერთადერთი შეცდომა დაუშვა, როცა პასის მიცემა დაენანა **ფერნანდო ტორესისთვის**. სხვა მხრივ, კი გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ესპანეთის ნაკრებში აქამდე გამორჩეული **დავიდ ვილია** იყო, მაგრამ ცენტრფორვარდის პოზიციაზე მუნდიალზე პირველად დაიწყო მან და ისე კარგადაც ვერ ითამაშა, როგორც წინა მატჩებში.

მწვრთნელი: ესპანეთმა მოიგო და დელ ბოსკეს არავინ გააკრიტიკებს. არადა სხვა შედეგის შემთხვევაში მას აუცილებლად გაახსენებდნენ, რომ სკამზე **სესკ ფაბრეგასი** უზის. თამაშამდე დელ ბოსკეს არჩეული ტაქტიკა საეჭვოდ მოსჩანდა, მაგრამ რეალურად სწორედ ამან „იმუშავა" ფანტასტიკურად. პედროს დაწინაურება დელ ბოსკეს მთავარი იარაღი გამოდგა.

და მაინც, რა იყო უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელმაც ესპანელთა ტრიუმფი განაპირობა? გოლი ცვლის თამაშს და მით უმეტეს ასეთ თამაშს. ასე რომ, კაცმა არ იცის, შეძლებდა კი დელ ბოსკეს კარგად აწყობილი და დიდებულად მოთამაშე გუნდი გამარჯვების მიღწევას, რომ არა პუიოლის თავური...

### საეჭვო ეპიზოდები

ეს ის მუნდიალია, რომლის შესახებ მოყოლისას ფეხბურთელებზე არანაკლებ მსაჯების შეცდომებზე საუბრობენ. ამ მატჩშიც იყო რამდენიმე საეჭვო ეპიზოდი. თითქოსდა, სხვა თამაშების ფონზე გერმანია-ესპანეთი მშვიდი გამოდგა უნგრელი რეფერის, ვიქტორ კასაის გუნდისთვის. კასაი კარგად უძღვებოდა თამაშს და ფეხბურთელებს თამაშში ხელს არ უშლიდა, არ იყო მონადინებული მაინცდამაინც ყვითელი ბარათით დაესაჯა ფეხბურთელი, როგორც ზედმეტად შემართულ მსაჯებს ემართებათ ხოლმე, შეხვედრაც არ გამოდგა უხეში.

პირველი სადავო ეპიზოდი ტაიმის ბოლოს იყო, როცა ესპანელთა კარის დასალაშქრავად შემართულ იოზილს ხელი რამოსმა შეუშალა. გამეორებამ აჩვენა, რომ სანამ იოზილი საჯარიმოში შევარდებოდა ფეხბურთელებს შორის იყო კონტაქტი, თუმცა მსაჯი იქვე იყო და კარგად ხედავდა ეპიზოდს. კასაი მართალია თამაში რომ არ გააჩერა, კონტაქტი მინიმალური იყო და ჩანდა, რომ არც განზრახ წასულა რამოსი წესის დარღვევაზე. მუნდიალის ნახევარფინალის ასეთ დაძაბულ ფაზაში, ასეთი ჯარიმის დანიშვნა უფრო მეტ სასაუბროს და საკამათოს გახდიდა ეპიზოდს.

მეორე ტაიმში იგივე სცენარი გამეორდა, 63-ე წუთზე ინციდენტის მონაწილენი **პოდოლსკი** და ისევ რამოსი იყვნენ. გამეორებამ აჩვენა, კასაი მართალი იყო, რომ არ დანიშნა პენალტი. ფეხბურთელებს შორის კონტაქტი მას შემდეგ დაფიქსირდა, რაც პოდოლსკიმ ბურთზე ყოველგვარი კონტროლი დაკარგა. მსაჯი უნაკლოდ ვერასოდეს იმსაჯებს მატჩში, მაგრამ კასაი მხოლოდ ქების ღირსია.

### ტაქტიკური შოუ

საერთო ჯამში, გერმანია-ესპანეთის ნახევარფინალი ბრწყინვალე ტაქტიკური სპექტაკლი გამოდგა. პირველი ტაიმი გაცილებით დაძაბული იყო, მეორეში კი შედარებით „გახსნილი" თამაში ვიხილეთ, რადგან ორივე გუნდს მოგება სურდა. მთავარი ალბათ ისაა, რომ გერმანელთა ლიდერები: შვაინშტაიგერი, ხედირა და იოზილი ჯერაც ახალგაზრდები არიან და მათ კიდევ ბევრი აქვთ სასწავლი, მაშინ როცა ჩაბი ალონსო, ჩავი და ინიესტა, უკვე დალვინებულები არიან, რომლებიც ბურთთან ურთიერთობაში ბევრად უკეთ გრძნობენ თავს, ვიდრე მათი მეტოქეები.

აღსანიშნავია, ერთი „დეტალიც" - ესპანეთის ნაკრების 11 სასტარტოდან 7 „ბარსელონას" წარმომადგენელი იყო, 3 „რეალის", ხოლო მხოლოდ **ხოან კაპდევილა** სხვა გუნდის („ვილიარეალი"). თამამად შეიძლება ითქვას, რომ „ბარსელონა" ესპანეთის ნაკრების საბაზო გუნდია. „ბარსელონური" დესანტის წყალობით „ფურია როხამ" დიდ წარმატებას მიაღწია. გვახსენდება 1986 წელი, როცა **ვალერი ლობანოვსკიმ** სსრკ-ს ნაკრებში 12 ფეხბურთელი შეიყვანა კიევის „დინამოდან".

---

**ფინალი**

### ვერდიქტს ვები გამოიტანს

მაშ ასე, 11 ივლისს იოჰანესბურგში დიდი მატჩია, რომელიც მსოფლიოს მერვე ჩემპიონს შობს - ესპანეთი ჰოლანდიის წინააღმდეგ. შეხვედრას კი ინგლისელი არბიტრი **ჰოვარდ ვები** განსჯის. მოკლედ, ვები ნამდვილი ტრიუმფატორია - ჩემპიონთა ლიგის ფინალიც ხომ მან იმსაჯა. სხვათა შორის, მუნდიალის პირველ მატჩში, რომელიც ესპანელებმა შვეიცარიის ნაკრების წინააღმდეგ მოულოდნელად წააგო, ჰოვარდ ვებმა იმსაჯა...

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლოგიკა და კანონზომიერება

...სადაც კი გაიხედავთ, ყველგან ერთსა და იმავეს მოისმენთ თუ წაიკითხავთ: ამ მუნდიალზე უჩვეულოდ ბევრი სიურპრიზი მოხდაო; ჰო. სპეციალისტების, გულშემატკივრებისა თუ ჟურნალისტების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა იმ აზრზეა, რომ მსოფლიოს XIX ჩემპიონატი მეტისმეტად სენსაციურად მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, ყველა იმას გულისხმობს, თუ როგორ ადრეულ ეტაპზე გამოეთიშნენ ასპარეზობას იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებები, რა მტკივნეული მარცხი ინვნიეს ინგლისისა და არგენტინის ნაკრებებმა, აღარაფერს ვამბობთ ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტ, ბრაზილიის ნაკრებზე, - ზედიზედ მეორედ მეოთხედფინალში რომ ამთავრებს ასპარეზობას. თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ნახევარფინალშიც და შემდეგ უკვე ფინალშიც, ღირსეული გუნდები გავიდნენ! ანუ, ჰოლანდიის, ურუგვაის, გერმანიისა და ესპანეთის ნაკრებებმა ნახევარფინალის საგზურიც დამსახურებულად მოიპოვეს და იმავეს ვიტყოდით ორ ფინალისტზეც. საერთოდაც, სენსაცია, სიურპრიზი თუ მოულოდნელობა ჯგუფურ ეტაპზე შეიძლება მოხდეს; არ არის ხოლმე გამორიცხული, როცა მერვედფინალებიდან ერთ-ერთი მატჩი, ცოტა არ იყოს, ალოგიკური შედეგით მთავრდება, მაგრამ როცა საქმე გადამწყვეტ ეტაპს (ანუ, ნახევარფინალსა და ფინალს) ეხება, აქ უკვე კანონზომიერებად უნდა მივიჩნიოთ ყველაფერი. აი, როგორც ჰოლანდიელთა მიერ ურუგვაელთა ძლევა ან ესპანელების გამარჯვება გერმანელებზე - ორივე ნახევარფინალი ლოგიკური შედეგით დასრულდა; ანუ, წარმატებას იმ გუნდებმა მიაღწიეს, რომლებიც ამას მეტოქეზე მეტად იმსახურებდნენ. ჰოდა, ერთთვიანი სანახაობის ბოლო აკორდი დიდ ინტრიგას გვპირდება: მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ერთმანეთს ჰოლანდიისა და ესპანეთის ნაკრებები შეხვდებიან! მუნდიალის დაწყების წინ მოვლენების ასეთ განვითარებას ბევრი ვერც წარმოიდგენდა, მაგრამ კიდევ ვიმეორებთ, რომ ჩვენი აზრით, ყველაფერი კანონზომიერად წარიმართა. იმის გარდა, რომ ჰოლანდიაც და ესპანეთიც თანამედროვე ფეხბურთს უჩვენებენ და არც ცალკეული ინდივიდუალისტების ნაკლებობას უჩივიან, ნუ დაგვავიწყდება ფიფას რეიტინგიც. ყოველ შემთხვევაში, მუნდიალის დაწყებამდე ესპანეთი ფიფას კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე იმყოფებოდა და მხოლოდ ბრაზილიას ჩამორჩებოდა, ჰოლანდია კი მეოთხე იყო. აქვე, ბარემ დანარჩენი ნახევარფინალისტების მდგომარეობასაც შეგახსენებთ: გერმანია მექვსე ადგილზე იყო, აი, ურუგვაი - მეთექვსმეტეზე. თუმცა, ყველასათვის ნათელია, რომ მუნდიალის შემდეგ ფიფას რეიტინგი მნიშვნელოვნად შეიცვლება; მაგრამ იქამდე ხომ ოთხწლეულის მთავარი მატჩია ჩასატარებელი: მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა!..

## ტოტალურ-პრაგმატული ფეხბურთი

გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ჰოლანდიელებმა ახალი ტერმინი დაამკვიდრეს - „ტოტალური ფეხბურთი"! ამ პერიოდში ჰოლანდიურ კლუბებს ევროტურნირებზე ბადალი არ ჰყავდათ და არც ის იყო შემთხვევითი, როცა მართლაც გენიალური მწვრთნელის **რინუს მიხელსის** ხელმძღვანელობით ჰოლანდიის ნაკრებმა, პირველად თავის ისტორიაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იასპარეზა. სამწუხაროდ, არანაკლებ გენიალური ფეხბურთელის **იოჰან კრუიფის** და მისი პარტნიორების (**იოჰან ნეესკენსი, რუუდ კროლი, არი ჰაანი, ჯონი რეპი**) თაობამ მუნდიალის მოგება ვერ შესძლო. იგივე განმეორდა ოთხი წლის შემდეგაც, ოღონდ, ისიც უნდა ითქვას, რომ 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისაგან განსხვავებით, არგენტინაში ჰოლანდიელებს ფავორიტებად არავინ მიიჩნევდა.



არიენ რობენი (მარცხნივ) და ვესლი სნეიდერი

თუმცა, კრუიფის გარეშე მოასპარეზე გუნდმა (ახალი ლიდერის, **რობი რენსებრინკის** დიდი დამსახურებით) მაინც შეძლო ფინალში გასვლა.

იმის შემდეგ ჰოლანდიურ ფეხბურთში არაერთი ვარსკვლავი გამოჩნდა (ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მხოლოდ და მხოლოდ, **მარკო ვან ბასტენის** ხსენებაც საკმარისი უნდა იყოს), მაგრამ ერთადერთი რაც ამ ქვეყნის ნაკრებმა შეძლო, 1988 წლის ევროპის ჩემპიონობა იყო. ვან ბასტენი უკვე ვთქვით და ბარემ, ბოლო ოცწლეულის სხვა ჰოლანდიელი ვარსკვლავებიც ჩამოვთვალოთ: **რუუდ გულიტი, ფრანკ რაიკაარდი, რონალდ კუმანი, დენის ბერგკამპი, მარკ ოვერმარსი, ფრანკ და რონალდ დე ბურები, პატრიკ კლუივერტი, ედგარ დავიდსი, კლარენს ზეედორფი, ედვინ ვან დერ სარი, რუუდ ვან ნისტელროოი...**

აი, ასეთი, ერთი-მეორეზე უკეთესი ფეხბურთელებით ასპარეზობდნენ ჰოლანდიელები მუნდიალებზე, მწვრთნელებიც მაღალი დონისა (**ლეო ბეენჰაკერი, დიკ ადვოკაატი, გუუს ჰიდინკი**) ჰყავდათ, მაგრამ საუკეთესო შედეგი ნახევარფინალში გასვლა იყო - 1998 წელს პენალტების სერიაში ბრაზილიასთან წააგეს (სხვათა შორის, 12-წლისწინანდელი იმ შემადგენლობიდან ჰოლანდიელთა რიგებში კვლავ თამაშობენ **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი და ანდრე ოოიერი**).

ეგ კი არა, შესაძლოა, ბევრს აღარც ახსოვდეს რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა სულაც... უჰოლანდიელებოდ ჩაიარა; აი, ეს კი, მართლაც სენსაცია იყო: წინა მუნდიალის ნახევარფინალისტმა შესარჩევი ეტაპი ვერ გადალახა, თანაც, მწვრთნელად, არც მეტი, არც ნაკლები... **ლუის ვან გაალი** მუშაობდა!

...**ბერტ ვან მარვიიკი** ჰოლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად 2008 წლის ზაფხულში, ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაინიშნა. მანამდე „ფეიენოორდსა" და „დორტმუნდში" მეტ-ნაკლები წარმატებით მომუშავე სპეციალისტმა, ნაკრებში მისვლისთანავე ორი წამყვანი ფეხბურთელი დააბრუნა: **ჯოვანი ვან ბრონკხორსტი და მარკ ვან ბომელი** (ეს უკანასკნელი, ვან მარვიიკის... სიძე, ქალიშვილის ქმარი გახლავთ), რომლებთაც ჰოლანდიელთა წინა დამრიგებელი მარკო ვან ბასტენი არ წყალობდა. 2008 წლის შემოდგომაზე, კერძოდ, 6 სექტემბერს ჰოლანდიამ ამხანაგური მატჩი წააგო ავსტრალიასთან (1:2) და იმის მერე ამ გუნდმა... 25 შეხვედრა დაუმარცხებლად ჩაატარა! შთამბეჭდავად ჩატარებულ შესარჩევ ციკლს მუნდიალზე წარმატებული ასპარეზობაც დაემატა: ჰოლანდია ერთადერთი გუნდია, ყველა მატჩი რომ მოიგო! ნარინჯისფერთა წარმატების ერთ-ერთი გარანტი შემადგენლობის სტაბილურობა და მწვრთნელის მიერ შერჩეული ტაქტიკური სქემაა. ვან მარვიიკს არ უყვარს ექსპერიმენტები და შემადგენლობის როტაცია - ძირითადში თუ ვინმე შეცვალა, ისიც დისკვალიფიკაციისა თუ ტრავმის გამო.

ეგ კი არა, თუ დააკვირდებოდით, მუნდიალის ჯგუფურ ეტაპზე, შეცვლებზეც... ერთი და იგივე ფეხბურთელები შემოჰყავდა! ზემოთ ტაქტიკური სქემა ვახსენეთ და მარვიიკის მიერ არჩეულმა 4-2-3-1-მა რომ გაამართლა, ფაქტია; არადა, თითქოს, დოგმასავით იყო: თითქმის 20-30 წელიწადის განმავლობაში წამყვანი ჰოლანდიური კლუბები თუ ყველა ასაკობრივი ნაკრებები 4-3-3 განლაგებით ასპარეზობდნენ. ვან მარვიიკმა კი ნახევარდაცვის ცენტრის გაძლიერებით, ბევრის აზრით, ჰოლანდიის ნაკრებს სანახაობრივი მხარე დაუკარგა და გუნდის თამაში უფრო პრაგმატული გახადა. თუმცა, როგორ შეიძლება „მხოლოდ შედეგზე გათვლილი" უწოდო იმ გუნდის თამაშს, სადაც **არიენ რობენი** და **ვესლი სნეიდერი** ასპარეზობენ? ისე, როგორც მერვედფინალში (სლოვაკეთთან) და მეოთხედფინალში (ბრაზილიასთან), რობენმა და სნეიდერმა ნახევარფინალურ მატჩშიც გაიბრწყინეს; საერთოდაც, ეს ორი ფეხბურთელი ამ მუნდიალზე, უდავოდ, გამორჩეულია და ყველაზე უცნაური კი ის არის, თითქოსდა, ზურგსუკან ხანგრძლივი და მომქანცველი საკლუბო სეზონი არ ჰქონოდათ (თან, ყოველმხრივ წარმატებული).

გუნდის თამაშში სანახაობრივი ხიბლი პრაგმატიზმმა შეცვალაო, თუმცა, ჩვენ მაინც იმ აზრის ვართ, რომ ჰოლანდიამ აბსოლუტურად დამსახურებულად მოიპოვა ფინალში ასპარეზობის უფლება; მით უმეტეს, რომ ამ გუნდში წლევანდელი მუნდიალის ორ გამორჩეულ ვარსკვლავთან (არიენ რობენი, ვესლი სნეიდერი) ერთად სხვა არანაკლები დონის ფეხბურთელებიც ასპარეზობენ: **მაარტენ სტეკელენბურგი, ჯონ ჰეიტინგა, დირკ კუიტი** და სხვები. აი, რაც შეეხება იმედგაცრუებას, ეს, ალბათ, **რობინ ვან პერსის** ასპარეზობას ეთქმის, თუმცა ვან მარვიიკი მაინც უდიდეს ნდობას უცხადებს „არსენალის" ვარსკვლავს.

## ამოუწურავი ადამიანური რესურსი

შესაძლოა, ვინმეს საკამათოდ მოეჩვენოს, მაგრამ, ჩვენი აზრით, გერმანია-ესპანეთის ნახევარფინალური დაპირისპირება, ამ მუნდიალის ერთ-ერთი განსაკუთრებული მატჩი იყო. ოღონდ, მატჩის მნიშვნელობას არ ვგულისხმობთ - ამ შემთხვევაში, ხომ ფინალისტის ბედი წყდებოდა. არც იმ ფაქტორს მივანიჭებთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, იმავე მეტოქეებმა ორი წლის წინათ ევროპის ჩემპიონატის ფინალში რომ ითამაშეს. ჰო, მთავარი მაინც სხვა რამ იყო: ორი გამორჩეული ტაქტიკოსის, ორი ჩინებული მწვრთნელის: **ვისენტე დელ ბოსკესა და იოახიმ ლიოვის** დაპირისპირება!

გავუსწრებთ მოვლენებს და ვიტყვით, რომ გამოცდილმა ესპანელმა მწვრთნელმა თავისზე ათი წლით უმცროს კოლეგას ტაქტიკური „დუელი" პირწმინდად მოუგო! თან, საქმე მხოლოდ საბოლოო შედეგში არ არის: 90 წუთის განმავლობაში ესპანელების უპირატესობა ეჭვქვეშ ერთი წუთითაც არ დამდგარა; ამასთან, ცოტა არ იყოს,



ვისენტე დელ ბოსკე

მოულოდნელიც იყო, თუ როგორ დაჯაბნეს ესპანელმა ნახევარმცველებმა თავიანთი მეურვეები მოედნის ცენტრში; არადა, ამ შეხვედრამდე გერმანელთა შუახაზის თამაში ხომ მხოლოდ და მხოლოდ აღტაცებას იწვევდა...

დელ ბოსკემ ეს მატჩი... დასაწყისამდე მოიგო, როცა მეტოქესაც და საერთოდ, ყველას სიურპრიზი შესთავაზა - ძირითად შემადგენლობაში **ფერნანდო ტორესის** ნაცვლად ახალგაზრდა **პედრო** რომ დააყენა; „ბარსელონას" ნიჭიერ შემტევს კონკრეტული დავალება ჰქონდა: აქტიური თამაშით წნეხში მოექცია გერმანიის ნაკრების, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მოთამაშე, მარცხენა მცველის პოზიციაზე მოასპარეზე **ჟერომ ბოატენგი**. მოგეხსენებათ, რომ ბოატენგი ნომინალური ცენტრალური მცველია, თუმცა ლიოვს დაცვის მარცხენა ფლანგზე გარკვეული პრობლემები ჰქონდა და ბოლო მატჩებშიც „ჰამბურგის" 21 წლის უკანახაზელს აყენებდა. მოკლედ, დელ ბოსკეს გათვლამ ასი პროცენტით გაამართლა: პედრომ და **სერხიო რამოსმა** გერმანელთა მარცხენა ფლანგი აიკლეს! თანაც, ხანდახან **ანდრეს ინიესტაც** გადმოდიოდა ამ ფლანგზე და საბრალო ბოატენგსაც, ვიდრე ლიოვი გამოცვლიდა, მართლაც „შავი დღე" ჰქონდა.

უაღრესად შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარეს ესპანელთა „საყრდენებმაც": **სერხიო ბუსკეტსმა** და **ჩაბი ალონსომ** მეტოქის ნახევარმცველებს მოქმედების არე შეუზღუდეს და ამით ხელ-ფეხი ინიესტასა და **ჩავის** გაეხსნათ; ჰოდა, „ბარსელონას" ამ მართლაც ჯადოსნურმა „დუეტმა" გაილაღა! ფაქტია, რომ ესპანეთის ნაკრებმა ამ მუნდიალზე ყველაზე შთამბეჭდავი თამაში სწორედ გერმანიასთან უჩვენა; გუნდთან, მანამდე მთელი მსოფლიო რომ აალაპარაკა: წლები გავა, მაგრამ ბევრი გაიხსენებს, თუ როგორ შეძლო **ბასტიან შვაინშტაიგერმა, მიროსლავ კლოზემ, ლუკას პოდოლსკიმ, მეზუთ იოზილმა** და **თომას მიულერმა** ჯერ ინგლისის, მერე კი არგენტინის კარში... ოთხ-ოთხი გოლის გატანა!

ესპანელებთან ნახევარფინალში კი ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ფეხბურთელები საკუთარ თავს არ ჰგავდნენ: ზოგი აშკარად დაღლილი გამოიყურებოდა, ზოგის თამაშში ძველი ემოცია აღარც იგრძნობოდა, ზოგიც, უბრალოდ, მეტოქეთა წინააღმდეგ ვერაფერს აწყობდა. ეს საუბარი, რაღა თქმა უნდა, **თომას მიულერს** არ ეხება - ამ მუნდიალის უდავო აღმოჩენა შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო ტოვებდა.

...პორტუგალიასთან მატჩის ბედი ესპანელებმა მეორე ტაიმის ბოლოსკენ გადაწყვიტეს, იგივე მოხდა მეოთხედფინალშიც და ანალოგიური განმეორდა ნახევარფინალშიც; ანუ, გუნდის სიძლიერე ამაშიც გამოიხატება, რომ მეორე ტაიმებში განსაკუთრებულად კონცენტრირებულად და მოტივირებულად ასპარეზობს. აღარაფერს ვამბობთ იმ უამრავ რესურსზე, ესპანეთის ნაკრების თავკაცს რომ გააჩნია: ერთ მატჩში **ფერნანდო ლორენტეს** გამოიყვანს და მეტოქეთა ტანმაღალ მცველებზე ზეწოლას განახორციელებს. მეორე შეხვედრაში **სესკ ფაბრეგასს** შემოიყვანს და ესპანელთა შეტევებიც მრავალფეროვანი გახდება; საჭირო იქნება ფლანგებზე თამაშის გამწვავება?

აქაც, რამდენიმე ვარიანტია: **ხესუს ნავასს** და **დავიდ სილვას** ინდივიდუალური ოსტატობა ნამდვილად არ დაეწუნებათ. აღარაფერს ვამბობთ მეკარესა და დაცვის ხაზზე: გერმანელებმა ერთი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ **იკერ კასილიასმა** ამჯერადაც დამაჯერებლად ითამაშა, ხოლო ახალგაზრდა **ხერარდ პიკემ** და გამოცდილმა **კარლეს პუიოლმა** მერამდენედ დაამტკიცეს, რომ თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო „დუეტს" ქმნიან დაცვის ცენტრში. ვინღა დაგვრჩა? რაღა თქმა უნდა, **დავით ვილია** - ამ მუნდიალის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი და ფეხბურთელი...

ფინალი კი მართლაც ზღაპრული გველოდება: ჰოლანდიის ნაკრები ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ; რობენისნეიდერის „დუეტი" ჩავის, ინიესტასაც და ვილიას წინააღმდეგ...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოლანდია

# ფინალის მოლოდინში

**ბერტ ვან მარვიიკი და მისი გუნდი ჰოლანდიური ფეხბურთის ახალ ისტორიას წერენ. უდიდესი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანა მესამეჯერ გავიდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში და აქვს შანსი, პირველად მოიპოვოს პლანეტის საუკეთესო გუნდის წოდება. ამას გაცნობიერება სჭირდებაო, წერენ ჰოლანდიელი ჟურნალისტები და მართალნიც არიან - ვან მარვიიკის ფორმაციის ნაკრები ხომ იოჰან კრუიფისდროინდელ გუნდს გაუტოლდა და თუ ფინალიც მოიგო, სულაც ჯერ არნახულ შედეგს აჩვენებს. დღეს, ჰოლანდიელებს არ ჰყავთ იმავე კრუიფის კალიბრის ფეხბურთელი, მაგრამ ჰყავთ ძალიან მობილური გუნდი, რომელიც თანაბრად ძლიერია დაცვით და შეტევით ფაზაში.**

ჰოლანდიაში ერთი ამბავია - მთელი ქვეყანა ფეხბურთით ცხოვრობს და ფინალური მატჩის მოლოდინშია. ტელევიზიებში 24 საათის განმავლობაში 11 ივლისის შეხვედრაზე მსჯელობენ. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ ის ვეტერანი ფეხბურთელები, რომლებმაც 1974 და 1978 წლების ჩემპიონატების ფინალურ შეხვედრებში მიიღეს მონაწილეობა. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ **ჯონი რეპი**, რომელიც ჰოლანდიის ეროვნულ გუნდში 1973-1981 წლებში ასპარეზობდა; 42-ჯერ აქვს ნარინჯისფერი მაისური მორგებული და თორმეტი გოლი გატანილი. მოვუსმინოთ მას:

*„ვერ ვიტყვი, რომ ეს არის ყველაზე ძლიერი ჰოლანდიის ნაკრები, რომელიც ოდესმე მინახავს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ბიჭებმა წარმოუდგენელი შეძლეს და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ. თავის დროზე, მეც ვიყავი ანალოგიურ ვითარებაში და შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ეს რაღაც განსაკუთრებულია. მუნდიალის ფინალში თამაში მართლაც რომ განუმეორებელი შეგრძნებაა. თუმცა, მინდა გავაფრთხილო ვან მარვიიკის შეგირდები და ვუთხრა მათ, რომ მარცხის შემთხვევაში მიღებულ იმედგაცრუებას და ტკივილს ვერასდროს მოიშუშებენ. ამიტომ, თავი უნდა დადონ და ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ ბოძებული შანსი გამოიყენონ. რამდენჯერ მინატრია, რომ დროში უკან შემოგ ზაურა და ფინალის თამაშის საშუალება კიდევ ერთხელ მომცემოდა. ისეთი განცდა მაქვს, რომ სისხლის ბოლო წვეთამდე ვიბრძოლებდი და იმ თამაშს მაინც მოვიგებდი. დღეს, ჩვენს ფეხბურთელებს აქვთ შანსი და მაქსიმუმი უნდა გაიღონ იმისთვის, რომ შემდეგ, უტოპიური ოცნებების მძევალნი არ გახდნენ“.*

რაშია ჰოლანდიის ნაკრების წარმატების საიდუმლო? - ამაზე რეპი შემდეგნაირად პასუხობს: *„უმეტესობა მიიჩნევს, რომ წარმატება არიენ რობენის და ვესლი სნეიდერის შესანიშნავმა თამაშმა განაპირობა. ორი აზრი არ არსებობს, რომ მათ გარეშე ფინალში გასვლა წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგრამ მხოლოდ ორ ფეხბურთელზე არ შეიძლება ლაპარაკი. მე თუ მკითხავთ, არანაკლებ ნაყოფიერად თამაშობენ დირკ კუიტი და მარკ ვან ბომელი. ერთიც და მეორეც ძალიან ბევრს დარბიან, უდიდესი სამუშაო გასწიეს და ფაქტობრივად, ჩამოაშორეს შავი საქმე იმავე რობენს და სნეიდერს. მცველებიც კარგად გამოიყურებიან, რაშიც ალბათ ყველანი დამეთანხმებით. კარგი დაცვა კი იმის გარანტიაა, რომ უბრძოლველად არაფერს დათმობ. მეტი შეუძლია რობინ ვან პერსის და მჯერა, რომ საუკეთესო თამაშს ფინალში აჩვენებს. ისე კი, ჩვენი ნაკრების მთავარი კოზირი გუნდური სულისკვეთებაა - აქამდე მეჩვენებოდა, რომ შეთამაშების მხრივ გვქონდა გარკვეული პრობლემები, მაგრამ ნახევარფინალმა საპირისპიროში დამარწმუნა“.*

ყურადღების ცენტრშია **ბერტ ვან მარვიიკი**, რომელიც გუნდს ფინალური მატჩისთვის ამზადებს. მთელი ჩემპიონატი „ნარინჯისფრებმა“ 4-2-3-1 ტაქტიკით წარმართეს და ცხადია, რომ ტრადიცია არც 11 ივლისს დაირღვევა. შემადგენლობაც პრაქტიკულად გარკვეულია - კარში **მარტეენ სტეკელენბურგი** ჩადგება, დაცვაში **ჯონი ჰეიტინგა, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, გრეგორიო ვან დერ ვილი** და **იორის მატიისენი** ითამაშებენ, საყრდენად კი **მარკ ვან ბომელი** და **ნაიჯელ დე იონგი** გაირჯებიან. რაც შეეხება წინა ხაზს - გამოკვეთილი ფორვარდი **რობინ ვან პერსი** იქნება, მის უკან კი ერთბაშად სამ მოთამაშეს ვიხილავთ: **დირკ კუიტს, ვესლი სნეიდერს** და **არიენ რობენს**. ნახევარფინალურ პაექრობაში ჰოლანდიელებს ოდნავ განსხვავებული შემადგენლობა ჰყავდათ, რადგან ვან მარვიიკმა დისკვალიფიკაციის გამო, ორი ფეხბურთელი მოისაკლისა. მართალია, **ბულაჰრუზმა** და **დე ზეუვმა** თავი კარგად წარმოაჩინეს, მაგრამ ყველა ლოგიკით, ძირითადში ვან დერ ვილი და დე იონგი უნდა დაბრუნდნენ. განსაკუთრებით საჭირო ეს უკანასკნელია, რადგან საყრდენ ნახევარმცველებს ძალიან დიდი ჯაფა დაადგებათ. სწორედ მათ უნდა გადაკეტონ საჯარიმოს მისადგომები და არ მისცენ ესპანელ ვირტუოზებს ბურთის კონტროლის და გამჭოლი გადაცემების კეთების საშუალება. თუ ეს ჰოლანდიელებმა მოახერხეს, მათი შანსები ერთიორად გაიზრდება...

>> მე-8 გვერდზე


ბერტ ვან მარვიიკი

გერმანია


ფეხბურთელები მწვრთნელის გვერდით დგანან

# ფეხბურთელები: ლიოვი უნდა დარჩეს!

## გერმანელები აზრზე მოვიდნენ: 2006 და 2008 წლებისგან განსხვავებით, ბერლინში ზეიმი აღარ იქნება, რადგან საზეიმო არაფერია

ესპანეთთან განცდილი მარცხის შემდეგ, საფეხბურთო გერმანია იმედგაცრუებულია, მაგრამ როგორც საერთოდ გერმანელებს სჩვევიათ, ყველა ამბობს, რომ ცხოვრება გრძელდება. ესპანეთთან მატჩის საფინალო სასტვენის შემდეგ, დროებითმა კაპიტანმა **ფილიპ ლამმა** კი თქვა, რომ მესამე ადგილისთვის გასამართი მატჩი მას ოდნავადაც არ აინტერესებს, მაგრამ მეორე დღეს აღნიშნა, რომ ეს ცხელ გულზე გაკეთებული განცხადება იყო. კაპიტნის თქმით, გერმანიის ნაკრები ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ურუგვაი დაამარცხოს და მესამე ადგილი დაიკავოს. მერე კი, ბუნდესგუნდში რამდენიმე საკითხი უნდა გაირკვეს. აქედან, ორი ყველაზე მნიშვნელოვანია: დარჩება თუ არა **იოახიმ ლიოვი** ბუნდესმწვრთნელის პოსტზე, ანუ, გააგრძელებს თუ არა კონტრაქტს და დაიბრუნებს თუ არა **მიხაელ ბალაკი** კაპიტნის სამკლავურს.

შეთანხმების მიხედვით, ლიოვი თავის შტაბთან ერთად, მომავალზე მუნდიალის შემდეგ უნდა დაფიქრდეს, ცოტა უნდა დაისვენოს და გადაწყვეტილება მშვიდად მიიღოს. გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **ფრანც ბეკენბაუერი** დარწმუნებულია, რომ იოგი პოსტზე დარჩება. „კაიზერის“ თქმით, ლიოვს ჯერ კიდევ მინიმუმ ერთი მისია აქვს შესასრულებელი. ბეკენბაუერი, რა თქმა უნდა, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატს გულისხმობს, რომლის შესარჩევი ეტაპი სექტემბერში იწყება.

გადაწყვეტილების მიღებისას, ლიოვისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება ფეხბურთელების მოსაზრებასაც და ამ მხრივ, ყველაფერი წესრიგშია, რადგან ბუნდესგუნდის ფეხბურთელებმა განაცხადეს, რომ იოგი თანამდებობაზე უნდა დარჩეს. პრინციპში, სხვა რამ არც იყო მოსალოდნელი, რადგან გერმანელი ფეხბურთელები მწვრთნელის წინააღმდეგ იშვიათად, თითქმის არასდროს ილაშქრებენ ხოლმე და ვინც გაილაშქრა, ისინი ნაკრებში აღარც არიან. მეორე მხრივ, ფეხბურთელებს ლიოვთან სასაყვედურო არაფერი აქვთ და ლოგიკურია, რომ მისი დარჩენის მომხრეები არიან.

*„მას მერე, რაც იოახიმ ლიოვი გერმანიის ნაკრებს წვრთნის, ჩვენმა გუნდმა უდიდესი პროგრესი განიცადა. ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრები გვყავს და ბოლო წლებში დიდ ტურნირებზე მინიმუმ ნახევარფინალში გავდივართ ხოლმე,“* - განაცხადა გუშინ **ბასტიან შვაინშტაიგერმა**. **მიროსლავ კლოზემ** კი, რომელსაც ჯერ კიდევ აქვს იმის იმედი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდება, თქვა: *„ლიოვმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ გერმანიის ნაკრებისთვის ზედგამოჭრილი დამრიგებელია.“* ლუკას პოდოლსკიც იმედოვნებს, რომ მიუხედავად ნახევარფინალში განცდილი მარცხისა, ლიოვი გერმანიის საფეხბურთო კავშირთან ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს. მინდა, რომ ლიოვი კიდევ დიდხანს წვრთნიდეს გერმანიის ნაკრებსო, თქვა პოლდიმ.

## ლამი: ბალაკს არ ვებრძვი!

**გუშინ** გამართულ პრესკონფერენციაზე კაპიტანმა ლამმა აღნიშნა, რომ მთელი გუნდი იმედგაცრუებულია, მაგრამ იქვე დასძინა, რომ მისი აზრით, ბუნდესგუნდს უდიდესი მომავალი აქვს. ცხადია, ჟურნალისტებმა მას კაპიტნობის გარშემო ატეხილ სკანდალზეც ჰკითხეს. როგორც იცით, ორიოდ დღის წინ 26 წლის მცველმა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში თქვა, რომ **მიხაელ ბალაკს** კაპიტნის სამკლავურს არ დაუთმობს.

*„ჟურნალისტმა მარტივი კითხვა დამისვა და მეც გულახდილად ვუპასუხე, - თქვა ლამმა, - ბალაკთან დაპირისპირებული არ ვარ და ვინც ჩემსა და მიხაელს შორის ძალაუფლებისთვის ბრძოლაზე საუბრობს, მინდა ვუთხრა, რომ სასტიკად ცდება. ძალაუფლება მე კი არა, არც ერთ ფეხბურთელს არ სჭირდება. გერმანიის ნაკრებში ძალაუფლება ერთადერთ ადამიანს აქვს და ეს არის გუნდის მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვი. თუ იოგი იტყვის, რომ კაპიტნის სამკლავური ბალაკს უნდა დავუბრუნო, უპრობლემოდ დავუბრუნებ.“*

ამასთან, გუშინდელ პრესკონფერენციაზე ფილიპმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ის, რაც ჯერ კიდევ ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის შემდეგ თქვა: ამაზე უკეთეს ბუნდესგუნდში არასდროს მითამაშიაო.


გერმანიის ნაკრების დროებითი კაპიტანი ფილიპ ლამი ამბობს, რომ მიხაელ ბალაკთან დაპირისპირებაზე არც კი უფიქრია

## სატელეფონო მადლობა ანგელა მერკელისგან

ბუნდესნაკრების პრესმდივნის, **ჰარალდ შტენგერის** თქმით, ესპანეთთან ნაგების შემდეგ, გერმანიის ნაკრები მაშინვე სასტუმროში დაბრუნდა და ფეხბურთელებმა ძალიან მალე ნომრებს მიაშურეს და დაიძინეს. შტენგერისვე განცხადებით, გუშინ დილით ბუნდესგუნდს გერმანიის კანცლერმა **ანგელა მერკელმა** და ახალარჩეულმა პრეზიდენტმა **კრისტიან ვულფმა** დაურეკეს, რათა ფეხბურთელებისთვის მუნდიალზე კარგი ასპარეზობისთვის მადლობა გადაეხადათ. ლიოვის ასისტენტ **ჰანსი ფლიკის** განცხადებით, ახლა გერმანიის ნაკრები ურუგვაისთან მატჩზეა კონცენტრირებული - გერმანელებს უნდათ, რომ ოთხი წლის წინანდელი შედეგი მაინც გაიმეორონ და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრონ.

კვირას საღამოს კი, გერმანიის ნაკრები სამხრეთ აფრიკიდან სამშობლოში დაბრუნდება. როგორც იცით, 2006 წლის მუნდიალის შემდეგ, ბუნდესგუნდის ფეხბურთელები ბერლინში, ბრანდენბურგის კარიბჭესთან ასიათასობით ფანს შეხვდნენ და ზეიმი მოაწყვეს. იგივე განმეორდა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე ნაგებული ფინალის შემდეგაც და პრესმდივან შტენგერის განცხადებით, წელს ასეთი რამ არ მოხდება, რადგან გერმანიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბს აღარ უნდა, რომ ტიტულის გარეშე იზეიმოს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნდიალის ირგვლივ

● ურუგვაი

# მონტევიდეო ზეიმისთვის ემზადება

იმისდა მიუხედავად, როგორ შედეგს აჩვენებს **ოსკარ ტაბარესის** გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ადგილისთვის მატჩში, ურუგვაის ეროვნულ ნაკრებს მონტევიდეოში საზეიმოდ დახვდებიან. გაიმართება საზეიმო ალლუმი. მთელი გუნდი აეროპორტიდან პირდაპირ პრეზიდენტის სასახლისკენ გაემართება, სადაც სამწვრთნელო შტაბსა და ფეხბურთელებს ქვეყნის მთელი მთავრობა შეეგებება.

● არგენტინა



დიეგო მარადონა

# დარჩი, დიეგო!

როგორც იცით, არგენტინის ნაკრების ფეხბურთელთა უმრავლესობამ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **დიეგო მარადონას** დარჩენა მოითხოვა. იმავე პოზიციაზეა ქვეყნის პრეზიდენტი **კრისტინა ფერნანდესი**. გულშემატკივართა აზრის გასაგებად კი არგენტინულმა პრესამ ფართომასშტაბიანი გამოკითხვა ჩაატარა და გაარკვია, რომ ნაკრების თავკაცის შეცვლა არც ქომაგთა უმრავლესობას სურს.

მარადონას დარჩენას გულშემატკივართა 63,5 პროცენტი ემხრობა, მის გადადგომას კი 32 პროცენტი მოითხოვს.

ნაკრების ყველაზე პოპულარულ ფეხბურთელად კი **კარლოს ტევესი** რჩება, რომელიც ქომაგთა 40 პროცენტის სიმპათიას იმსახურებს. **ლიონელ მესიმ** ამ გამოკითხვაში მხოლოდ 15,4 პროცენტი მიიღო.

● სერბეთი

# ანტიჩი დასაჯეს

ალბათ გახსოვთ, ავსტრალია-სერბეთის მატჩის შემდეგ სერბთა დამრიგებელმა **რადომირ ანტიჩმა** მსაჯები ბილწი სიტყვებით რომ შეამკო. ფიფამ გამოცდილ სპეციალისტს ეს უსაქციელობა არ აპატია და მას ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ამას გარდა, ანტიჩი 14 ათასი შვეიცარიული ფრანკით (10 500 ევრო) დააჯარიმეს.

*„ფიფას გადაწყვეტილებითა და სასჯელის სიმკაცრით დამწუხრებულები ვართ. ეს უსამართლო სასჯელია. ყველა კანონიერ გზას გამოვიყენებთ და აპელაციას აუცილებლად შევიტანთ“*, - ნათქვამია სერბეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ განცხადებაში.




რადომირ ანტიჩი ოფიციოზთან კონფლიქტის დროს

● განა

# გიანი: გვნახეთ 2014-ში!

განის ნაკრების ფორვარდმა **ასამოა გიანმა** განვლილი სამუნდიალო ბატალიები გაიხსენა. განელთა ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ფეხბურთელმა ურუგვაისთან მეოთხედფინალურ დაპირისპირებაში გაფუჭებული თერთმეტმეტრიანის გამო სინანული გამოთქვა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ამ ცუდმა შემთხვევამ ოდნავადაც ვერ დათრგუნა.

*„ბუნებრივია, პენალტის ვერგატანამ გული ძალიან დამწყვიტა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერს შევცვლი. ფეხბურთი სასიამოვნო და უსიამოვნო მომენტებისგან შედგება და თითოეულმა მოთამაშემ უიღბლობის შემდეგ აუცილებლად უნდა შეძლოს ცხოვრებისა და საფეხბურთო კარიერის მაღალ დონეზე გაგრძელება. ყველაფრის მიუხედავად, მსოფლიოს ჩემპიონატი მაღალ დონეზე ჩავატარე. ფსიქოლოგიურად ძლიერი პიროვნება ვარ და ამიტომაც უკვე დავმშვიდდი. ურუგვაისთან მატჩის ჩანაწერი რამდენჯერმე ვნახე და დავრწმუნდი, რომ საშინლად არ გაგვიმართლა. რაც იყო, იყო - ჩვენი თამაშით მთელი განა გავახარეთ და ეს ფეხბურთელისთვის უდიდესი ჯილდოა. ძალიან ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდი გვყავს, ასე რომ, ყველას ვურჩევ, გვნახონ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე, სადაც ჩვენს სიტყვას აუცილებლად ვიტყვით“*, - ამბობს გიანი.



უტევს ასამოა გიანი

● გამოხმაურება

# რომარიო: რომელ ერთს ვუქომაგო?!

## ბრაზილიელს არც ჰოლანდია და არც ესპანეთი ეთმობა




რომარიო (მარცხნივ) და კარლოს ალბერტო პარეირა

**რომარიომ** მუნდიალის მოახლოებულ ფინალზე ისაუბრა და ბრაზილიაში გასამართავ მომდევნო ჩემპიონატსაც შეეხო.

*„ფინალის ჩემი გული ორადაა გაყოფილი, მე ხომ ჰოლანდიასთანაც და ესპანეთთანაც ბევრი რამ მაკავშირებს - მითამაშია პსვ-ში, „ბარსელონასა“ და „ვალენსიაში“. გულშემატკივრებს უნდა უხაროდეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში სწორედ ეს ორი გუნდი გავიდა. გამარჯვებულის გამოცნობა ძალიან ძნელია, ფაქტობრივად, წარმოუდგენელი. ერთმანეთის პირისპირ ხომ ორი ტექნიკურად საუკეთესოდ მომზადებული ნაკრები წარდგება.*

*ბრაზილიელებმა კი მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნება ოთხი წლით გადავდეთ. 2014 წელს მუნდიალი ჩვენს ქვეყანაში ჩატარდება და ჩემპიონობის გარდა, სხვა შედეგის ჩვენების უფლება არ გვაქვს. გვაქვს საკმარისი დრო იმისთვის, რომ პრობლემები გადავჭრათ და მომავალ ჩემპიონატს ღირსეულად შევხვდეთ.*

*დარწმუნებული ვარ, ეს იქნება საუკეთესო ტურნირი ფეხბურთის ისტორიაში. გულშემატკივრები ფეხბურთის ნამდვილ ზეიმს იხილავენ. მომავალი მუნდიალი მთელი ბრაზილიისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება. 2014 წლამდე ბევრი უნდა ვიშრომოთ, რომ ჩვენი ქვეყანა მთელ მსოფლიოს მხოლოდ და მხოლოდ დადებითი კუთხით დავანახოთ. ჩვენს ნამდვილ სახეს ყველას ვუჩვენებთ“*, - ამბობს მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონი და ბრაზილიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ფორვარდი.

● აზრი

# ჩილავერტი: ევროპა დომინანტია, მაგრამ ბრაზილიაში...

ახლო წარსულში სახელგანთქმულმა პარაგვაელმა გოლკიპერმა **ხოსე ლუის ჩილავერტმა** მსოფლიოს ჩემპიონატზე საკუთარი ქვეყნის ეროვნული ნაკრების გამოსვლა შეაფასა და მოახლოებულ ევროპულ ფინალზეც გააკეთა კომენტარი.

*„პარაგვაიმ საკუთარი დონე ყველას უჩვენა, მაგრამ ურუგვაისგან განსხვავებით, ხმაურიან წარმატებას მაინც ვერ მიაღწია. ნახევარფინალში ურუგვაის ნაკრებს ვგულშემატკივრობდი. ჰოლანდიამ დამსახურებულად მოიგო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ერთი გოლი თამაშგარე მდგომარეობიდან გაიტანა. სამართლიანია, რომ მსოფლიოს თასი ევროპაში გაემგზავრება. სამაგიეროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ოთხი წლის შემდეგ, ბრაზილიაში, სულ სხვაგვარი ამბები დატრიალდება. იქ მთავარ როლს უკვე სამხრეთამერიკული გუნდები ითამაშებენ“*, - აცხადებს ჩილავერტი.



ხოსე ლუის ჩილავერტი

● ამბები

# ვესტ ჰემი კლოზეს ვერ აიყვანს

როგორც გაირკვა, მუნდიალის დაწყებამდე ფაქტობრივად გადაწყვეტილი ყოფილა **მიროსლავ კლოზეს** „ვესტ ჰემში“ გადასვლა, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში შედეგიანმა ასპარეზობამ „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების ფორვარდის აქციები საგრძნობლად ასწია და ლონდონური კლუბის თანამფლობელის, **დევიდ სალივანის** თქმით, დღეისათვის ამ ტრანსფერის განხორციელების ალბათობა ძალიან ნაკლებია.

*„კლოზემ გერმანიაში ცუდი სეზონი ჩაატარა და „ბაიერნის“ დატოვება სურდა. მსოფლიოს ჩემპიონატამდე თითქმის ყველაფერზე მოვილაპარაკეთ, მაგრამ მისმა წარმატებულმა თამაშმა ჩვენი გეგმები ფაქტობრივად, ჩაშალა“*, - აცხადებს სალივანი.

გასულ სეზონში კლოზემ „ბაიერნის“ მაისურით 38 შეხვედრა ჩაატარა და მხოლოდ 6 გოლი გაიტანა.



მიროსლავ კლოზე

# რაული სადაცაა...

გერმანული „ბილდის“ ცნობით, **რაული** „შალკეს“ უკვე ყველაფერზე მოურიგდა და გელზენკირხენელებთან დღე-დღეზე ორწლიან კონტრაქტსაც გააფორმებს. „ბილდი“ მადრიდის „რეალის“ სიმბოლოს ანაზღაურების შესახებაც იტყობინება - წელიწადში 5 მილიონი ევრო. რამდენიმე დღის წინ ჟურნალისტებს რაული, მისი აგენტი და „შალკეს“ მთავარი მწვრთნელი **ფელიქს მაგათი** მადრიდის ერთ-ერთ რესტორანში დაუნახავთ.

# რიკელმე ბოკაში რჩება



ხუან რომან რიკელმე

„ბოკა ხუნიორსის“ მთავარი მწვრთნელის, **კლაუდიო ბორხის** განცხადებით, კლუბმა **ხუან რომან რიკელმესთან** თანამშრომლობა გაახანგრძლივა. ახალი კონტრაქტი სავარაუდოდ, ოთხწლიანი იქნება. რიკელმეს „ბოკასთან“ ხელშეკრულება სულ ცოტა ხნის წინ ამოეწურა და თავდაპირველი ინფორმაციით, კლუბის შეცვლას აპირებდა. ამბობდნენ, რომ მას კარიერის გაგრძელება ინგლისში სურდა, მაგრამ ხმები ხმებადვე დარჩა და 32 წლის რიკელმე ასპარეზობას სამშობლოში გააგრძელებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ჰოლანდია

# ფინალის მოლოდინში

« მე-4 გვერდიდან

**...იოჰან კრუიფი** ჩვეულ ამპლუაშია - ცდილობს მოიქცეს როგორც მსოფლიო მოქალაქე და არა როგორც რიგითი ჰოლანდიელი, რომელსაც ყველასა და ყველაფერზე მეტად საკუთარი ქვეყნის ჩემპიონობა სურს. ის უფრო სანახაობრივ ფეხბურთს ეტრფის, ვიდრე რომელიმე კონკრეტულ გუნდს, თუნდაც მშობლიურ ნაკრებს. აი, რას ამბობს ლეგენდარული ფეხბურთელი:

„ძალიან საწყენია, რომ ამ ჩემპიონატზე სანახაობრივი ფეხბურთის მკვეთრი დეფიციტია. მხოლოდ რამდენიმე პაექრობას ვიხსენებ, რომელმაც ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ჰოლანდია და ესპანეთი ფინალში ღირსეულად გავიდნენ, თუმცა რაღა დაგიმალოთ და ორივე გუნდი გაცილებით უფრო მესიმპათიურებოდა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე. იმედია, ფინალში მაინც ითამაშებენ ისეთ ფეხბურთს, როგორიც ამ ორ საფეხბურთო ქვეყანას ეკადრება. პროგნოზი? - არ მიყვარს პროგნოზების კეთება, რადგან იშვიათად, რომ ჩემი ვარაუდი გამართლდეს. ამიტომ, უმჯობესია გავჩუმდე და უბრალოდ გისურვოთ ყველას, რომ საუკეთესო ფინალი იხილოთ".

საკმაოდ ვრცლად ისაუბრა ჟურნალისტებთან „მილანის" ჰოლანდიელმა ლეგიონერმა **კლარენს ზეედორფმა.** ზეს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ მუნდიალზე ეასპარეზა, მაგრამ ვან მარვიიკმა ის განაცხადს მიღმა დატოვა. თამაშგარეში დარჩენილი არაერთი ფეხბურთელისგან განსხვავებით, კლარენსი გაგებით მოეკიდა მწვრთნელის გადაწყვეტილებას და საკუთარი ქვეყნის ნაკრებს რიგითი გულშემატკივრის რანგში ქომაგობს. მოვუსმინოთ ზეს:

„ძალიან მიხარია, რომ ჩვენმა ნაკრებმა შეძლო და მრავალწლიანი შესვენების შემდეგ მუნდიალის ფინალს უწია. ვან მარვიიკს არ ჰყავს იმდენი ვარსკვლავი, რამდენიც მის წინამორბედებს ჰყავდათ, მაგრამ შეძლო და საუკეთესო შედეგი აჩვენა. მიზეზი? - გუნდი ერთ მუშტად არის შეკრული, რაც წარმატების უმთავრესი წინა პირობაა. ეს ფეხბურთელები უკვე ოთხი წელია ერთად ასპარეზობენ ნაკრებში და შეთამაშების მხრივ არავითარი პრობლემა არ აქვთ. ეს არის გუნდი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და ჩემი აზრით, სრულიად დამსახურებულად მიაღწია ფინალამდე. თუმცა, ფორტუნასაც უნდა გადავუხადოთ მადლობა, რომელიც ამ ჩემპიონატზე აშკარად გვიღიმის. არაერთ ჩემპიონატზე გვიმუხთლა იღბალმა, მაგრამ ამჯერად, ის ჩვენს მხარესაა და შედეგმაც არ დააყოვნა".

ზეედორფმა ფინალური მატჩის შესაძლო სცენარზე ისაუბრა: „ესპანელები აუცილებლად შეეცდებიან, რომ ბურთი გააკონტროლონ და სრულ სათამაშო უპირატესობას დაეუფლონ. მათი ეს ბრწყინვალედ ეხერხებათ, მაგრამ თუ ვან მარვიიკი ცენტრს განგებ არ დათმობს, ვფიქრობ, რომ გაუჭირდებათ პირენეელებს და თანაც ისე, როგორც არასდროს. ძალიან მაგარი ნახევარმცველები გვყავს და თუ შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინეს, არა მგონია, რომ მეტოქე ბურთს იოლად დაეუფლოს. სნეიდერი, კუიტი და რობენი ბევრს მოძრაობენ და როდესაც მათ ვან ბომელი აზღვევს, თითქმის იდეალურ სურათს ვიღებთ. ასე რომ, პირადად მე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი".

და ბოლოს, აუცილებლად უნდა გადავცეთ სიტყვა თავად ვან მარვიიკს, რომელზეც ზემოთ ბევრი რამ ითქვა. ჟურნალისტებმა მწვრთნელს მოსვენება დაუკარგეს და ისიც იძულებული გახდა მინიბრიფინგი ჩაეტარებინა. ჩვენ მხოლოდ ძირითად ასპექტებზე გავამახვილებთ ყურადღებას:

„ესპანეთი-გერმანიის პაექრობას დიდი გულისყურით მივადევნე თვალი და უნდა ვაღიარო, რომ პირენეელებმა სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს. თავის სტილში ითამაშეს, ბურთზე კონტროლი დააწესეს და ბოძებული შანსი გამოიყენეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ესპანეთს ყველაზე ძლიერი ნაკრები ჰყავს მსოფლიოში. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგის გვეშინია - პირიქით, ეს ძალიან დიდი გამოწვევაა, რომელიც ენთუზიაზმს გვმატებს და ბრძოლის სურვილს გვიღვივებს. ერთი სული მაქვს, როდის მოვა 11 ივლისი და დაიწყება ეს მართლაც დიდი თამაში. ყოველმხრივ მზად ვართ და შევეცდებით, მრისხანე მეტოქე დავამარცხოთ".

ვან მარვიიკს ვან პერსის სათამაშო ფორმაზე ჰკითხეს და იქვე დაამატეს, მის თადარიგში გამწესებას ხომ არ გეგმავთო - აქვე, ბერტის პასუხი: „შემადგენლობაზე დღეს ნამდვილად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ის კი შემიძლია გითხრათ, რომ ვან პერსის ასპარეზობით კმაყოფილი ვარ. შეუძლია უკეთ თამაში და ეს არავისზე ნაკლებად არ ვიცი, მაგრამ თავს არ ზოგავს და ჩემთვის მთავარი სწორედ ეს არის. მართალია ცენტრფორვარდია, მაგრამ მის ფუნქციებში მხოლოდ გოლის გატანა არ შედის. გუნდის ინტერესების გამო, ის საკუთარ თამაშზე ამბობს უარს და ეს ძალიან მომწონს".

ვან მარვიიკმა ფაქტობრივად აღიარა, რომ ესპანელებს საუკეთესო გუნდი ჰყავთ მსოფლიოში, თუმცა როდესაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩზეა საუბარი, შანსები მაინც 50/50-ზე უნდა შევაფასოთ.

**ლაშა ნიკლაური**

მუნდიალს მიღმა


ედინ ჯეკო

# იუვე ჯეკოში 30 მილიონს იხდის

## ვოლფსბურგს 40 უნდოდა, მაგრამ შეიძლება, დათანხმდეს

„ვოლფსბურგისა" და ბოსნიის ნაკრების ცენტრფორვარდ **ედინ ჯეკოს** კონტრაქტში უწერია, რომ მისმა მსურველმა 40 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს და თანაც, უკვე დიდი ხანია, ამ გოლეადორის მსურველებს „ვოლფსბურგისთვის" კონკრეტული წინადადებით მიმართვის ვადა ამოეწურათ, მაგრამ როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შესაძლებელია, რომ ჯეკომ „ვოლფსბურგი" დატოვოს. იტალიური და გერმანული მედიის ცნობით, ჯეკოს შეძენისთვის ახლა ყველაზე აქტიურად ტურინის „იუვენტუსი" იბრძვის. „ტუტოსპორტი" გუშინდელ გამოცემაში წერდა, რომ „ბებერი ქალბატონი" მზადაა, ბუნდესლიგის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირის (23 გოლი) სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო გადაიხადოს.

იტალიელები წერენ, რომ მომავალ კვირაში „იუვეს" სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** „ვოლფსბურგის" მენეჯერ **დიტერ ჰიონესს** შეხვდება და 30 მილიონ ევროსთან ერთად, ჯეკოს სანაცვლოდ საყრდენ ნახევარმცველებს, **მომო სისოკოსა** და **კრისტიან პოულსენსაც** შესთავაზებს, რათა კონტრაქტში ჩაწერილი სატრანსფერო თანხა, 40 მილიონი ევრო შედგეს. არადა, ჯეკოს გაყიდვის ბოლო ვადა 31 მაისს იყო და რაკი ბოსნიელის ყიდვა არავინ მოინდომა, „ვოლფსბურგის" შეფებმა თქვეს, რომ ედინი გერმანიაში დარჩებოდა. მიუხედავად ამისა, ჯეკო მას მერეც მუდმივად იმეორებს, რომ ევროპის რომელიმე ტოპკლუბში გადასვლა უნდა. „ვოლფსბურგმა" ახალი სეზონისთვის მზადება პირველ ივლისს დაიწყო და 24 წლის თავდამსხმელმა პირველივე ვარჯიშის შემდეგ განაცხადა, ვფიქრობ და იმედი მაქვს, რომ შესაბამისი წინადადების ქონის შემთხვევაში, „ვოლფსბურგი" არ დამაკავებს და გამყიდისო.

„უკვე არსებობს კლუბი, რომელსაც ჩემი შეძენა სერიოზულად უნდა," - თქვა ედინმა და ფაქტია, რომ ხსენებულ კლუბში „იუვენტუსს" გულისხმობდა.

**გოტფრიდ ლენცი**

თბილისი-პრაღა
ახალი მიმართულებები
კვირაში ექვსჯერ

ისარგებლეთ ფრენების გაზრდილი სიხშირით.ახლა შეგიძლიათ იმოგზაუროთ პრაღაში კვირაში ექვსჯერ და ისარგებლოთ ტრანზიტული რეისებით სხვადასხვა მიმართულებით. ავიაბილეთის საფასური ევროპაში — 220 ევროდან. დაგეგმეთ მოგზაურობა დღესვე და ისიამოვნეთ კომფორტული აერობუსით. დაჯავშნეთ თქვენი ბილეთი და ინფორმაციისათვის მიმართეთ 995 32 227941 ან info@czechairlines.ge.

ბილეთის ღირებულებაში მოსაკრებლები არ შედის.

www.czechairlines.com

CSA CZECH AIRLINES
SKYTEAM

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო ბაზარი

# ინტერი, ანუ მასკერანოს ცხელი ზაფხული

ხან ასე ითქვა და ხან ისე, მაგრამ დასკვნა ერთი და იგივე გამოდის: **ხავიერ მასკერანოს** „ლივერპულიდან“ წასვლა უნდა. თუ გახსოვთ, ერთი ხნის წინ ამბობდნენ, რომ არგენტინის ნაკრების კაპიტნის შეძენას „ბარსელონა“ აპირებდა. წერდნენ, რომ ესპანეთის ჩემპიონს დაახლოებით 38 მილიონი დოლარი ჰქონდა ამ საქმისთვის გადადებული და იმასაც ამბობდნენ, რომ მასკერანო მერსისაიდელთა ყოფილ მწვრთნელზე **რაფა ბენიტესზე** ნაწყენი გახლდათ, რაკი ბენიტესმა ის ჯერ კიდევ ერთი წლის წინ არ გაუშვა კატალონიაში. შემდეგ ითქვა, რომ „ინტერის“ სათავეში მისულმა ბენიტესმა მასკერანოს მილანიდან მიაწვდინა ხმა და თავისთან, „შავ-ლურჯთა“ გუნდში შესთავაზა გადასვლა, მაგრამ არგენტინელი უარზე იყო, რადგან გული კვლავ „ბარსასკენ“ მიუწევდა. და აი, სულ ბოლო ინფორმაცია - მასკერანოს აგენტმა **მარკო პიკიოლიმ** თქვა:

*„ვიცი, ხავიერსა და ბენიტესს ერთმანეთთან ჩინებული ურთიერთობა აქვთ, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მასკერანო „ინტერში“ გადადის. ხანდახან მწვრთნელისა და ფეხბურთელის კარგი ურთიერთობა ტრანსფერისთვის საკმარისი არ არის. რამდენადაც მე ვხედავ, ჩემი კლიენტი „ლივერპულიდან“ „ინტერში“ შესაძლოა მხოლოდ ზაფხულის მიწურულს გადავიდეს, მაშინ, როდესაც სატრანსფერო ბაზარი დახურვის პირას იქნება“.*

რას შეიძლება ნიშნავდეს აგენტის ეს სიტყვები? ერთი შეხედვით მარკო პიკიოლიმ თქვა, რომ მასკერანოს სადმე გადასვლაზე ლაპარაკი არ შეიძლება, რადგან გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ, მეორე მხრივ მან პირდაპირ მიანიშნა ბენიტესსა და ფეხბურთელს შორის თითქმის უკვე მიღწეულ შეთანხმებაზე და ისიც დასძინა, რომ ტრანსფერი დროის ამბავია. თუმცა, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ შეიძლება „ბარსელონას“ ფაქტორის გამორიცხვა. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ „ლივერპულმა“ მასკერანოს ფასად 50 მილიონი ფუნტი ანუ დაახლოებით 76 მილიონი დოლარი დათქვა.


ხავიერ მასკერანო შეიძლება ინტერში აღმოჩნდეს

თუმცა, „ლივერპულზე“ რომ ვლაპარაკობთ, კიდევ ერთი რამ შეიძლება ითქვას დაბეჯითებით: „ენფილდ როუდს“ აუცილებლად დატოვებს 21 წლის არგენტინელი მარცხენა მცველი **ემილიანო ინსუა**. მისი შეძენა „ფიორენტინას“ უნდა. მერსისაიდელები მის სანაცვლოს 7,5 მილიონ დოლარს ითხოვენ. არ არის გამორიცხული, ინსუას ნაცვლად „ლივერპულში“ „უიგანისა“ და ჰონდურასის ნაკრების მოთამაშე **მეინორ ფიგეროა** გამოჩნდეს.

# დევიდი და პორტსმუთი

**დევიდ ჯეიმსი** „პორტსმუთის“ ხელმძღვანელებთან დაილაპარაკებს და გადაწყვეტს, დარჩება თუ არა გუნდში, რომელიც გასულ სეზონში პრემიერლიგიდან „ჩემპიონატში“ გავარდა. ინგლისის ნაკრების მეკარე 1 აგვისტოს 40 წლისა ხდება. აქამდე მას „ფრეტონ პარკზე“ კვირაში 40 ათას ფუნტს უხდიდნენ, თუმცა ახლა, გაკოტრებულ და დაჩაგრულ „პორტსმუთს“ ასეთი ხელფასის გადახდის შნო აღარ აქვს და ცდილობს ჯეიმისი ჯამაგირის შემცირებაზე დაიყოლიოს. ასეთ პირობებში, რასაკვირველია საინტერესოა, აქვს თუ არა გოლკიპერს სხვა გუნდში გადასვლის შანსი.

რამდენადაც ცნობილია, მისი გადაყვანა სურთ „ფულჰემს“, „ტოტენჰემს“, „ვესტ ჰემს“ და „ვესტ ბრომვიჩს“, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ჯეიმსს მაინც „პორტსმუთში“ დარჩენა ურჩევნიაო. გარდა ამისა, ჩამოთვლილ კლუბებს მხოლოდ თეორიულად აქვთ მეკარის შეძენის ინტერესი დადასტურებული, საქმიანი წინადადებით კი ჯერ არავისთვის მიუმართავთ. ჯეიმსის აგენტმა **კოლინ გორდონმა** თქვა: *„დევიდის „პორტსმუთიდან“ წასვლა გარდაუვალი სულაც არ არის“.*

„პორტსმუთის“ ამბებიდან აღსანიშნავია ისიც, რომ ისრაელის ნაკრების მცველით **ტალ ბენ-ჰაიმით** ბერძნული „პანათინაიკოსია“ დაინტერესებული. ბენ-ჰაიმს თავიდან „ვესტ ჰემში“ უნდოდა გადასვლა, მაგრამ იმაზე მეტი მოითხოვა ვიდრე ლონდონელები ვარაუდობდნენ და პორტსმუთის საწვრთნელ ცენტრში დაბრუნდა, სადაც ვარჯიშსაც შეუდგა. საინტერესოა, რომ 28 წლის მცველს კონტრაქტში ეწერა - თუ „პორტსმუთი“ პრემიერლიგიდან გავარდებოდა, მას თავისუფალი აგენტის სტატუსი მიენიჭებოდ, თუმცა, განა გამორიცხულია თავისუფალი აგენტი არსად წავიდეს და კარიერა ძველ კლუბში გააგრძელოს?


დევიდ ჯეიმსი

# სატრანსფერო სამკუთხედი: იუნაიტედი, სიტი, ინტერი...

მანჩესტერსა და მილანში (ქალაქებს ვგულისხმობთ) საქმე ჩაიხლართა. სერიალისთვის გამზადებული სიუჟეტია - „მანჩესტერ იუნაიტედს“ ძალიან მოსწონს მილანის „ინტერში“ მოთამაშე **მარიო ბალოტელი**, რომელიც „იუნაიტედის“ მეზობელ „მანჩესტერ სიტისაც“ ძალიან მოსწონს. მაგრამ, ამასობაში „ინტერში“ გამოჩნდება **ვესლი სნეიდერი**, რომელიც „იუნაიტედს“ ბალოტელის პარალელურად მოეწონება და მილანელებს მის სანაცვლოდ 29 მილიონ ფუნტს ანუ თითქმის 44 მილიონ დოლარს შესთავაზებს. „ინტერი“ გაოცდება, რადგან თუ მანჩესტერიდან რამეს ელოდა, მხოლოდ ბალოტელისთან დაკავშირებული წინადადება იყო და უცებ, სნეიდერის ამბავი...

როგორც ჰოლანდიელის აგენტი **სორენ ლერბი** ამბობს, ყველა მოლაპარაკება მისი კლიენტის ახალ გუნდში შესაძლო გადასვლის შესახებ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გაიმართოს, თუმცა არც იქამდეა შორი - სამხრეთ აფრიკაში მუნდიალი კვირას, 11 ივლისს დამთავრდება. ამბობენ, რომ ამ პერიოდში „ინტერიც“ აპირებს სნეიდერთან ახალ კონტრაქტზე დალაპარაკებას. ამჟამად მოქმედი ხელშეკრულების მიხედვით, ფეხბურთელი დაქვითვის შემდეგ ხელზე წელიწადში 5.28 მილიონ დოლარს იღებს. რა იქნება იმ შემთხვევაში თუ „შავ-ლურჯები“ მასთან კონტრაქტს გაახანგრძლივებენ, ჯერჯერობით არ არის ცნობილი. ერთადერთი, რისი თქმაც წინასწარ შეიძლება ის არის, რომ „ინტერს“ სნეიდერთან 2015 წლამდე სურს თანამშრომლობა.

თუმცა, როგორც მოგახსენეთ, საქმეში „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩაერთო და ეს ამბავი იტალიის ჩემპიონთა პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმაც** დაადასტურა. მილიონერმა თქვა:

*„ვადასტურებ, რომ ვესლი სნეიდერის შეძენით „მანჩესტერ იუნაიტედი“ არის დაინტერესებული. ეს ნამდვილად არ გახლავთ ჭორი, მაგრამ არც მე ვაპირებ ფულს დავხარბდე და ჰოლანდიელის გაყიდვა ვიჩქარო. ისეთი თანხა, სნეიდერის გასხვისება რომ მომანდომოს, ჩემთვის ჯერ არ შემოუთავაზებიათ. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მის გამოსვლას ვაკვირდები და მსურს თავად გავუხანგრძლივო ხელშეკრულება. მინდა სნეიდერი უახლოეს წლებში ჩვენთან დარჩეს“.*

და ბალოტელისთან დაკავშირებით რაღა ხდება? ვერ გეტყვით, რამდენად დიდი ვარსკვლავია ბალოტელი, მაგრამ მორატიმ ფასად 45,3 მილიონი დოლარი რომ დაადო, ნამდვილია და შესაძლოა ცოტა გასაკვირიც. არ არის გამორიცხული ასეთი თანხის გამოცხადებისკენ იტალიელებს მყიდველის სახელმაც უბიძგა - კლუბი, რომელმაც პირველმა მოინდომა ამ აფრო-იტალიელის გადაბირება, „მანჩესტერ სიტი“ გახლდათ, შემდეგ კი ვაჭრობაში „იუნაიტედიც“ ჩაერთო.

„ინტერის“ ტექნიკური დირექტორი **მარიო ბრანკა**: *„ბალოტელის შეძენის სურვილი „სიტიმ“ და „მანჩესტერ იუნაიტედმა“ გამოხატეს, თუმცა ამ თემაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა, რადგან მოლაპარაკებები მეტისმეტად ადრეულ ეტაპზეა. დღესდღეობით ბალოტელი „ინტერის“ ფეხბურთელია, თუმცა მისი მომავალი მსჯელობის საგანია“.*

თავად „იუნაიტედმა“ კი უარყო ხმები, თითქოს მისი მარცხენა მცველი **პატრის ევრა** „იუვენტუსში“ ან „ბარსელონაში“ მიდის. ევრა, მოგეხსენებათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრების სკანდალის ცენტრში იყო. „იუნაიტედმა“ მას შვებულება ერთი კვირით გაუხანგრძლივა, თუმცა, იქვე დასძინა, რომ ეს „სკანდალებთან“ არანაირ კავშირში არ არის და მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელის გადაღლით გახლავთ განპირობებული - გასულ სეზონში ფრანგ მცველს 60-მატჩიანი მარათონი ჰქონდა. მეტიც, „იუნაიტედში“ ფიქრობენ, რომ „ოლდ ტრეფორდი“ ფრანგული ინტრიგებისგან დასამალავად საუკეთესო ადგილია და ევრა ფეხბურთის თამაშით უმალ აქ ისიამოვნებს, ვიდრე სამშობლოში. „მანჩესტერ სიტის“ ვეტერანმა **პატრიკ ვიეირამ** კი, მოგეხსენებათ, განაცხადა, რომ ფრანგთა ეროვნული გუნდის ახალმა თავკაცმა **ლორან ბლანმა** რომც გამოიძახოს, ნაკრებში აღარასოდეს ითამაშებს და კარიერის დარჩენილ ნაწილს მხოლოდ და მხოლოდ ისტლენდელთა გუნდს მიუძღვნის.

დაბოლოს, მანჩესტერული ამბებიდან კიდევ ამის თქმა შეიძლება: „სიტიმ“ კოშიცეს MFK-დან სლოვაკი ფეხბურთელი **ალბერტ რუსნაკი** იყიდა. რუსნიაკმა **რობერტო მანჩინის** გასინჯვებზე მოაწონა თავი.

მარიო ბალოტელი და ვესლი სნეიდერი




ვესტ ბრომვიჩის მწვრთნელი რობერტო დი მატეო

# დი მატეო: ნგოგი, პიკიონი... ბერგიც

„ვესტ ბრომვიჩ ალბიონს“ „ლივერპულის“ ფრანგი თავდამსხმელის **დავიდ ნგოგის** ყიდვა მონდომებია. მოგეხსენებათ, „ვესტ ბრომვიჩი“ ის გუნდია, რომელმაც გასულ სეზონში „ჩემპიონატში“ მეორე ადგილი მოიპოვა და პრემიერლიგაში აღზევდა, ასე რომ, ნგოგს უმაღლესი ეშელონის დატოვება არ ემუქრება.

„ალბიონს“ წარსულში ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი, თავის დროზე „ჩელსიში“ ნათამაშები **რობერტო დი მატეო** წვრთნის. იმისათვის, რომ პრემიერლიგიდან არ გავარდეს, დი მატეოს თავდამსხმელი სჭირდება. და სჭირდება კი „ლივერპულს“ ნგოგი? ამბობენ, რომ მერსისაიდელები ნგოგის თავიდან მოშორებას არ აპირებენ, რადგან ჯერ უნდა გაარკვიონ, დარჩება თუ არა მათთან **ფერნანდო ტორესი** და დაიმატებენ თუ არა ჰოლანდიური „ტვენტედან“ **ბრაიან რუისს**. სხვათა შორის, „წითლების“ ახალ მწვრთნელ **როი ჰოჯსონს** მილანის „ინტერიდან“ სლოვენიელი ნახევარმცველის, 20 წლის **რენე კრჰინის** გადაბირებაც სურს...

მაგრამ დავუბრუნდეთ „ვესტ ბრომვიჩს“, რომელსაც ფორვარდის პოვნა გასჭირვებია. ვესტბრომვიჩელებმა (ვესტ ბრომვიჩი ქალაქია ინგლისში, ლონდონიდან 200 კილომეტრში, სადაც 137 ათასი ადამიანი ცხოვრობს) „პორტსმუთში“ თავგამოჩენილ ფეხბურთელ **ფრედერიკ პიკიონსაც** მიაკითხეს, თუმცა ამ უკანასკნელის შესაძენად რიგი დგას - წარმოშობით ახალკალედონიელი ფრანგის შეძენა „ფულჰემსაც“ უნდა და „ვესტ ჰემსაც“. დი მატეო „ჰამბურგის“ 23 წლის თავდამსხმელ **მარკუს ბერგითაც** დაინტერესდა, თუმცა აქაც „ფულჰემი“ უშლის ხელს - ლონდონელები, რომლებიც პარალელურად „ვალენსიას“ მცველ **მიგელზე** ევაჭრებიან და ცდილობენ საქმე 1,6 მილიონ ფუნტად გაჩარხონ, ბერგითაც დაინტერესებულნი არიან. ბერგი შვედია. მას თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში 14 თამაში აქვს ჩატარებული.

გვერდი მოამზადა
ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯრანსფერო ამბები

# კიაერიც გამგელდა

გასულ სეზონში „ვოლფსბურგი" გერმანიის მოქმედი ჩემპიონის სტატუსით თამაშობდა და საშინლად იასპარეზა. ბუნდესლიგა 2008/09 წლების სეზონის გამარჯვებულმა 58 გოლი გაუშვა, რაც საკმარისი მიზეზი იყო იმისათვის, რომ კლუბის ხელმძღვანელებს ამ ზაფხულს პირველ რიგში დაცვის ხაზის გაძლიერებაზე ეზრუნათ – მიუხედავად იმისა, რომ „მგლებს" ისევ ის მცველები ჰყავდათ, რომლებითაც გერმანიის ჩემპიონობა მოიპოვეს. ამას წინათ გაუწყეთ, რომ „ვოლფსბურგმა" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „ჰერტადან" გერმანიის ნაკრების მცველი **არნე ფრიდრიხი** შეიძინა (2 მილიონ ევროდ). ახლა კი, მენეჯერმა **დიტერ ჰიონესმა** ფრიდრიხს მეწყვილეც უყიდა: გადაწყდა და გუშინ ოფიციალურადაც დადასტურდა, რომ იტალიური „პალერმოს" დანიელი მცველი **სიმონ კიაერი** კარიერას „ვოლფსბურგში" გააგრძელებს. ფეხბურთელმა, რომელსაც არაერთი მთხოვნელი ჰყავდა, „მგლებთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, რომ დიტერ ჰიონესი კიაერის ტრანსფერზე ნახევარი წლის განმავლობაში მუშაობდა. სატრანსფერო თანხა ოფიციალურად გაისაიდუმლოებულია, მაგრამ „კიკერის" ინფორმაციით, „ვოლფსბურგს" 21 წლის უკანახაზელის ტრანსფერი დაახლოებით 10-12 მილიონი ევრო დაუჯდა. გუნდის ახალი მწვრთნელი **სტივ მაკლარენი** დარწმუნებულია, რომ კიაერი არის ფეხბურთელი, რომელიც „ვოლფსბურგისთვის" იდეალური მოთამაშე იქნება. სხვათა შორის, კიაერმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ორ მატჩში იასპარეზა - ჰოლანდიასთან (0:2) და კამერუნთან (2:1). იაპონიასთან მატჩში კი, რომელიც დანიელებმა 1:3 წააგეს, ახალგაზრდა მცველს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია.

ფრიდრიხისა და კიაერის ტრანსფერების შემდეგ, გაიზარდა იმის შანსი, რომ „ვოლფსბურგი" იტალიელმა მცველმა **ანდრეა ბარძალიმ** დატოვოს. ამ უკანასკნელს „მგლებთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს და ჰიონესმა თქვა, რომ საინტერესო წინადადების შემთხვევაში, ბარძალის კალთებს არ დაახევს. იტალიელს სათადარიგოთა სკამის ხეხვის პერსპექტივა არ ხიბლავს და ალბათ „ვოლფსბურგიდან" წავა.

**გოტფრიდ ლენცი**

# ხედირას რეალი და ჩელსი უმიზნებენ

**მიხაელ ბალაკის** ტრავმამ **სამი ხედირას** წისქვილზე დაასხა წყალი. „შტუტგარტის" ახალგაზრდა ნახევარმცველი მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში სწორედ ბალაკის ადგილზე თამაშობს და ძალიან კარგადაც ასპარეზობს, რის გამოც ყურადღების ცენტრშია მოქცეული. გავრცელდა ცნობები, რომ ხედირას ისეთმა გრანდებმა დაუმიზნეს, როგორებიც არიან მადრიდის „რეალი" და ლონდონის „ჩელსი". ფაქტია, რომ თუ ამ კლუბების დაინტერესება დაკონკრეტდა, „შტუტგარტის" ხელმძღვანელები ხედირას შვაბურ კლუბში ვერ გააჩერებენ. შესაბამისად, გუნდის მთავარი მწვრთნელი **კრისტიან გროსი** იძულებულია, იფიქროს, რა უნდა მოიმოქმედოს იმ შემთხვევაში, თუ ხედირა მის გუნდს დატოვებს.

„შტუტგარტი" ახალი სეზონისთვის დონაუეშინგენში ემზადება და გროსმა პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ახალი სეზონისთვის მას ფლანგის ორი ახალი ფეხბურთელი სჭირდება, ოღონდ იმისათვის, რომ ახალი მოთამაშეები შეიძინოს, ჯერ ფულის შოვნაა საჭირო. შესაბამისად, გროსი ხედირას გაყიდვას არ გამორიცხავს, ოღონდ ამბობს, რომ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევა, თუ მსურველი მის სანაცვლოდ დიდ თანხას გადაიხდის.

*„არ მინდა, რომ ხედირამ დაგვტოვოს, მაგრამ ჩვენ მას ვერ შევაჩერებთ,"* - აცხადებს გროსი. 23 წლის ფეხბურთელს „შტუტგარტთან" კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უმთავრდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ახლა არ გაყიდეს და ვერც ახალი ხელშეკრულება გაუფორმეს, შვაბებს გაისად ხედირას უფასოდ დათმობა მოუწევთ. „შტუტგარტის" სპორტული დირექტორის, **იოხენ შნაიდერის** თქმით, მას „რეალიდან" ან „ჩელსიდან" ხედირას თაობაზე ფაქსიც კი არ მიუღია. მოკლედ, „შტუტგარტის" შეფები ისე ლაპარაკობენ, რომ ფაქტია, სამი ხედირა ტრანსფერზეა დაყენებული.

„შტუტგარტისთვის" ფულის მოტანა გერმანიის ნაკრების კიდევ ერთი წევრის, ცენტრალური მცველის, **სერდარ ტასკის** ტრანსფერსაც შეუძლია, რომელსაც შვაბებთან კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს. მაგრამ ხედირასგან განსხვავებით, 23 წლის ტასკის მუნდიალზე არცერთი თამაში არ ჩაუტარებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას თავის გამოჩენის შანსი არ მისცემია. აქვე გეტყვით, რომ ამ დღეებში შტუტგარტელები მოლაპარაკებებს „ჰანოვერის" ბოსებთან აწარმოებენ. საქმე ეხება ბრაზილიელ **ელსონს**, რომელსაც გროსი ითხოვს. „ჰანოვერს" ელსონში 700 000 ევროს აღება უნდა.

**გოტფრიდ ლენცი**




აქტოვე-ოლიმპი

## თემურ მახარაძე

# ჩვენში მოღალატეებს რა გამოლევს?!

### მოდებაძე ოლიმპის ლიდერი გახდა. ვანგა ვარგა, მაგრამ... ფინანსები

გუშინ საქართველოს ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა" ურეკში მოსამზადებელი ეტაპი „გაგრასთან" მატჩით დაასრულა. ჩემპიონმა 5:0 მოიგო. პირველი გოლი „გაგრას" მცველმა საკუთარ კარში ჩაქრა. ტაიმის ბოლომდე ნახევარმცველმა **ლუკა რაზმაძემ** დუბლი შეასრულა და ანგარიში 3:0 გახდა. მეორე ტაიმში კი **გიორგი ჭელიძემ** დუბლით გამოიჩინა თავი და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა. „ოლიმპმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ბათიაშვილი - ღონლაძე, კვახაძე, ქემოკლიძე, გიგაური - ჭედია, ბოლქვაძე, რაზმაძე, ჭელიძე, გეწაძე - მოდებაძე.** შეცვლაზე ითამაშეს: **ბედიაშვილი, დობროვოლსკი, ხიდეშელი, დოლიძე, ვანგა.**



ჩემპიონთა ლიგის სამონაწილეო განაცხადში საქართველოს ჩემპიონმა მხოლოდ 17 კაცი შეიყვანა. გუშინ სიას **გიორგი ჭელიძე** დაემატა. აშკარაა, რომ ასეთი მოკლე სკამით რუსთავის „ოლიმპი" მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. დანარჩენს გუნდის მთავარ მწვრთნელის **თემურ მახარაძის** ინტერვიუდან შეიტყობთ...

**- ბატონო თემურ, 8 ივლისი უეფაში საბოლოო განაცხადის გაგზავნის ბოლო დღე იყო...**

- დაკომპლექტება დავასრულეთ. უეფაში გაგზავნილ განაცხადში ცვლილებები შეტანილია.

**- კენიის ნაკრების თავდამსხმელი ალენ ვანგა და გიორგი ჭელიძე თუ დაიმატეთ?**

- ჭელიძე დავიმატეთ, ვანგა - არა.

**- ვანგა სუსტი იყო?**

- არა, რატომ სუსტი? კენიის ნაკრების თავდამსხმელია და ძალიანაც მომეწონა, ათლეტური, მებრძოლი, საკმაოდ სწრაფი და სასარგებლო თავდამსხმელია... „გაგრასთან" არ უთამაშია ცუდად... თუმცა... მაინც გავუშვით.

**- თუ მოგეწონათ, რატომ გაუშვით?**

- საქმე ისაა, რომ „ოლიმპს" ფინანსურად არ ულხინს. ვანგას აყვანის შემთხვევაში უნდა გადაგვერიცხა 15 ათასი ლარი, პლუს სატრანსფერო თანხა. ჩვენდა სამწუხაროდ, კლუბის ბიუჯეტი ამხელა ხარჯს ვერ გასწვდებოდა...

**- რაკი ჭელიძე დაიმატეთ, გამოდის, რომ კარგ ფორმაშია...**

- ჯერ სასურველ ფორმაში არ არის, მაგრამ უმატებს. მას კარგად ვიცნობ და მჯერა, „ოლიმპს" სარგებლობას მოუტანს. „გაგრასთან" კარგად ითამაშა, 2 გოლიც გაიტანა. თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ აქვს...

**- რევაზ ქემოკლიძის თაობაზე რას გვეტყოდით?**

- სათამაშო სქემაში ძალიან კარგად ჩაჯდა, ზედმეტი წონაც დააგდო და დარწმუნებული ვარ, გამოგვადგება. მასაც ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს.

**- ირაკლი მოდებაძე როგორ გამოიყურება?**

- კარგი შთაბეჭდილება დატოვა და შემიძლია გითხრათ, რომ გუნდის ლიდერადაც ჩამოყალიბდა.

**- ამდენი ხნის უთამაშებლობლის შემდეგ ლიდერობა მოახერხა?**

- ეს ჩემთვისაც გასაოცარი იყო. სიმართლე გითხრათ, ირაკლის აქამდე არ ვიცნობდი, მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, ვინ იყო და რას წარმოადგენდა. ძალიან მომეწონა, როგორც პიროვნება და როგორც - ფეხბურთელი. ის ჩვენთვის კარგი შენაძენია.

**- ზოგადად შეკრებას როგორ შეაფასებთ?**

- ძალიან კარგი და ნაყოფიერი შეკრება გამოგვივიდა. სერიოზული დატვირთვები გვქონდა, ყოველ მესამე დღეს საკონტროლო შეხვედრებს ვატარებდით და ასე ვცდილობდით შეუთამაშებლობის პრობლემის მოგვარებას.

**- საკონტროლო შეხვედრებში გუნდი მოგეწონათ?**

- შედეგებით უკმაყოფილო დავრჩით, მაგრამ დაგეგმილი სამუშაოები ჩავატარეთ და კმაყოფილები ვართ. 4 შეხვედრა გავმართეთ, „სამტრედიას" 4:1 მოვუგეთ, „კოლხეთთან" და ქუთაისის „ტორპედოსთან" ფრედ 0:0 დავასრულეთ, „გაგრას" კი 5:0 ვძლიეთ. სამწუხარო ისაა, რომ ისედაც მწირი შემადგენლობა გვყავს და ორი ფეხბურთელი დაგვიშავდა - გიორგი რეხვიაშვილის ტრავმა სერიოზული არაა, მაგრამ ლაშა ჯაფარიძის ამბავი მადარდებს, კუნთი გაეჭიმა და ექიმები გვეტყვიან, 14 ივლისს „აქტობესთან" გასვლით შეხვედრაში დაგვეხმარება თუ არა. ორივე მარცხენა მცველია და მათი არყოფნის გამო, „გაგრასთან" ამ პოზიციაზე ცენტრალური მცველი დათო გიგაური ვათამაშე.

**- ჯაფარიძეც თუ ვერ დაიმატეთ, გამოდის, რომ ყაზახეთში მხოლოდ 16 ფეხბურთელის იმედად იქნებით.**

- სამწუხაროდ, ასეა... აბა, რა გითხრათ, სერიოზული საკადრო პრობლემები გვაქვს.

**- მერედა, ყაზახეთში ვინმე რომ დაშავდეს, ვის იმედად იქნებით?**

- ვერაფერს გეტყვით, მაგაზე ძალიან ვნერვიულობ. ყაზახებს 2 წლის წინ, „ზესტაფონში" მუშაობის დროსაც შევხვდი და ვიცი, რომ ხისტად და ზოგჯერ უხეშადაც თამაშობენ. მაშინ ორი ფეხბურთელი დაგვიშავეს და ახლაც იგივე რომ განმეორდეს, არ ვიცი, რას გავაკეთებთ... ძალიან გაგვიჭირდება, ყაზახებთან ორი უმძიმესი თამაში გველის.

**- თუ შეგიძლიათ, გვითხრათ, ყაზახებს „ოლიმპზე" ინფორმაციებს ვინ აწვდის?**

- ეეჰ, ჩვენში მოღალატეებს რა გამოლევს. გული მწყდება, ამას რომ აკეთებენ.

**- თავად რა ინფორმაციას ფლობთ მეტოქეზე?**

- არანაირს... მატჩის ჩანაწერიც არ გვაქვს...

**- „აქტობე" მოსკოვში ორ საკონტროლო შეხვედრას გამართავს - მატჩს თქვენი წარმომადგენელი არ დაესწრება?**

- არავინ დაესწრება... ფაქტობრივად, სრულიად უცნობ გუნდთან სათამაშოდ ბრმად მივდივართ. მათზე ზოგადი წარმოდგენა მაქვს, ვიცი, რომ მაღალი ფეხბურთელები ჰყავთ, რაც მწვრთნელის ტაქტიკაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის. თუმცა, ასეთი ბრმა წარმოდგება საკმარისი იქნება?

რუსთავის „ოლიმპის" 17-კაციანი განაცხადი:

მეკარეები - **ზურაბ ბათიაშვილი, გრიგოლ ბედიაშვილი;**

მცველები - **თემურ ღონლაძე, ლექსო კვახაძე, რეზო ქემოკლიძე, დავით გიგაური, ლაშა ჯაფარიძე, გიორგი რეხვიაშვილი;**

ნახევარმცველები - **ირაკლი დოლიძე, დავით ბოლქვაძე, გიორგი ხიდეშელი, ლუკა რაზმაძე, დენის დობროვოლსკი, გიორგი ჭელიძე, რევაზ გეწაძე;**

თავდამსხმელები - **გიორგი ჭედია, ირაკლი მოდებაძე.**

### ყაზახებს ხაირულინის ეიმედება

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ციკლში რუსთავის „ოლიმპის" მეტოქე „აქტობე" ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგიდან" ნახევარმცველ **მარატ ხაირულინით** გაძლიერდა. კლუბში ფეხბურთელის აყვანით კმაყოფილები არიან და იმედოვნებენ, რომ „აქტობეს" შემოქმედებით ფეხბურთს ათამაშებს. კლუბის ნაკლად კი სწორედ ასეთი ფეხბურთელის არყოფნას ასახელებდნენ - მიმდინარე სეზონში მისნაირი შემოქმედებითი მოთამაშე გვაკლდაო.

*„კლუბის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს იხმარს, რათა ყაზახეთი ევროტურნირებზე ღირსეულად წარვადგინოთ, ჩემპიონატში კი ლიდერის პოზიცია დავიბრუნოთ. ხანმოკლე შესვენების შემდეგ ფეხბურთელებმა ვარჯიში 2 ივლისს, მოსკოვთან ახლოს ქალაქ ბელოკამენში განაახლეს, სადაც შეკრება 12 ივლისამდე გაგრძელდება. გუნდში მშვენიერი განწყობაა, ფეხბურთელებს მსუბუქად ავარჯიშებენ"*, - იუწყება „აქტობეს" პრესსამსახური.

ცნობილია, რომ ყაზახეთის ჩემპიონის მცველები - **იური ლოგვინენკო** და **ანტონ ჩიჩულინი** დაშავდნენ. უკანა ხაზში შექმნილი პრობლემების მოგვარებას, „ოლიმპის" მეტოქე უზბეკი მცველის **მადიარ მუმინოვის** დამატებით აპირებს. მუმინოვი ბოლოს ყაზახეთის პრემიერლიგის (როგორ ჟღერს?!) „ოკჟეტპესში" ირიცხებოდა, მაგრამ კარიერა ვერ აეწყო. აქტობეელებმა **რინატ აბდულინი** ვერ დაითანხმეს და უზბეკს თვალი ამიტომ დაადგეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ევროპის ლიგა

I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# დინამოს მადლობა ლორიას!

08.07. ტალინი. ლე კოკ არენა.
1500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ფლორა (ესტონეთი) | 0 |
| დინამო (საქართველო) | 0 |

პირველი მატჩი 1:2

ფლორა: მეერიტსი, ალლასი, პალატუ, კამსი, იურგენსონი, იახიმოვიჩი, მინკენენი (74. ალიკუ), კაზიმირი, კონსა, ლუტსი, დუპიკოვი (46. პოსტი).

*სათადარიგოები:* ფროლოვი, ტაარი, ვეისი, პალმი, ბეგლარიშვილი.

დინამო: ლორია, თომაშვილი, კაკუბავა, ხმალაძე, ჯუისი, კოშკაძე, ედნილსონი, თექთუმანიძე (90+3. გიორგი გველესიანი), კახელიშვილი, რობერტინიო (85. ლექვთაძე), ვანაძე (72. მეტრეველი).

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, მამუჩიშვილი, ლექვთაძე.

გაფრთხილებები: კაზიმირი (21), კამსი (28)

არბიტრი: ი. მოისეიჩუკი (უკრაინა)

ალსანიშნავია, რომ თბილისის „დინამოს" სათადარიგოთა სკამზე სულ ხუთი ფეხბურთელი იჯდა, რაც იმას ნიშნავს, რომ 18-კაციანი განაცხადიც ვერ შეივსო. როგორც შევიტყვეთ, ფრანგულმა კლუბმა „ლე მანმა" თბილისის „დინამოს" გაბონის ნაკრების მეკარე დიდიე ოვონოს ტრანსფერისთვის განკუთვნილი 700 ათასი ევრო დღემდე არ ჩაურიცხა და ეტყობა, ამით არის გამოწვეული ფინანსური პრობლემები, რაზეც დიდი ხანია ლაპარაკობენ...

იძულებულნი ვართ, დავეყრდნოთ უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ მიმოხილვას. იქიდან კი ირკვევა, რომ თბილისელები ევროპის ლიგის შემდეგ ეტაპზე საკმაოდ დიდი ბრძოლითა და ნერვების წყვეტით გავიდნენ.

მატჩი „დინამოს" შეტევითა და **ედნილსონის** უშედეგო დარტყმით დაიწყო. უშედეგო აღმოჩნდა **ალეკო კოშკაძის** მიერ შეასრულებული საჯარიმო დარტყმაც. მე-7 წუთზე მასპინძლებმაც შეუტიეს. **ლევან ხმალაძემ** ესტონელი ფეხბურთელი მოცელა, საჯარიმო **სიიმ ლუტსმა** შეასრულა და მეკარე **გიორგი ლორიამ** „დინამო" პირველად გადაარჩინა. ისე ჩანს, თითქოს ტალინში გიორგიმ კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, რადგან მისი კარგი თამაში რამდენჯერმე აღნიშნეს: ერთ წუთში მან სტუმრები **ოლივერ კონსას** დარტყმის შემდეგ გადაარჩინა, 41-ე წუთზე კი **ალექსეი იახიმოვიჩს** არ მისცა ანგარიშის გახსნის საშუალება.

„დინამომ" პირველი სახიფათო მომენტი მე-10 წუთზე შექმნა: „ფლორას" კარში **დონალდ ჯუისმა** დაარტყა და ამჯერად კარგი რეაქცია მასპინძლების მეკარე **მარკო მეერიტსმა** გამოავლინა. ოთხ წუთში ჯუისმა ააცილა მიზანს. მე-19 წუთზე კი ედნილსონის მიერ კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს კარში გზავნიდა კოშკაძე, მაგრამ ესეც უშედეგო მცდელობა აღმოჩნდა. მალე ისევ კოშკაძემ იმარჯვა, საჯარიმო ჯუისს გაუთამაშა, მაგრამ ამ უკანასკნელმა კვლავ უზუსტოდ დაარტყა.

„დინამოს" მეკარეს ჯაფა არც მეორე ტაიმში აკლდა: 52-ე წუთზე ესტონელთა მწვავე შეტევას **მარკუს იურგენსონი** აგვირგვინებდა და ლორიამ თავისიანები კიდევ ერთხელ გადაარჩინა.

**კახა კაჭარავას** შეგირდებს კი რეალური საგოლე მომენტი 59-ე წუთზე ჰქონდათ, მაგრამ ჯუისის დარტყმას მეერიტსი გადაელობა. აღსანიშნავია **გიორგი თექთურმანიძის** შეტევაც.

62-ე წუთზე რობერტინიო დაჯარიმდა, **სიქსტენ კაზიმირის** დარტყმა სახიფათო გამოდგა - დინამოელთა მორიგი




მადლობა ლორიას! მეკარემ „დინამო" 75-ე და 79-ე წუთებზეც გადაარჩინა და ორივეჯერ - **ლუტსის** გარღვევების შემდეგ.

ოთხი წუთის განმავლობაში „ფლორამ" სამჯერ მოაწოდა კუთხური, მასპინძლები ბოლო ძალებით უტევდნენ. ამ დროს, კონტრშეტევაზე ტალინელების დასჯა ჯუისს შეეძლო, მაგრამ „ფლორას" მეკარემ მშვენიერი რეაქცია გამოავლინა.

საბოლოოდ, შეხვედრა 0:0 დასრულდა და შემდეგ წრეში საქართველოს ვიცე-ჩემპიონი გავიდა. მომდევნო საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს" მეტოქე იქნება შვედური „გეფლე", რომელმაც ორი მატჩის ჯამში ტურნირიდან ფარერული „რუნავიკი" („დინამოს" ძველი ნაცნობი) გააგდო - 2:0, 2:1.

ბუნებრივია, „დინამოს" გამარჯვება და შემდეგ წრეში გასვლა უნდა მივულოცოთ, მაგრამ ესეც სათქმელია - ქართული ფეხბურთის დონე ისე დაეცა, ჩვენი საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანს ესტონეთის გუნდთან ორი მატჩის ჯამში გამარჯვება ძალიან გაუჭირდა.

**მერაბ მამულაშვილი**

# ზესტაფონთან ფრე სან მარინოში ზეიმია

08.07. სერავალე. ოლიმპიკო
400 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ფაეტანო (სან მარინო) | 0 |
| ზესტაფონი (საქართველო) | 0 |

პირველი მატჩი 0:5

ფაეტანო: გოცი, ვალენტინი, ბორონი, რიკი (68. ვიროლი), მორონი, დელა ვალე, პელეგრინო, ჯარდი, რაჯინი (90. უგოლინი), ბუჩი, რინალდი.

*სათადარიგოები:* დიმეტო, მენჯი, მარიანი, რინალდი, დი ლუკა

ზესტაფონი: მამალაძე - ბენაშვილი, კობახიძე, ხიდეშელი, ელიავა - ძარია (70. გრიგალაშვილი), გორგიაშვილი, ბაბუნაშვილი, მიქაბერიძე (64. დვალი) - ფიფია, ლომია (64. გელაშვილი).

*სათადარიგოები:* კვასხვაძე, ონიანი, დაუშვილი, მაკარიანი

გაფრთხილება: რაჯინი (40), რიკი (57), ბენაშვილი (64), რინალდი (81)

არბიტრი: ი. როსადოსი (ანდორა)

მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე **ჯაბა დვალის** თავური „ფაეტანოს" კარის ძელს მოხვდა და მალე საფინალო სასტვენიც გაისმა. უნდა გენახათ, როგორი ყიჟინა დასცეს მატჩის დასრულებისთანავე სიხარულით მეცხრე ცაზე აფრენილმა სანმარინოელებმა. დიახ, ასეთი ბედნიერება მოჰგვარა მათ „ზესტაფონთან" მიღწეულმა წულოვანმა ფრემ, რაც დიდად გასაკვირი ნამდვილად არაა. მთელმა შეხვედრამ ხომ ქართველთა დომინირებით ჩაიარა. „ზესტაფონმა" ბურთი სამჯერ გაარტყა მეტოქის კარის ძელს და ამის გარდაც უამრავი საგოლე მომენტი გააცუდა. მოკლედ, **გია გეგუჩაძის** შეგირდებმა ცდა არ დააკლეს გამარჯვებისა და სარეიტინგო ქულების მოსაპოვებლად, მაგრამ იღბალი გუშინ მათ მხარეზე არ იყო.

„ზესტაფონმა", რომელსაც საშინაო გამარჯვების შემდეგ, თავი უკვე ქუდში ჰქონდა, „ფაეტანოსთან" განმეორებით მატჩში გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა - კარში **რიონ კვასხვაძის** ადგილი **ზურაბ მამალაძემ** დაიკავა, დაცვის ცენტრში **გიორგი ონიანი მამუკა კობახიძემ** ჩაანაცვლა, ნახევარდაცვაში **მურთაზ დაუშვილისა** და **შოთა გრიგალაშვილის** ნაცვლად **თორნიკე გორგიაშვილმა** და **გიორგი მიქაბერიძემ** ითამაშეს, **ნიკოლოზ გელაშვილისა** და **ჯაბა დვალის** დუეტი კი **გოგი ფიფიამ** და **საბა ლომიამ** შეცვალეს.

მართალია, გეგუჩაძემ ძირითადი შემადგენლობის სამი წევრი მაინც ჩართო თამაშში, მაგრამ გამარჯვებისთვის არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. მოკლედ, „ფაეტანოსთან" გასეირნება უკვე წარსულია, წინ კი 15 ივლისია, როცა მეორე რაუნდში „ზესტაფონი" გაცილებით ძლიერ მეტოქეს, სლოვაკურ „დუკლას" ესტუმრება. იმერული კლუბის რეალური ძალაც სწორედ მაშინ გამოჩნდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გია გეგუჩაძემ შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა



საერთაშორისო ტურნირი

# 800 ათასი და ბრაზილია, არგენტინა და ურუგვაი თბილისში მოდიან

## ყველაფერი შეთანხმებულია. თუ პრეზიდენტიც თანახმაა...

ახლა, ხელისუფლების, დედაქალაქის ხელმძღვანელობისა და სპონსორების კეთილი ნებაა საჭირო და ამ წლის შემოდგომაზე თბილისი საერთაშორისო ოთხთა ტურნირს უმასპინძლებს, საქართველოს, ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის ახალგაზრდული ნაკრებების მონაწილეობით. ამ ტურნირის გახსნა, თბილისობის დღესასწაულს ემთხვევა, რაც უმნიშვნელო სულაც არ არის. ამ ტურნირის ორგანიზატორი, თბილისში დიეგო მარადონას ჩამომყვანი **ნიკო პატარქალიშვილია**, რომელიც გუშინ ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში მასმედიის წინაშე წარდგა.

*„თბილისში ამ საერთაშორისო ოთხთა ტურნირის ჩატარება ჯერ კიდევ ორი წლის წინ გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებულმა რუსეთის აგრესიამ ეს პროექტი დააკონსერვა. მას მერე საკმაო დრო გავიდა და ახლა გვინდა ეს პროექტი განვახორციელოთ. უცხოელი პარტნიორების დახმარებით, ორგანიზების საკითხზე კარგა ხანია ვმუშაობ. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებთანაც ვმუშაობ. ამ საქმეში საგრძნობი პროგრესი გვაქვს და მინდა ეს გამცნოთ.*

*ფეხბურთის ფედერაციამ მაცნობა - ამ ტურნირზე ახალგაზრდული ნაკრების მომზადებასა და გამოყვანაზე თანახმაა. არგენტინის, ბრაზილიისა და ურუგვაისგან თანხმობა მივიღეთ. ოთხთა ტურნირის 6 მატჩიდან ოთხი შეხვედრა ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება, ორი კი მიხეილ მესხის სახელობის არენაზე. ამ სტადიონის ხელმძღვანელობებთან უკვე მიღწეულია შეთანხმება. გათამაშების კალენდარიც შევადგინეთ და უცხოურ მხარესთანაც შევათანხმეთ.*

*ეს ოთხთა გათამაშება 30 ოქტომბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით გაიმართება და ტურნირის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი მაღალ მხატვრულ დონეზე იქნება მომზადებული. საამისოდ მთელი შემოქმედებითი ჯგუფი მუშაობს და სპეციალური სცენარი შემუშავდება. ამ საქმეში ისეთი ცნობილი სახეები არიან, როგორებიც არიან რომა რცხილაძე, ქორეოგრაფი რევაზ ჭანიშვილი, რეჟისორი ოთარ მიქელაძე, მხატვარი აბესალომ ციბაძე. მოკლე ხანში ტურნირის საორგანიზაციო შტაბს დავაკომპლექტებთ და ყველა ერთად წარვდგებით მასმედიის წინაშე. ამ შტაბში დედაქალაქის მერიის, სპორტის სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციის და სპონსორი კომპანიის წარმომადგენელთა გარდა ჟურნალისტებიც იქნებიან“.*

ნიკო პატარქალიშვილმა გვაცნობა, რომ მან უკვე გაუგზავნა წერილი ქვეყნის პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილს**, რომელშიც ხელისუფლების პირველ პირთან ამ ტურნირის მნიშვნელობას უსვამს ხაზს და თანადგომას სთხოვს. პატარქალიშვილის განმარტებით, ამ ტურნირის ჩატარება 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის ფეხბურთელთა მომზადებასა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს.

პატარქალიშვილის ჩანაფიქრი ასეთია - ამ ტურნირისას სტუმართა დელეგაციებში ბიზნესჯგუფებიც იქნებიან, რაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ჩინებული საშუალებაა. გარდა ამისა, მას სურს გათამაშების დასრულების შემდეგ უცხოელ მწვრთნელთა დახმარებით, საქართველოში გამორჩეული ჭაბუკი ფეხბურთელები შეირჩეს და მათ სტაჟირება გაიარონ არგენტინასა ან ბრაზილიაში.

ტურნირის ორგანიზატორმა მატჩების განრიგიც გაგვაცნო, რომელიც, უცხოურ მხარესთანაც არის შეთანხმებული:

**30 ოქტომბერი**

ეროვნული სტადიონი. 19:00
**საქართველო-არგენტინა**

**1 ნოემბერი**

ეროვნული სტადიონი. 20:00
**ბრაზილია-ურუგვაი**

**3 ნოემბერი**

მიხეილ მესხი. 16:00
**არგენტინა-ურუგვაი**
ეროვნული სტადიონი. 20:00
**საქართველო-ბრაზილია**

**5 ნოემბერი**

მიხეილ მესხი. 16:00
**საქართველო-ურუგვაი**
ეროვნული სტადიონი. 19:00
**ბრაზილია-არგენტინა**

როგორ ამ ტურნირის ორგანიზატორმა ნიკო პატარქალიშვილმა გვითხრა, უცხოურ მხარეს მყარი გარანტიები სჭირდება და ითხოვს ამ ტურნირის ორგანიზებასთან დაკავშირებით აგვისტოში გაფორმდეს ხელშეკრულებები.

*„უცხოური მხარე გვთხოვს აგვისტოში გავაფორმოთ ხელშეკრულებები. ეს ჩვენთვისაც არ უნდა იყოს მიულებელი, რადგან ამ გათამაშების სათანადოდ ორგანიზებისთვის ეს ჩვეულებრივი მომენტია. იმედი გვაქვს, ხელისუფლების, დედაქალაქის მერიის, სპორტის სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციისა და კომპანიებისგან სპონსორობაზე მხარდაჭერა გვექნება და ამ ტურნირს მაღალ დონეზე ჩავატარებთ, ისე, როგორც საქართველოს ეკადრება. ყველაფერი მაღალ დონეზე იქნება და ეს უნდა ირწმუნოს ყველამ, მათ შორის ხალხმაც. ყველას უნდა დავანახოთ, რომ საქართველოში კვლავ გამორჩეული გულშემატკივარია. ჩვენ მათი ინტერესიც გავითვალისწინეთ და ამ ტურნირის მატჩებზე ბილეთების დიდი ნაწილი 5-ლარიანი იქნება. ბილეთის მაქსიმალური ფასი 15 ლარი ან უფრო ნაკლები გვინდა იყოს“.*

ნიკო პატარქალიშვილს ტურნირის ფინანსურ მხარესა და ფეხბურთის მეფე **პელეს** თბილისში შესაძლო ჩამოსვლაზე დაეკითხნენ:

*„ფინანსურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით რამდენიმე შეხვედრა მქონდა. მართალი გითხრათ, ამ ტურნირის მიმართ არის ინტერესი. ერთ-ერთ ბანკსაც ვესაუბრე, დაინტერესდნენ, მაგრამ ეს ამ გათამაშებას მხოლოდ ნაწილობრივ დააფინანსებს და მთლიან ხარჯს ნამდვილად ვერ გასწვდება. სპონსორი ფირმის რეკლამირება ამ ტურნირზე რეზონანსული იქნება, რადგან გათამაშების მატჩების ტელეტრანსლირებით ბრაზილიის, არგენტინისა და ურუგვაის მედიასაშუალებებიც დაინტერესდნენ. მთლიანად ამ ტურნირის ორგანიზება, სტუმართა გუნდების მგზავრობის, დაბინავებისა და ჰონორარის ხარჯების ჩათვლით 800 ათას დოლარია. თუ ყველაფერი მაღალ დონეზე იქნება ორგანიზებული, ამ ტურნირზე ფეხბურთის მეფე პელეს ჩამოყვანაც შესაძლებელი იქნება. თუ ასე მოხდა, „ყავა პელე“ მხარში დაგვიდგება“*, - აღნიშნა ნიკო პატარქალიშვილმა.

**დავით ცაბაძე**




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ლეგიონერები



ირაკლი ლილუაშვილი

# დნიპროს განაცხადში სამი ქართველია

## ლილუაშვილი ილიჩევეცში არ დატოვეს

დნეპროპეტროვსკის „დნიპრომ“ უკრაინის ჩემპიონატში სამონაწილეო განაცხადი გამოაქვეყნა. სიაში სამი ქართველია: მცველი **უჩა ლობჟანიძე** სეზონს 3-ნომრიანი მაისურით ჩაატარებს, 17 წლის ნახევარმცველი **ლევან არველაძე** (ნომერი 80) და თავდამსხმელი **ევგენი ბოხაშვილი** (77). ეს ორი უკანასკნელი „დნიპროს“ საჩემპიონატო განაცხადში პირველად მოხვდა.

არველაძე „ოლიმპის“ საფეხბურთო აკადემიის აღზრდილია, „დნიპროში“ წელიწადნახევარია, რაც მიიწვიეს, საიდანაც დუბლშემადგენლობაში მოხვდა. **გიორგი დევდარიანი** 17-წლამდელთა ნაკრებში სტაბილურად უხმობდა.

17 წლისაა ბოხაშვილიც, რომელიც დნეპროპეტროვსკშია დაბადებული და „დნიპროს“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. გასულ სეზონში დუბლებში 27 შეხვედრა ჩაატარა და თავი 6-ჯერ გამოიჩინა.

პარალელისთვის საინტერესო უნდა იყოს, რომ დნეპროპეტროვსკელთა განაცხადში 46 ფეხბურთელია, მაშინ, როცა ქართული კლუბები ზოგჯერ ევროგანაცხადში 18 ფეხბურთელსაც კი ძლივს აგროვებენ.

სიაში ვერ მოხვდა საქართველოს ნაკრების წევრი **ჯაბა კანკავა**, რომელიც ფეხის მოტეხილობის გამო ლამის ბოლო ორი წელია მოედანს ვერა და ვერ უბრუნდება. იყო ლაპარაკი კრივოი როგის „კრივბასში“ მის განათხოვრებაზე, მაგრამ ჯაბა არც „დნიპროს“ განაცხადშია და არც - „კრივბასის“.

წელს „კრივბასში“ ითამაშებენ „დნიპროდან“ ახლახან განათხოვრებული **ბექა გოცირიძე** და **სანდრო კობახიძე**. სხვათა შორის, იმავე „დნიპროდან“ კრივოი როგში ფეხბურთელის გადასვლა უკრაინული მედიის მხრიდან ირონიის საბაბი გახდა. ინტერნეტგაზეთი „უაფუტბოლი“ წერს:

*„ფაქტობრივად, „კრივბასში“ მხოლოდ ერთი ახალწვეულია. პერტურბაციები სქემით - „დნიპრო“-“კრივბასი“-“არსენალი“, კერძოდ, ბოროვიკის, კლიმავიჩუსის, გოცირიძისა და სამოდინის კროვოი როგში გაშვება, ზოგადად მიღებული სატრანსფერო ცნებაში ძნელად თუ თავსდება“.*

საქმე ისაა, რომ უკრაინაში არსებობს დაჯგუფება გუნდებისა, რომელთაც ერთი და იგივე პატრონი ჰყავთ. ერთდროულად კიევის „დინამოს“, დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“, კიევის „არსენალისა“ და კრივოი როგის „კრივბასის“ მეპატრონე **იგორ კოლომოისკი** გახლავთ - „დნიპროს“ მფლობელი და პრეზიდენტი, უკრაინაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენიცაა...

სხვათა შორის, უჩა ლობჟანიძის შეძენის დროს გაცხადდა, რომ კოლომოისკიმ იანვარში გუდაურის სათხილამურო კურორტი შეიძინა და ეს სიამოვნება 14,5 მილიონი დოლარი დაუჯდა. თებერვალში კი „დნიპროში“ 2 მილიონ ევროდ ლობჟანიძე შეიძინა. თუმცა მაშინვე გაჩნდა ინფორმაცია ლობჟანიძის კრივოი როგის „კრივბასში“ განათხოვრებაზე.

ანუ, სქემა ასეთია - ამ ოთხეულში საუკეთესო ფეხბურთელებს კიევის „დინამოში“ შეკრებენ და ვიქონიოთ იმედი, რომ ქართველები უკრაინული პირამიდის თავში მალე მოხვდებიან. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ სადღეისოდ ვითარება დამაიმედებელი არაა.

„უაფუტბოლმა“ ინტერვიუ სთხოვა „კრივბასის“ მთავარ მწვრთნელ **იური მაქსიმოვს** და გოცირიძისა და ლიტველი კლიმავიჩუსის დონის შეფასება სთხოვა.

*„მათ რეალურ შესაძლებლობებსა და პოტენციალზე ლაპარაკი მხოლოდ ჩემპიონატის შეხვედრების შემდეგ იქნება შესაძლებელი“*, - ასეთი ლაკონური იყო მაქსიმოვის პასუხი.

უკრაინის ჩემპიონატის პირველი ტური 10 ივლისს გაიმართება. მარიუპოლის „ილიჩევეცში“ აღარ ჩანს სლოვაკეთის „ნიტრას“ ყოფილი თავდამსხმელი **ირაკლი ლილუაშვილი**, რომელიც იქ სინჯებზე იმყოფებოდა. როგორც ჩანს, ირაკლი უკან გააბრუნეს.

გასასინჯის გაშვება კიდევ გასაგებია, მაგრამ ბოლო საკონტროლო მატჩებში არც „გაგრას“ ყოფილ ფორვარდ **გიორგი გაბედავას** უთამაშია. რა მიზეზით, ჩვენთვის უცნობია...

**მერაბ მამულაშვილი**

## ორი ქართველი მსოფლიო ნაკრებში...

ყაზახეთის ნაკრების ყოფილმა მეკარე **დავით ლორიამ** (ამჟამად „ირტიშში“ თამაშობს), ადგილობრივ ინტერნეტგაზეთ „სპორტსთან“ ინტერვიუში, მსოფლიო ნაკრების საკუთარი ვერსიის დასახელება სთხოვეს. ლორიამ თერთმეტ საუკეთესოში ორი ქართველი მცველი შეიყვანა და ორივე - ფლანგებზე: მარჯვნივ **რევაზ ძოძუაშვილი**, ხოლო მარცხნივ **კახა კალაძე**.

**მერაბ მამულაშვილი**

ძიუდო

ინტერვიუ ამირან ტოტიკაშვილთან

# მერწმუნეთ, ორი-სამი წლის შემდეგ სულ სხვა გუნდი გვეყოლება

ჩვენი ძიუდოისტთა ნაკრებმა წარუმატებლად იჭიდავა მოსკოვის „დიდ მუზარადზე“ - ჩვენებურთა საუკეთესო მაჩვენებელი მეხუთე ადგილია. საკმაოდ სუსტად გამოვიდნენ გუნდის ლიდერებიც, რაც ქომაგისთვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა. მათთვის ნუგეში არაა ის გარემოება, რომ ნაკრები ახლა იწყებს მსოფლიოს პირველობისთვის მზადებას და ჯერ არაა ფორმაში.

წარუმატებლობის მიუხედავად, ნაკრების თავკაცი ამირან ტოტიკაშვილი მსოფლიოს ჩემპიონატს მაინც იმედიანად უყურებს და ამბობს, რომ გუნდი ფორმაში შესვლას მოასწრებს. მასთან ინტერვიუ მოსკოვური ტურნირის შეფასებით დავიწყეთ.

**- როგორ აფასებთ ჩვენი ნაკრების გამოსვლას მოსკოვის პრესტიჟულ ტურნირზე?**

- იცით, რომ ამ ტურნირის წინ ბათუმში შედარებით თავისუფალი შეკრება გვქონდა, რომელიც უფრო განტვირთვას ისახავდა მიზნად. აქედან გამომდინარე, მოსკოვში დიდ შედეგებს არ ველოდი - ჩვენი მიზანი იყო, ბიჭებს სტარტი აეღოთ და წონა დაეკლოთ, რადგან რამდენიმე შეჯიბრებაზე არ დაუკლიათ. ამის მიუხედავად, იქ მაინც იყო რამდენიმე კარგი და დასამახსოვრებელი მომენტი. მაგალითად, ახალგაზრდა ნუგზარ ტატალაშვილის ჭიდაობა.

**- მის გარდა, სხვას თუ გამოარჩევთ?**

- რადგან ფორმაში არ ვიყავით და შეჯიბრებას მომზადებულები ვერ ვხვდებოდით, ძნელია, ვინმეს ჭიდაობა დადებითად ან უარყოფითად შეაფასო.

**- მაგრამ, ხომ არ გეჩვენებათ, რომ ნაკრების ლიდერებმა მოსალოდნელზე უფრო ცუდად იჭიდავეს?**

- ჯერ ისედაც რა ფორმაში ვიყავით და მოუმზადებლებს რაღა უნდა ეჭიდავათ?

**- თუმცა ცირეკიძემ ასე მოუმზადებელმა მადრიდის ტურნირი მოიგო, აქ კი ბელარუს იაუჰენ ბიადულინთან წააგო.**

- ბიადულინმა წლეულს ტუნისის „დიდი მუზარადის“ ტურნირი მოიგო, თუმცა იმ შეხვედრაში ცირეკიძემ სამი გდება გაუკეთა. მართალია, ბელარუსმა ნამდვილად შეასრულა ვაზარი, მაგრამ ამის ილეთებიდანაც ერთზე ნამდვილად შეიძლებოდა იმავე შეფასების მიცემა. თუმცა ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ წაგებას მსაჯებს ვაბრალებ - კიდევ ვიმეორებ, ბიადულინმა ნამდვილად გაუკეთა ვაზარი. ჩვენი ძირითადი ამოცანა სტარტის მიღება იყო, ახლა კი ახალი შემართებით დავიწყებთ შეკრებას და მზადებას მსოფლიოს პირველობისთვის. დღეს მინისტრს ვხვდებით და გაირკვევა, წავალთ თუ არა ბელარუსში შეკრებაზე. თუ წავედით, მაშინ ბაკურიანში ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას 10 ივლისს დავიწყებთ, თუ არა - 16-ში. თუ წავედით, ის შეკრება ავტომატურად მიებმება ფიზმომზადების შეკრებას, რაც ძალიან კარგი იქნება გუნდისთვის.

**- ალბათ, ბელარუსში სტაიკების ბაზაზე გაივლით შეკრებას. სავარაუდოდ, იქ სხვებიც ჩავლენ. თუ იცით, რამდენი გუნდი იქნება?**

- კი, შეკრებას ნამდვილად სტაიკებში გავივლით. როგორც ვიცი, ძალიან ბევრი გუნდი აპირებს ჩასვლას და შეკრებაც ძლიერი უნდა გამოვიდეს. ბელარუსში წასვლას 25 ივლისს ვგეგმავთ.

**- ისევ მოსკოვის ტურნირს დავუბრუნდეთ. ლიპარტელიანის გამოსვლაზე რას იტყვით?**

- თამამად ვიტყვი - როცა ლიპარტელიანი ფორმაშია, ჯარჯი ზვიადაურს, ანუ იმავე ილიას ილიადისს ათიდან ათივე შეხვედრას მოუგებს. ჯარჯის უკვე წასვლაზე უჭირავს თვალი, ეს კი თანდათან იბრუნებს ფორმას. ახლა მთელი ათი დღე კიმონო არ ჩაგვიცვამს,



ამირან ტოტიკაშვილი

ბათუმიდან ჩამოსვლის მერე ორ დღეში წავედით და არ იყვნენ ფორმაში, მოძრაობაც უჭირდათ. ასეთ პირობებში ძნელია, მათ შედეგები მოსთხოვო. ადრე, ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს კი იყო ისე, რომ ყოველ წუთს, ნებისმიერ მომენტში, ნებისმიერი ტურნირისთვის უნდა ყოფილიყავი მზად - ოლიმპიადა იქნებოდა, მსოფლიოს პირველობა თუ რიგითი საერთაშორისო ტურნირი. იმიტომაც ვერ ძლებდნენ მაშინდელი სპორტსმენები 4-5 წელიწადზე მეტს. სამაგიეროდ, ახლა ფსიქოლოგიური დატვირთვა გაიზარდა, ამიტომ სპორტსმენს არ უნდა ჰქონდეს იმის შიში, აი, ახლა რომ წავაგო, ამით ყველაფერი დამთავრდებაო. ყველამ კარგად იცის, რა გუნდი ჩავიბარე. მისი გაახალგაზრდავება პეკინის ოლიმპიადის შემდეგ უნდა მომხდარიყო, მაგრამ რაკი ასე არაა, ვალდებული ვართ, იმ რესურსს დავეყრდნოთ, რაც დაგვხვდა და იქიდან მაქსიმუმი ამოვწუროთ. მერწმუნეთ, 2-3 წლის შემდეგ სულ სხვა გუნდი გვეყოლება - ერთ-ერთი საუკეთესო, ოღონდ, თუ გაგრძელდება ის მუშაობა, რაც სჭირდება სისწრაფის გამომუშავებას, ტექნიკისა და ილეთების დახვეწას.

**- თქვენი აზრით, რომელი სისტემა სჯობდა - საბჭოური თუ ახლანდელი?**

- ცხადია, საბჭოური. მაშინ ყველამ ვიცოდით, რა უნდა გვეკეთებინა, დღეს კი ბევრი უცოდინარი პროფესორი ხდება და ზოგ სპორტსმენსაც რაღაცა ემართება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ლიდერობა ნაკრებში. ახალგაზრდა იქნება, ვეტერანი, ოლიმპიური თუ მსოფლიოს ჩემპიონი, ყველამ ყოველდღე უნდა იფიქროს ახალ შედეგზე. როცა გუნდში ატმოსფერო ირევა, ეს მერე ყველაზე გადადის - ახალგაზრდაზეც და ვეტერანზეც.

**- და რა გვიშლის ხელს ამის მიღწევაში - მეტი სიმკაცრე და დისციპლინაა საჭირო?**

- ალბათ, ოლიმპიადის მერე გუნდი უნდა გაახალგაზრდავდეს და ვარჯიშებიც სისტემატური უნდა იყოს. როცა სხვები მთელი სამასი დღე შეკრებაზე არიან, როგორ გინდა, იმათ მოუგო, გაძაასწრო ერთი ან ორი შეკრებით?! ეს არასოდეს მოხდება იმის მიუხედავად, რომ ჩვენში ტალანტები მუდმივად არიან. მე იქნებ ვარჯიშზე მარაო მეჭიროს ხელში და ვინიავებდე, მაგრამ იმ ტალანტების ხარჯზე ერთი-ორი კარგი სპორტსმენი ასეც გამოჩნდება. ჩვენი მიზანია, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს მივცეთ იმდენად სწორი მიმართულება, რომ ეროვნულ ნაკრებში ჩამოყალიბებული ფალავნები მოვიდნენ და არა ისეთები, ილეთებს აქ რომ სწავლობდნენ. ეროვნულ ნაკრებში მიზანმიმართულად უნდა ვმუშაობდეთ კონკრეტული შეხვედრისთვის მოსამზადებლად და არა ფანდების შესასწავლად.

**- ეგ ყველაფერი ოლიმპიადის შემდეგო, მაგრამ ოლიმპიადამდე რა გვეშველება?**

- კიდევ ვიმეორებ - ოლიმპიადამდე სადღეისოდ არსებულ რესურსს უნდა დავეყრდნოთ, ვიმუშაოთ მათზე და ვეცადოთ მაქსიმალური შედეგის მიღებას, რათა ოლიმპიადას მზადყოფნაში შევხვდეთ.

**- გუჯეჯიანის მოსკოვურ გამოსვლას როგორ აფასებთ? მას ძალიან ბევრი გაუცდა და როგორ ატყობთ, შეძლებს ფორმის დაბრუნებას?**

- ბევრი კი გაუცდა, მაგრამ ევროპის გუნდურ პირველობაზე ძალიან დიდი პერსპექტივა დამანახა. პრაქტიკულად, მან მოგვაგებინა ორი შეხვედრა, ფინალში კი მის ორთაბრძოლას არც ჰქონდა მნიშვნელობა. მე მქონდა იმის დრო და საშუალება, ყველას ხასიათი უკეთ გამეცნო. ჩვენ უნდა გადავიდეთ ასეთ რეჟიმზე - შრომა-დისციპლინა; შრომა-დასვენება... დისციპლინის გარეშე არაფერი გამოვა, ამ წონაში კი მთავარი პრობლემა ისაა, რომ კადრების დეფიციტია, ასარჩევი არ გვყავს. დღეს ამათზე უკეთესი არავინაა და ახალგაზრდებთან ძალიან ბევრია სამუშაო. ისინი წააგებენ თუ მოიგებენ, ამას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს - ამით გამოცდილებას მიიღებენ, მერე კი მათ ხარვეზებზე უნდა ვიმუშაოთ.

**- ტატალაშვილში, რომელიც წლეულს საკმაოდ კარგად ჭიდაობს და ლამის უმტკივნეულოდ გადმოერთო ახალგაზრდულიდან ეროვნულ ნაკრებში, რა დადებით თვისებებს ხედავთ?**

- ეს ბიჭი ყოველდღიურად უმატებს. მას სუნთქვის პრობლემა ჰქონდა, როგორც ყველას, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ეტყობა, ეს გლანდების ბრალი იყო და არა უვარჯიშებლობის. ოპერაციის შემდეგ ეს პრობლემა მოეხსნა და თამამად შემიძლია ვთქვა, ყველაზე მეტს ის ვარჯიშობს. მჯერა, ტატალაშვილი ერთ-ერთი სამაგალითო იქნება იმ ახალგაზრდათაგან, რომლებიც მსოფლიოს პირველობაზე მოხვდებიან.

**- სამწუხაროდ, პაატა მერებაშვილის წარუმატებლობა ისევ გრძელდება. რატომ - თქვენ რითი ხსნით ამას?**

- თუ დამიჯერებთ, ამ წონითი კატეგორიის გახსენებაც არ მინდა. მაგრამ უნდა ვიბრძოლოთ, ვიშრომოთ და იქნებ რამე გამოვიყვანოთ.

**- იქნებ მისი 60-ში დატოვება ჯობდა?**

- ის 65 კილოგრამამდე ადის. თან, თუ შეიძლება ასე ითქვას, მშრალი ორგანიზმი აქვს და უჭირს დაკლება. დატვირთვებისას წონის დაჭერა ცოტა ძნელი საქმეა. მას სიმაღლე აქვს და ამიტომ ვამჯობინე ახალ წონაში გადაყვანა, მაგრამ ცოტა მუშაობა სჭირდება.

**- მაინც რა კუთხით - ფიზიკურად, ტექნიკურად, ტაქტიკურად თუ როგორ?**

- ფიზიკურადაც, მაგრამ უფრო - ტექნიკის მხრივ. მას ისეთი ჩავლება აქვს, გაუჭირდება.

**- მის ამ ნაკლზე დიდი ხანია, საუბრობთ. რამდენად სწრაფად მიდის საქმე პროგრესისკენ?**

- დამეთანხმებით, საქმე ერთ დღეში არ გამოსწორდება. არავის კრიტიკა არ მსურს, მაგრამ მას ეს ნაკლი აქამდე უნდა გამოესწორებინა. შეიძლება, ქართველი მოჭიდავე მოგვერდს და გადავლებას არ აკეთებდეს და ამ ილეთებით უცხოელები გვიგებდნენ? ახლა ამ მიმართულებით სისტემატურ ვარჯიშებზე გადავდივართ - ყოველდღიურად ვმუშაობთ ქამარზე, ვცდილობთ, ეს ყველაფერი მოძრაობაში გავაკეთოთ. საქმეა ისეა, თუ არ დაავალე, მოგვერდს არავინ შეასრულებს. ამას დღე და ღამე ჩიჩინი უნდა, სპორტსმენს სახლშიც გამუდმებით სიტყვა „ქამარი“ რომ ესმოდეს.

**- მოსკოვური ტურნირის შემდეგ როგორ ფიქრობთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ღირს კი ყველა წონაში ორი კაცის წაყვანა?**

- სადღეისო გადასახედიდან, იქნებ ზოგ წონაში არც ღირდეს ეს, მაგრამ ამით ურეიტინგო ფალავნებს ქულების მიღების რაღაც შანსი ეძლევათ. თან გამოცდილებასაც მიიღებენ. ხომ შეიძლება, ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და მათ შორის მოგებული ქულებსაც მიიღებს. არც ისაა გამორიცხული, მანამდე ვინმე სუსტსაც აჯობოს და ამ შემთხვევაში ორი მოგება გამოუვა და ქულაც მეტი დაუგროვდება.

**- მაგრამ ვისაც წარმატების პერსპექტივა არ აქვს, იქნებ არც ღირდეს მისი წაყვანა? ვთქვათ, აიღო ქულები, მაგრამ ამით რა? გამოცდილება კი ბევრად დაბალი რანგის ტურნირებში მიიღონ, სადაც წარმატების მეტი შანსი ექნებათ.**

- სადაც პერსპექტივა არაა, იქ უნდა ვიწვალოთ ქულებისთვის, ხავსს მოვეჭიდოთ და ლიცენზიისთვის ყველაფერი გავაკეთოთ.

**- გულახდილად რომ ვთქვათ, მოსკოვში ნანახის შემდეგ რამდენად გეიმედებათ, რომ მსოფლიოს პირველობამდე ნაკრები მოასწრებს ფორმაში შესვლას?**

- გუნდი რომ ფორმაში შესვლას მოასწრებს, ამის გარანტიას მოგცემთ, მაგრამ იქ რა მოხდება, წინასწარ ვერ გეტყვით. მოგეხსენებათ, წარმატებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, თუნდაც - მსაჯებისა, ჩვენ კი ტოკიოში აკლიმატიზაციის გასავლელად ერთი კვირით ადრე ჩავალთ, როგორც თავიდანვე დავგეგმეთ.

**ირაკლი თავაძე**

ჭადრაკი




## ფოთში მეხუთედ

ხვალ ფოთში სტარტს აიღებს სახელოვანი ქართველი დიდოსტატის, ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელის, მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების 6-გზის გამარჯვებულის - **ნანა ალექსანდრიას** თასის მე-5 გათამაშება. საჭადრაკო ფესტივალში, რომლის საპრიზო ფონდია 26 000 ლარი, უფროსებთან ერთად სხვადასხვა ნომინაციაში ჯილდოებისთვის 8-14 წლის გოგონები და ვაჟებიც იბრძოლებენ.

## ქართული დესანტის მონაგარი

კონიაში დასრულდა მოჭადრაკეთა თურქეთის საკლუბო ჩემპიონატი, რომელშიც 14 გუნდი ასპარეზობდა უცხოელ დიდოსტატთა და საერთაშორისო ოსტატთა მონაწილეობით. შეჯიბრებაში სხვებთან ერთად საქართველოს 12 წარმომადგენელიც ცდიდა ძალებს.

შესანიშნავად ითამაშეს ლიდერებმა - „მანისამ“ და „ადანამ“, რომლებმაც 12-12 შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ თითო ორთაბრძოლა დაამთავრეს ფრედ. გუნდის წევრთა მოგროვებული 94,5 ქულით პირველ ადგილზე „მანისა“ გავიდა. გამარჯვებულს 9,5 ქულით ჩამორჩა „ადანა“. გუნდური 18 ქულით მესამე ადგილი დაიკავა „ისეკმა“ (75,5), რომლის ღირსებას, როგორც გაუწყეთ, **ლევან ფანცულაიასთან** ერთად ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონი **რუსტამ კასიმჯანოვი, მაიკლ ადამსი, სუათ ატალიკი**, 2006 წლის ევროპის ჩემპიონი **ეკატერინა ატალიკი** იცავდნენ (ოქროს და ვერცხლის მედალოსანთა შემადგენლობაში ჩვენებურები არ გამოდიოდნენ).

ჩემპიონატზე ქართული დესანტის მონაგარი ასეთია: **ლევან ფანცულაია**-11,5(12 პარტიიდან), **მარიამ დანელია**-11 (12), **სოფიკო გურამიშვილი**-8,5 (13), **დავით არუთინიანი**-8,5 (13), **მიხეილ მჭედლიშვილი**-7,5 (12), **სოფიო გვეტაძე**-7 (13), **სალომე მელია**-7 (12), **ქეთი წაწალაშვილი**-6,5 (13), **გიორგი მარგველაშვილი**-6,5 (13), **მერაბ გაგუნაშვილი**-6 (10), **თამაზ გელაშვილი**-6 (12), **თორნიკე სანიკიძე**-5 (13) ქულა.

**ვაჟა დანელია**



მიხეილ მჭედლიშვილი (მარცხნივ) და თამაზ გელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ნაკრები

# ნაკრებს ზაზა და ნიკაც შეუერთდნენ

საქართველოს ნაკრები ავსტრიაში პირველ ივლისს შეიკრიბა. მწვრთნელ **იგორ კოკოშკოვს** განკარგულებაში 14 კალათბურთელი ჰყავდა, გუნდს აკლდნენ **ზაზა ფაჩულია** და **ნიკა ცქიტიშვილი**. ზაზა თურქეთში იყო, ხოლო ნიკას სავიზო პრობლემა შეექმნა და თბილისიდან შტაინბურნისკენ მიმავალ კალათბურთელებთან ერთად ავსტრიაში გამგზავრება ვერ მოახერხა.

გუშინ ნაკრებმა სრული შემადგენლობით ივარჯიშა, ავსტრიაში ნიკაც ჩავიდა და ზაზაც. როგორც მიხვდით, ცქიტომ სავიზო პრობლემები მოაგვარა, ხოლო ფაჩულიამ თურქეთში გამართული კემპი 4 ივლისს დაასრულა და 5-ში ნაკრებს ავსტრიაში შეუერთდა. ზაზასთან ერთად სტამბოლის კემპში NBA-ს ვარსკვლავებიც მონაწილეობდნენ - **ჰედო თურქოღლუ, მირსად თურქანი, ერსან ილიასოვა...**

ასე და ამგვარად, ჩვენი ეროვნული ნაკრები ავსტრიის საკურორტო ქალაქ შტაინბურნში სრული შემადგენლობით ვარჯიშობს... თუმცა არ უნდა გამოგვრჩეს, რომ გუნდში ერთი დანაკლისია - მუხლის ტრავმის გამო ეროვნულს წლეულს ვერ დაეხმარება **ვლადიმერ ბოისა**. მან ტრავმა ხორვატიის ჩემპიონატის ფინალური სერიის მესამე მატჩში მიიღო და დღემდე მკურნალობს.

შარშანდელი გუნდიდან ნაკრებში ვოვა ბოისა და **ტაირონ ელისი** არ არიან, თუმცა იგორ კოკოშკოვს ორი ახალწვეული ჰყავს - **ტორინ გრინი** და **ქიუნტონ ჰოსლი.** ეს ამერიკელები შეკრებაზე პირველივე დღიდან გამოცხადდნენ. ქართველ კალათბურთელთა თქმით, ამერიკელები დადებითი პიროვნებები არიან და გუნდთან შეგუება არ უნდა გაუჭირდეთ. გრინისა და ჰოსლის სპორტულ შესაძლებლობებზე კი კონკრეტულად ლაპარაკი ჯერ ადრეა, რადგან გუნდი ამჟამად ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზეა ორიენტირებული...

ეროვნულ ნაკრებში ვარჯიშობს **თორნიკე შენგელია,** თუმცა შეიძლება მან შეკრება დროებით დატოვოს. საქმე ისაა, რომ B დივიზიონის 20-წლამდელთა ჩემპიონატის მატჩები სწორედ ავსტრიაში გაიმართება (14 ივლისიდან) და თორნიკე, სავარაუდოდ, საწყის სამ მატჩში ახალგაზრდულ ნაკრებს დაეხმარება.



ნიკა ცქიტიშვილი



ნიკა ცქიტიშვილი

საქართველოს ეროვნული გუნდი შტაინბურნში 16 ივლისამდე დარჩება. 17-ში კი უნგრეთის ქალაქ სომბათჰეიში ადგილობრივ ნაკრებთან ერთ საკონტროლო შეხვედრას გამართავს. მატჩის დასრულებისთანავე ქართველები ავსტრიაში დაბრუნდებიან და სლოვაკეთის ნაკრებთან თამაშისთვის მოემზადებიან. სლავებთან შეხვედრა 19 ივლისს გაიმართება. 20-ში კი ეროვნული გუნდი თბილისში გამოემგზავრება. ნაკრების მენეჯერმა **მერაბ რატიშვილმა** ვარაუდი გამოთქვა, რომ გუნდი ავსტრიაში ადგილობრივ ნაკრებსაც გაეჯიბრებოდა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ავსტრიელებთან საკონტროლო შეხვედრა არ შედგება.

აქვე ჩამოგითვლით შტაინბურნში მოვარჯიშე ნაკრების სრულ შემადგენლობას: **ზაზა ფაჩულია (კაპიტანი), ნიკა ცქიტიშვილი, ქუინტონ ჰოსლი, ტორინ გრინი, ანატოლი ბოისა, კოტე ტულუში, ლაშა გამყრელიძე, გიორგი ცინცაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, ვიქტორ სანიკიძე, კოკა ტომარაძე, ლევან შენგელია, ნიკა მეტრეველი, მიხეილ ბერიშვილი, თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი.**

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ნაკრების მეტოქე

# ბულგარეთმა რუმინეთით და კალუეით დაიწყო



ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე C ჯგუფის ხუთივე წარმომადგენელი ოფიციალური მატჩებისთვის მზადებას შეუდგა. თუ ბელგია, პოლონეთი, პორტუგალია და საქართველო ჯერ მხოლოდ ფიზიკური კონდიციების ამაღლებას ცდილობენ, ბულგარელებმა ამხანაგური მატჩებისთვისაც მოიცალეს. მათ მეზობელ რუმინელებს სოფიაში უმასპინძლეს, ორი საკონტროლო შეხვედრა ჩაატარეს. ორივე შემთხვევაში საქართველოს ნაკრების მომავალმა მეტოქემ გაიმარჯვა. აქვე დავაზუსტებთ: ბულგარეთი ქართველთა ოფიციალური მეტოქეა, ხოლო რუმინეთი - არაოფიციალური. თბილისში რუმინელებთან ამხანაგურად 23 ივლისს ვითამაშებთ.

ბულგარეთ-რუმინეთის შეხვედრების სტატისტიკას ქვემოთ შემოგთავაზებთ. შეგეძლებათ, თავად შეაფასოთ, ვის რა როლი ეკისრება ბულგარელთა შემადგენლობაში. აქ კი შავი ზღვის გაღმელთა პრესაში გამოქვეყნებული მიმოხილვებიდან რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ.

პირველ დღეს მასპინძლებმა 89:73 მოიგეს, საწყის მეოთხედში 20:13 დაწინაურდნენ და არც დარჩენილ 30 წუთში მიუციათ რუმინელებისთვის მდგომარეობის გამოსწორების საშუალება. მეორე მატჩში სტუმრები კვლავ 73 ქულას დასჯერდნენ, ხოლო ბულგარელებმა 96 ქულას მოუყარეს თავი. თუმცა ამ მატჩის პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა - დიდ შესვენებაზე ადგილობრივები მხოლოდ 4-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ (44:40). შეგირდების გამოსვლა ასე შეაფასა ბულგარელთა თავკაცმა **როსენ ბარჩოვსკიმ**:

*- მზადება გეგმაზომიერად მიმდინარეობს. კალათბურთელები გულით ვარჯიშობენ, ესმით, რომ წარმატებისთვის გუნდური ერთიანობა მთავარია. ნაკრებში ჯანსაღი ატმოსფეროა. ეს რუმინეთთან მატჩებშიც გამოჩნდა - დასაწყისიდან ბოლომდე კალათბურთელებმა მობილიზებულებმა ითამაშეს. ეს ორი დამაჯერებელი გამარჯვება დასაწყისისთვის კარგია, მაგრამ წინ გაცილებით სერიოზული მეტოქეები გველიან და მათთან მატჩებამდე კიდევ უნდა მოვუმატოთ.*

თუ ჯერ მატჩების ოქმებს დახედეთ, შენიშნავდით, რომ ბულგარელთა რიგებში ორი ამერიკელია - **ჯარედ ჰოუმენი** და **ერლ კალუეი**. ფიბა-ს წესებით, ოფიციალური მატჩის განაცხადში მხოლოდ ერთი ნატურალიზებულის შეყვანაა ნებადართული. თუმცა მწვრთნელმა ამხანაგურ შეხვედრებში ორივე გამოსცადა. კალუეიმ ორივე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა, ჯერ 12 ქულა და 6 პასი მიითვალა, შემდეგ - 17 ქულა და 6 პასი. ჰოუმენმა კი მხოლოდ მეორე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა - 16 წუთში 5-5 ქულა-მოხსნა მოაგროვა.

ბულგარელთა მწვრთნელის თქმით, ოფიციალურ, შეხვედრებისას ჰოუმენსა და კალუეის შორის არჩევანს მეტოქის მიხედვით გააკეთებს. თუმცა პირველი შეხვედრებით შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ ტანმაღალმა ჰოუმენმა შეიძლება საერთოდ არც ითამაშოს. ამის მიზეზი გამთამაშებელი ერლ კალუეია, რომლის კლასით როსენ ბარჩოვსკი მეტად მოიხიბლა:

*- ერლი მაღალი დონის მოთამაშეა. ინდივიდუალურადაც შესანიშნავად გამოიყურება, გუნდური თამაშიც იცის და დაცვაშიც საიმედოა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მას ესპანეთის ჩემპიონატსა და ევროლიგაზე აქვს მიღებული გამოცდილება. ჰოუმენი ისეთი კლასის არ არის, როგორისაც კალუეი, მაგრამ მებრძოლი მოთამაშეა და მისი სიმაღლის კალათბურთელი ჩვენს ნაკრებს აუცილებლად გამოადგება.*

ივნისის დასაწყისში ბულგარელებმა გამოაცხადეს, რომ ჰოუმენის გარდა ნაკრებში ან **იბრაჰიმ ჯაბერი**, ან **ერლ როულანდი** ითამაშებდნენ. ისინი სლავებს ბოლო წლებში ეხმარებოდნენ... მაგრამ მათი ნაკრებში დაბრუნება ვერ მოხერხდა და ამიტომ სასწრაფოდ ერლ კალუეის გაბულგარელება გადაწყდა. ერლი 2008-09 წლების სეზონში **ვლადიმერ ბოისას** „ზადარს“ ხორვატიის ჩემპიონატის ფინალში ებრძოდა. იგი „ციბონასთან“ ერთად ევროლიგაზეც თამაშობდა. 2009-10 წლების სეზონში კი **ტაირონ ელისს** შეუამხანაგდა და „კახასოლი“ ესპანეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალში გაიყვანა (9.5 ქულასა და 4.1 შედეგიან გადაცემას აგროვებდა).

ბულგარეთის ნაკრები მომდევნო მატჩს მინსკში ჩაატარებს: ბელარუსთა საერთაშორისო ტურნირზე 9 ივლისს უკრაინას დაუპირისპირდება, 10-ში - ბელარუსს, 11-ში - ისრაელს.

**2 ივლისი. სოფია**

**ბულგარეთი-რუმინეთი 89:73**

20:13, 25:20, 28:16, 16:24

ბულგარეთი: კალუეი (12ქ, 6პ, 4მ, 4ჩ), კ. ივანოვი (8ქ, 6პ, 6მ), ნიკოლოვი (8ქ), ვრბანოვი (10ქ, 7მ), კოსტოვი (17ქ); დოიჩინოვი (6ქ), ლილოვი (10ქ), მარინოვი (5ქ), ს.გეორგიევი (2ქ), რადევი (4ქ), ველიკოვი (7ქ)

რუმინეთი: ნიკოარა (10ქ, 9მ), დუმიტრესკუ (17ქ)...

**3 ივლისი**

**ბულგარეთი-რუმინეთი 96:73**

21:22, 23:18, 31:18, 21:15

ბულგარეთი: დ. ივანოვი (17ქ, 4მ), კ. ივანოვი (11ქ), ველიკოვი (7ქ), ვიდენოვი (12ქ, 5მ), ჰოუმენი (5ქ, 5მ); კალუეი (17ქ, 6პ, 4ჩ), ვრბანოვი (7ქ), ნიკოლოვი (8ქ), კოსტოვი (17ქ), დოიჩინოვი (6ქ), ლილოვი (3ქ), მარინოვი (14ქ), ზ. გეორგიევი (3ქ), რადევი, ს. გეორგიევი

რუმინეთი: ნიკოარა (11ქ, 4მ), სნიარტო (11ქ), პაული (10ქ)...

ვაჟა სიმონიშვილი

პლაჟბურთი



# საქა-რთველო მერვედფინალში

შვეიცარიის ქალაქ გშტაადში მიმდინარეობს პლაჟბურთელთა მსოფლიო ტურის მორიგი ეტაპი. ქალთა ტურნირში ქართულმა გუნდმა **საქა-რთველომ (კრისტინა სანტანა, ანდრეზა ჩაგასი)** ჯერ საკვალიფიკაციო ეტაპი გადალახა, შემდეგ კი ჯგუფურიც. გუშინ ვწერდით, რომ ჯგუფში მათ პირველი შეხვედრა წააგეს, მაგრამ შემდეგ მოულოდნელად სძლიეს მე-8 ნომრად განთესილ ბრაზილიელებს, **მარია კლარასა და კაროლს** - 2:1 (11:21, 21:17, 17:15). დაძაბული მატჩი ჩვენებურებმა 53 წუთში მოიგეს. მეორე შეხვედრაში საქა-რთველომ რუსული დუეტი (**ბრატკოვა, უკოლოვა**) ორ სეტში დაამარცხა - 2:0 (21:17, 22:20).

საქა-რთველო მერვედფინალშია, სადაც ჩინურ დუეტს (**ჰუანი, უე**) ხვდება. ქართველი ბრაზილიელები ფავორიტები არიან, რადგან ისინი 24-ე ნომრით არიან განთესილები, ჩინელები კი 30-ე.

გშტაადში დაიწყო ასპარეზობა ვაჟთა გუნდმა **გეორ-გიამაც**. პირველივე მატჩში ჩვენებმა შეძლეს მე-10 ნომრად განთესილი მასპინძლების (**შნაიდერი, გაბატულერი**) დამარცხება - 2:0 (21:19, 21:17).

ნიკოლოზ ნეფარიძე




www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი დროში

# ...და მოგონებად იქცა წარსული

ეს იყო ნახევარი საუკუნის წინათ: სპორტული დარბაზის ტრიბუნები მატჩის დაწყებამდე გადაიჭედა. ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ ტურში თბილისის „ბურევესტნიკი" მსოფლიო ვარსკვლავებით დახუნძლულ მოსკოვის „დინამოს" მასპინძლობდა. სტუმართა გუნდის ღირსებას სახელოვანი სპორტსმენები იცავდნენ: ლუდმილა ბულდაკოვა, მარია კატუშევა-ავენი, ლილია კონოვალოვა-კალენიკი, ალექსანდრა ჩუდინა (ეს უკანასკნელი მსოფლიოს და ევროპის ორგზის ჩემპიონი იყო ფრენბურთში, თან სიმაღლეზე ხტომასა და ხუთჭიდშიც ფლობდა კონტინენტზე უძლიერესის სახელს).

პირველი პარტია მოსკოველებმა მოიგეს, მეორეშიც იოლ გამარჯვებას რომ მიაღწიეს, „ბურევესტნიკის" მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ამირანაშვილმა სათადარიგო მოთამაშეებისკენ გააპარა მზერა, სადაც ერთი ნაწნავებიანი გოგონა ცმუკავდა ადგილზე და ნერვიულობისგან თითებს იმტვრევდა.




— ციცო, მოემზადე! — გასძახა მწვრთნელმა. აბა, შენ იცი, სიტყვა დაადევნეს თანაგუნდელებმა გოგონას, რომელიც ბურთის მოსაწოდებლად გაემართა. მსაჯმა ნიშანი მისცა და... დარბაზმა იხუვლა. ჩუდინას ხელიდან ასხლეტილი ბურთი კედელს მიენარცხა. ასე გამეორდა რამდენჯერმე. „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გუნდის ლიდერი სათადარიგოთა სკამზე დასვა, მაგრამ შეცვლა დაგვიანებული აღმოჩნდა — სტუმრებმა ის ხელი წააგეს. თუმცა საბოლოოდ დაგეგმილ გამარჯვებას მაინც მიაღწიეს. **ცისანა აბუაშვილს** კი ის მატჩი დღემდე არ ავიწყდება, რადგან ეს იყო მისი დებიუტი დიდ ფრენბურთში.

„დინამოელები გაოცებისგან მხრებს იჩეჩდნენ, — გაიხსენა ცისანა აბუაშვილმა 53 წლის წინანდელი ამბავი. — არადა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. პირველ ორ პარტიაში შევამჩნიე, რომ ჩუდინა დაცვაში მოწოდების სიმაღლეზე არ იყო, ამიტომ პირველ ბურთს სწორედ მისკენ ვგზავნიდი. ზედიზედ რვა ქულა რომ „ავილე", მოსკოველთა მწვრთნელი მიმიხვდა ეშმაკობას და ჩუდინა შეცვალა".

ცისანა აბუაშვილმა ფრენბურთში ვარჯიში 12 წლისამ დაიწყო. სპორტული სამჭედლოს — მაშინდელი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ეზოში ცხოვრობდა და თანატოლებთან ერთად გული მოედნისკენ მიუწევდა. არჩევანისთვის მშობლებსაც არ შეუშლიათ ხელი. მამა **ოთარ აბუაშვილი** ხომ ცნობილი ფალავანი გახლდათ. ნახერხმოყრილ სარბიელზე ჭიდაობისას იგი **სანდრო ახმეტელს** მოსწონებია და მხატვრულ ფილმ „ვარდოში" ერთ-ერთი როლის შემსრულებლად მიუწვევია. ბატონი ოთარი რაინდული სულის პატრონი ყოფილა ცხოვრებაშიც და ნახერხმოყრილ სარბიელზეც. მისმა ქალიშვილმა სპორტული გზა ტანვარჯიშით დაიწყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დის რჩევით ფრენბურთში აღმოჩნდა ფიზკულტურის მასწავლებელ **ვახტანგ ტატიშვილთან**. ორი წლის მერე წვრთნა განაგრძო **შოთა მარგიშვილთან**, რომელმაც ისეთი სახელოვანი ფრენბურთელები აღზარდა, როგორებიც არიან ოლიმპიური ჩემპიონი **ვაჟა კაჭარავა და სტანისლავ ბუინოვი**. ნიჭიერი და მუყაითი შეგირდი მალევე ულებდა ალლოს ოსტატის დარიგებებს. თოთხმეტი წლისა მოსწავლეთა რესპუბლიკურ ნაკრებში მოხვდა. კიევში თანატოლთა საკავშირო პირველობაზე მე-6 ადგილი დაიკავა, მომდევნო წელს რიგაში ორი საფეხურით გადაიწია წინ, 1958 წელს ცისანამ და მისმა თანაგუნდელებმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს მოსწავლეთა შორის. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მასთან ერთად ავიდნენ **მირა წულაია, მადლენა გოგლიძე, ნანა აბუთიძე, ელზა მანტო, ლოლა კარაგიოზოვა, ემა ამირიანი**. იმავე წელს ცისანა აბუაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და ამ უმაღლესი სასწავლებლის ფრენბურთელთა გუნდის შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონობაც არაერთხელ მოუპოვებია.

**— ქალბატონო ცისანა, საკავშირო პირველობებზე ნათამაშები მატჩებიდან ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?**

— 1960 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბ კლასში გამოვდიოდით. უმაღლესი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად აუცილებელი იყო სვერდლოვსკის „ბურევესტნიკის" დამარცხება. არადა, ამ გუნდში ორ მეტრამდე სიმაღლის გოგონები თამაშობდნენ. მათ შორის გამოირჩეოდა როზა სალიხოვა, რომელიც მოგვიანებით ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ჩვენთან კი ყველაზე ტანმაღალი მილა რავა (175 სმ) გახლდათ, ვიქტორია რავას დედა. სვერდლოვსკელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დაგვამარცხებდნენ. ოთხი პარტია დაძაბულად წარიმართა და 2:2 დამთავრდა. მეხუთე პარტიაში ბურევესტნიკელები 13:2 დაწინაურდნენ და ქედმაღლურად დაგვიწყეს ყურება. მოედანზე ისე იქცეოდნენ, თითქოს, ვარჯიშობენო. სწორედ ამ დროს მოხდა სასწაული: ჩვენი გოგონები ყველა ჩარტყმულ ბურთს უპრობლემოდ იღებდნენ, რამაც მწყობრიდან გამოიყვანა სვერდლოვსკელები. ის ხელი 16:14 მოვიგეთ და უმაღლესი ლიგის საგზურიც მოვიპოვეთ. მახსოვს, 1963 წლის საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზეც არ გვითამაშია ურიგოდ. მაშინ ყოფილი საბჭოეთის მასშტაბით 24 საუკეთესოს შორის დამასახელეს და სპორტის ოსტატობაც მომანიჭეს, საკავშირო ნაკრების შემადგენლობაშიც მიმიწვიეს.

ერთი ტურნირიც მინდა გავიხსენო, სადაც საქართველოს ფრენბურთელებმა ბრინჯაოს მედლები დავიმსახურეთ: 1966 წელს მინსკმა საბჭოთა კავშირის უნივერსიადას უმასპინძლა. მხოლოდ ნახევარფინალში დავმარცხდით მინსკელებთან და საბოლოოდ მე-3 ადგილი დავიკავეთ. მაშინ ჩვენთან ერთად იყვნენ ხელბურთელები, კალათბურთელებიც. ტურნირი იმითაც დამამახსოვრდა, რომ ორთაბრძოლების შემდეგ ყველანი ერთად ვიკრიბებოდით საერთო საცხოვრებლის წითელ კუთხეში და ტელევიზიით ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატს ვუყურებდით. მაშინ ბრიტანეთის ნაკრებს ვქომაგობდი.

**— ახლა სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატზე ვის გულშემატკივრობთ?**

— გამორჩეულად არავის, რადგან გუნდებმა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ვერ მოახდინეს, მაყურებელს ახალი ვერაფერი შესთავაზეს...

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ ცისანა აბუაშვილმა მწვრთნელობას მიჰყო ხელი და ორ ათეულ წელზე მეტ ხანს ედგა სათავეში საქართველოს ნაკრებს. ერთ-ერთი სწორედ ის გახლდათ, ვინც დიდი ფრენბურთისკენ გზა გაუკაფა ვიქტორია რავას — 15 წლის გოგონა საქართველოს ნაკრებში მიიწვია, რომელიც შემდეგ საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა. რადგანაც ხელფასს ვერ აძლევდნენ და სავარჯიშოდ ელემენტარული პირობებიც არ ჰქონდა, გოგონამ კარიერის გასაგრძელებლად ჯერ ბაქოს და თურქეთს მიაშურა, ბოლოს საფრანგეთში ამოჰყო თავი, სადაც ერთ წელიწადს ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენის სახელი დაიმსახურა და ზინედინ ზიდანსაც კი აჯობა.

„საქართველოში ჩვენს დროსაც არ ექცეოდა ფრენბურთს სათანადო ყურადღება, მაგრამ ენთუზიაზმით მაინც რაღაცას ვახერხებდით, ახლა კი მთლად სავალალო მდგომარეობაა. გვეშველება კი ოდესმე?" — მითხრა გამომშვიდობებისას გულისტკივილით ამაგდარმა ფრენბურთელმა და მწვრთნელმა ცისანა აბუაშვილმა, რომელიც ამჟამად პენსიაზეა და მთელ ენერგიას ოჯახს ახმარს — თავს ევლება მოსიყვარულე მეუღლეს, ვაჟიშვილს, რძალსა და პატარა ანანოს, რომელიც მალე ძამიკოს ელოდება.

**ვაჟა დანელია**

ველოსპორტი




# ასკურავა მიწვეულია

**სანკტ-პეტერბურგში 10-15 სექტემბერს ტრეკზე ველომრბოლთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. ამ დღეებში ოფიციალური მიწვევა მიიღო საქართველოს ტრეკზე ველომრბოლთა ლიდერმა, ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მაძიებელმა დავით ასკურავამ.**

– ჩემპიონატის პროგრამაში შეტანილია თითქმის ყველა სატრეკო დისციპლინა, ჩვენ 1000 მეტრზე ადგილიდან, კეირინში და სპრინტში ვიასპარეზებთ. მზადება დავიწყეთ 1 ივლისიდან. გვინდოდა, ამ შეჯიბრებამდე სამი საკონტროლო ტურნირი მაინც მოგვესწრო, მაგრამ კალენდარი რომ ვნახეთ, სექტემბრამდე არც ერთ ქვეყანაში არანაირი საერთაშორისო შეჯიბრება არ იმართება. ერევანში აპირებენ აგვისტოში, თუმცა ეეჭვებათ, რომ ტრეკის გარემონტებას მოასწრებენ. არადა, მართლაც კარგი ტრეკი აქვთ. ასე რომ, გზატკეცილზე მოგვიწევს ვარჯიში. ეგებ, სანკ-პეტერბურგში შეჯიბრებამდე ათი დღით ადრე მაინც ჩავიდეთ, რომ ტრეკზე ცოტაოდენი ვარჯიში მაინც მოვასწროთ, - გვითხრა სპორტსმენის მწვრთნელმა **როდიკო მეიშვილმა.**

**- როგორც ვიცი, დათოს მაჯა აქვს ტრავმირებული...**

- ტკივილები უკვე დაუამდა და ოც დღეში ალბათ სულაც მოურჩება.

**– ისევ ძველისძველი ველოსიპედის იმედად ხართ, რა ეშველება ამ საქმეს?**

– მესამე წელიწადია, ველოსიპედი არ შეგვიცვლია, ყველანაირი ვადა გაუვიდა. სხვა გამოსავალი არ გვაქვს, უნდა შევაწუხოთ სპორტის სამინისტრო, ოლიმპიური კომიტეტი... ველოსიპედის შესაჩვევად სპორტსმენს ათი დღე ეყოფა და იქნებ ამ დროისთვის მაინც მოესწროს მისი ყიდვა.

**– ამბობენ, ნორმალური ველოსიპედი ძალიან ძვირი ღირსო...**

– კი, 7-დან 15 ათას დოლარამდე ჯდება.

**– სავარჯიშო მაინც ველოსიპედი თუ გაქვთ?**

– სავარჯიშო კი გვაქვს, მაგრამ არც თვლის მანები, არც საბურავები, არც არანაირი ინვენტარი არ გაგვაჩნია.

**– არადა, სპორტსმენი შეიძლება ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტი გახდეს!**

– ამას წინათ ევროპის თასზე, შეჯიბრებისას წინა დისკო გაგვიტყდა და რუსეთის ნაკრების სომეხმა ხელოსანმა გვათხოვა, კარგი საბურავი იყო, სულ ახალი. ჩინებულად გაიარა დათომ. ჩინეთშიც, მსოფლიო თასზე, უკანა ბორბალი დაგვიზიანდა და უკრაინელებმა გვათხოვეს.

**– ასე სამათხოვროდ როდემდე უნდა ვიყოთ?!**

– აბა, რა გითხრათ?! ველოსპორტი ძალიან ძვირი სახეობაა...

**– რა იმედით მივდივართ ევროპაზე?**

– ჯერ ვერაფერს გეტყვით, რადგან დათო თანმიმდევრულად აუმჯობესებს შედეგებს, ახლაც ამის იმედი გვაქვს. უფრო მეტად ოლიმპიურ სახეობებში - კეირინსა და სპრინტში ვემზადებით. ოლიმპიური ომნიუმის პროგრამა შეიცვალა, თუ ადრე ხუთი დისციპლინა იყო, ახლა ექვსია და მანძილებიც გაიზარდა. ამიტომ არ ვიცი, ევროპის ჩემპიონატზე რომელი პროგრამა იქნება, ძველი თუ ოლიმპიური. 2011 და 2012 წლებში მსოფლიოს ჩემპიონატები ოლიმპიური პროგრამით ჩატარდება.

**– ევროპისთვის ვინ დაგაფინანსებთ?**

- დეპარტამენტი იყო შეპირებული, ახლა ალბათ სპორტის სამინისტრო ან ოლიმპიური კომიტეტი.

ესაუბრა
**დავით ჭელიძე**

ხსოვნის ტურნირი

# ცხელ ზაფხულს კორექტივები შეაქვს

გორის ძიუდოს დარბაზში აქაურთათვის სპორტის ცნობილი მეცენატის ამური სამადალაშვილის ხსოვნის ტურნირი გაიმართა ძიუდოში 1992-1995 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ტურნირს საფუძველი შარშან, შემოდგომით ჩაეყარა **გურამ პაპიტაშვილის** და **გია თენაძის** თაოსნობით. ორგანიზატორი შიდა ქართლის ძიუდოს ფედერაციაა. წლეულს ტურნირის ივლისში ჩატარება გადაწყდა, მაგრამ ცხელი ზაფხულისა და არდადეგების გამო ამჯერად ტატამზე მხოლოდ შიდა ქართლის რაიონებისა და გორში შეკრებაზე მყოფი აზერბაიჯანის გუნდები გამოვიდნენ. ჩემპიონები და პრიზიორები ძირითადად მასპინძლები გახდნენ.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს: **ბექა შავდათუაშვილი** (50 კგ), **მინდია ლოლიჯაშვილი** (55), **ვაჟა მარგველაშვილი** (60), **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნიკა გოგინაშვილი** (73), **აკო ზაალიშვილი** (81), **გიგა გელაშვილი** (მძიმე).

ტექნიკური მოჭიდავის პრიზი 55 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის პრიზიორს, აზერბაიჯანელ **ელნურ ისმაილის** გადაეცა.

10 ივლისს შოთა ჩოჩიშვილის დაბადების დღესაც იგეგმებოდა საერთაშორისო შეჯიბრების ჩატარება, მაგრამ ზემოხსენებული მიზეზების გამო მოგვიანებით გაიმართება.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

NBA. სატრანსფერო ბაზარი




# უეიდმა და ბოშმა მაიამი აირჩიეს

## ბუზერი ჩიკაგოში მიდის, დურანტი და ალენი რჩებიან

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორი ვარსკვლავი - **დუეინ უეიდი** და **კრის ბოში** ერთმანეთის მხარდამხარ ითამაშებენ „მაიამი ჰიტში" - წერს ESPN.com სანდო წყაროზე დაყრდნობით.

კალათბურთელები არ დაელოდებიან **ლებრონ ჯეიმსის** პრესკონფერენციას და თავიანთ საბოლოო გადაწყვეტილებას დღეს დაასახელებენ. ორივე მოთამაშე მაქსიმალურ კონტრაქტს მოაწერს ხელს.

მხოლოდ ერთი რამ არის გაურკვეველი - რა სქემით გადავა ბოში „მაიამიში". თუ ის თავისუფალი აგენტის სტატუსით მოაწერს ხელს კონტრაქტს, მაშინ მომავალ ხუთ წელიწადში 96 მილიონ დოლარს მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუ „ჰიტი" „ტორონტო რეპტორზს" გაცვლაზე მოელაპარაკება, მაშინ კრისი ექვს წელიწადში 125 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

*„ნებისმიერ შემთხვევაში ბოში „მაიამიში" ითამაშებს"*, - მოჰყავს ESPN-ს უცნობი წყაროს სიტყვები.

სხვათა შორის, კრის ბოშმა (26 წლის კალათბურთელს NBA-ში 20.2 ქულა და 9.4 მოხსნა აქვს დაგროვებული) ვებგვერდ Twitter-ზე საკუთარ ბლოგში დაწერა: *„ბიჭებო, მომავალ სეზონში „მაიამიში" ვითამაშებ. მოხარული ვარ ამ ამბის შეტყობინებით"*.

■ ■ ■

როგორც ჩანს, კიდევ ერთი ვარსკვლავის მომავალიც გაირკვა. „იუტა ჯაზის" ფორვარდი **კარლოს ბუზერი** დათანხმდა „ჩიკაგო ბულზის" წინადადებას და კარიერას სწორედ „ხარების" რიგებში გააგრძელებს. იმავე ESPN.com-ის ცნობით, ბუზერი ხუთწლიან და 90-მილიონიან კონტრაქტს გააფორმებს.

გასულ სეზონში ბუზერის მონაგარი 19.5 ქულა, 11.2 მოხსნა და 3.2 შედეგიანი პასი იყო.

ორი მოთამაშე კლუბს არ შეიცვლის. როგორც ირკვევა, „ოკლაჰომა-სიტის" ფორვარდი **კევინ დურანტი** დათანხმდა თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას. *„მოხარული ვარ, რომ „ოკლაჰომასთან" ხუთი წლით გავაგრძელებ ხელშეკრულებას"*, - საკუთარ ვებგვერდზე დაწერა ახალგაზრდა სნაიპერმა.

**რეი ალენი** კი კიდევ ერთხელ აპირებს „ბოსტონ სელტიქსთან" ერთად ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას. „კელტების" ხელმძღვანელობა მოელაპარაკა ვეტერან მცველს კონტრაქტის ორი წლით გაგრძელებაზე. როგორც კლუბის მესვეურებმა გამოაცხადეს, ალენთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება ამ ზაფხულს „ბოსტონის" მთავარი მიზანი იყო.

გასულ სეზონში 34 წლის მცველმა 80 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 16.3 ქულა დააგროვა.

ევროლიგა 2010-11

# წილისყრა ბარსელონაში




გუშინ, ბარსელონაში ევროლიგის 2010-11 წლების სეზონის წილისყრა გაიმართა. 22 გუნდი და კვალიფიკაციის ორი გამარჯვებული (მათი ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი) ოთხ ჯგუფში (თითოში ექვსი გუნდი) გადანაწილდა.

**A ჯგუფი:** „კახა ლაბორალი" (ესპანეთი), „მაკაბი" თ-ა (ისრაელი), „პარტიზანი" (სერბეთი), „პროკომი" (პოლონეთი), „ჟალგირისი" (ლიტვა), კვალიფიკაციის გამარჯვებული;

**B ჯგუფი:** „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი), „რეალი" (ესპანეთი), „უნიკახა" (ესპანეთი), „რომა" (იტალია), „ბამბერგი" (გერმანია), კვალიფიკაციის გამარჯვებული;

**C ჯგუფი:** „ბარსელონა" (ესპანეთი), „მონტეპასკი" (იტალია), „ლეტუვოს რიტასი" (ლიტვა), „ფენერბაჰჩე" (თურქეთი), „ციბონა" (ხორვატია), „შოლე" (საფრანგეთი);

**D ჯგუფი:** ცსკა (რუსეთი), „პანათინაიკოსი" (საბერძნეთი), „ვალენსია" (ესპანეთი), „ეფეს პილსენი" (თურქეთი), „მილანი" (იტალია), „ოლიმპია" (სლოვენია).

ჯგუფებში თამაშები ორ წრედ ჩატარდება (სულ 10-10 მატჩი). თითო ექვსეულიდან ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი გავა და ბრძოლას ტოპ-16-ში გააგრძელებს, სადაც ასევე ორ წრედ გაიმართება მატჩები. ამის შემდეგ გამოვლინდებიან მეოთხედფინალისტები - ამ ეტაპზე ნყვილებში გამარჯვებულები ხუთმატჩიან სერიებში გაირკვევა. ბოლოს საუკეთესო ოთხი გუნდი ტურინში „ოთხთა ფინალში" ითამაშებს.

ინტერვიუ პაუ გასოლთან

# ვილაცა ჯადოსნური ჯოხით შემეხო...

**ესპანეთის ნაკრებისა და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრ პაუ გასოლს NBA-ის ერთი ჩემპიონობა აკლია ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში საუკეთესო ევროპელების - ტონი კუკოჩისა და ტონი პარკერის რეკორდის გასამეორებლად. ამ კალათბურთულებს სამ-სამი ტიტული აქვთ მოგებული, ესპანელს - ორი. სულ რაღაც ორ სეზონში კატალონიელმა შეძლო ის, რაზეც სხვები მთელი ცხოვრება ოცნებობენ. თუ ერთი წლის წინ, „ორლანდოსთან" ფინალურ სერიაში პაუ „შავი მუშის" როლს თანხმდებოდა, „ბოსტონთან" წლევანდელ ფინალში მან სრულად წარმოაჩინა თავისი ნიჭი და დაამტკიცა, რომ ინდივიდუალური მოქმედებებით შეუძლია გუნდის გაძლოლა იმ შემთხვევაში, თუ „ლეიკერსის" მთავარ მამოძრავებელ ძალას - კობი ბრაიანტს თამაში არ გამოსდის.**

**- პაუ, გასული სეზონი თქვენთვის არც ისე კარგად დაიწყო და საბოლოოდ, ჰეფიენდით დასრულდა - საყოველთაო აღიარება და წარმატება მოიპოვეთ, რის გამოც დიდი მსხვერპლის გაღება მოგიხდათ. ასეთ სიტუაციაში იოლია დაიბნე და სწორი გზიდან გადაუხვიო. რაზე ფიქრობდით იმ პერიოდში?**

- ძალიან ბევრ რამეზე. იმდენად რთული იყო ყველაფერი, რომ ახლა მიმძიმს ამის გახსენება. ეს ყველაფერი სიცოცხლის რამდენიმე კვირად დამიჯდა. მაგრამ პირველ რიგში უნდა განვაცხადო, რომ უკიდურესად ბედნიერი ვარ. თუ ბუნებაში ბედნიერება არსებობს, რომელსაც შეიძლება შეეხო, ჩემთვის ეს არის კალათბურთი და მოედანზე გასვლის საშუალება. ბედნიერი ვარ, რადგან გავუძელი იმ ურთულეს მომენტს და ახლა ვხვდები, რომ ეს ერთგვარი გამოცდა იყო ჩემთვის. დადგება დრო, როცა გავაცნობიერებ იმას, რაც გავაკეთე. ახლა ამის გაკეთება საკმაოდ რთულია.

**- ამ წარმატებების შემდეგ არ გეჩვენებათ, რომ ეს ყველაფერი ძვირად გაგიჯდათ?**

- როცა წლები გაივლის და მხოლოდ მოგონებები დარჩება, ალბათ, მაშინ მივხვდები, რომ ბედს მადლობა უნდა ვუთხრა ჩემი კარიერის ამგვარად წარმართვის გამო. საერთოდ, სასიამოვნოა იმის შეგრძნება, რომ შენი ქვეყანა ასახელე და დიდი სიხარული მოუტანე დიდი გამარჯვებებით.

**- გრძნობთ, რომ განსაკუთრებული ხართ?**

- რა თქმა უნდა. ალბათ, ვილაც შემეხო ჯადოსნური ჯოხით. სერიოზულად თუ ვილაპარაკებთ, მე ძალიან გამიმართლა. მხოლოდ კალათბურთში არ ვარ განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული - კარგი ჯანმრთელობა მაქვს და შესანიშნავი ოჯახი მყავს. ხოლო თუ სპორტში გამარჯვებასაც ახერხებ, მართლაც გრძნობ, რომ რჩეული ვარ.

**- ფინალური სერიის მეშვიდე მატჩის მოგების შემდეგ საკუთარ თავს არ ჰგავდით - გაცილებით ემოციურად გამოხატავდით გრძნობებს, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება. როგორ ახერხებთ მატჩების დროს სიმშვიდის შენარჩუნებას?**

- წლევანდელი სეზონი მძიმე აღმოჩნდა; ხოლო პლეი ოფის თამაშები საკმაოდ რთულად ვითარებოდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანდა, თანაც „ბოსტონთან" ურთიერთობის გარკვევა გაიწელა... მიწევდა ემოციების შეკავება, არადა, ხანდახან ეს რთული იყო. ბუნებრივია, ბოლო მატჩის შემდეგ გვერდზე ვერ გავდგებოდი, ამიტომაც მთლიანად გამოვუშვი დაგროვილი ემოცია. ასეთი თამაშის, დაძაბულობისა და ყოველი მხრიდან მუდმივი ზეწოლის შემდეგ ყველა ჩვენგანს მოუნდა გიჟური ზეიმი. მეც ხომ ადამიანი ვარ! ეს განსაკუთრებული წამია ნებისმიერი კალათბურთელის ცხოვრებაში.

**- სასიამოვნო იყო ფინალში მაინც და მაინც „ბოსტონის" დამარცხება?**

- არ დავმალავ, ნამდვილად ასე იყო. ჩვენ ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვალდებულნი ვიყავით დაგვემარცხებინა ეს გუნდი. ის სერია არასოდეს დამავიწყდება. „კელტებმა" სასტიკი დღე გვაყარეს. წელს მაშინდელი მატჩების ფრაგმენტები გვიტრიალებდა თვალწინ და ეს დამატებით მოტივაციას გვმატება. ორმაგად გახარებული ვარ, რადგან ფინალში უფრო ძლიერ მეტოქეს ვერც ვინატრებდით.

**- თქვენ მიერ ნახსენები ჯადოსნური ჯოხის გარეშე შეძლებდით მოგებას?**

- მთლად სულელი გგონივართ?!

**- არა... ეს ხომ მეტაფორაა.**

- ვიცი, რომ ეს ხუმრობაა. ის დამარცხება კარგი გაკვეთილი გახდა ჩემთვის. მიმახვედრა, რომ არც მორალურად და არც ფიზიკურად არ ვიყავი მისული საჭირო დონემდე. ამის გაცნობიერება რთული იყო, მაგრამ ეს დროულად მოხდა. ვფიქრობ, იმ ნაგების გარეშე არ იქნებოდა მომდევნო ორი გამარჯვება.

**- კობიმ თქვა, რომ ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშის პრიზი თქვენ გეკუთვნოდათ და არა მას.**

- მე რას გეუბნებოდით?! პლეი ოფში მაქსიმალურად დავიხარჯე და საკუთარი თავის გამო არანორმალურად ამაყი ვიყავი (იცინის). სიმართლე ითქვას, კობიმ დამსახურებულად მიიპოვა ეს პრიზი - ის ყველა პარამეტრით ლიდერია და ამით ყველაფერია ნათქვამი. გუნდი კარგად თამაშობს თუ ცუდად, ამ ბიჭს ყოველთვის წინ მივყავართ. მე საჩემპიონო ბეჭედი მოვიგე და ესეც მაკმაყოფილებს.

**- რა ისწავლეთ ბოლო ერთი წლის განმავლობაში?**

- სეზონი რთულად მიმდინარეობდა. ყოველ წელს ბედი ახალ სიურპრიზს გვიმზადებს, საჭიროა მუდმივი სრულყოფა, პროგრესი... ამ წელს ძალიან მოვუმატე ფსიქოლოგიის მხრივ, უფრო ბრძენი და გამოცდილი გავხდი.

**- ზოგიერთები ამბობენ, რომ უფრო რბილად თამაში დაიწყეთ, ისეთი ხისტი და მოხერხებული აღარ ხართ, როგორც ადრე.**

- იმასაც ხომ არ ამბობენ, რომ კარიერის დასრულების დრო მოვიდა?! სასაცილოა. ჩემი წარმატება და „ლეიკერსის" გამარჯვებები თავად მეტყველებენ ყველაფერზე.

**- გუნდურ სახეობებში ცალკეული პიროვნებების დამსახურება ნაკლებად შესამჩნევია, ვიდრე ინდივიდუალურ დისციპლინებში.**

- რა თქმა უნდა. მაგრამ ამის გამო არ ვნერვიულობ. ისედაც ვგრძნობ, რომ ვუყვარვარ და მაფასებენ. საერთოდ მიმაჩნია, რომ არაფერზე მაქვს საწუწუნო.

**- ხომ არ აპირებთ ესპანური სპორტის ისტორიაში მიგელ ინდურაინის (ველომრბოლი. ტურ დე ფრანსის ხუთგზის ჩემპიონი) დაჩრდილვას? იქნებ 10 წლის შემდეგ ხალხმა თქვენზე უფრო მეტი ლეგენდები შეთხზას?**

- მადლობა ასეთი შედარებისთვის. ძალიან სასიამოვნოა ჩემს სამშობლოში მოპოვებული აღიარება, მაგრამ მითიური დიდებისკენ არ მივისწრაფი - სავსებით მყოფნის ის სიყვარული, რომელსაც ახლა ვგრძნობ. ხალხი არასოდეს დაგიმახსოვრებს შენი ფიქრების გამო - უნდა იმუშაო და წარმატებას მიაღწიო.

**- დიადი ადამიანი ხდები არა იმით, რაც გააკეთე, არამედ - როგორ გააკეთე. ეს თქვენზეა ნათქვამი?**

- ვცდილობ. ცხოვრებაში ბევრ ისეთ რამეს ვაფასებ, რასაც სპორტთან არანაირი კავშირი არ აქვს. ცხოვრება მხოლოდ საკალათბურთო მოედნით არ შემოიფარგლება. ვცდილობ, ვიყო მაგალითი ახალგაზრდობისთვისა და მოზარდი თაობისთვის. მინდა ვასწავლო მათ ნამდვილი ღირებულებების გამოცნობა. პოპულარობა და დიდება კი თავისთავად მოვა.

**- არ ნანობთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გაემგზავრებით?**

- რა თქმა უნდა, ვნანობ. როცა ვუყურებ, როგორ თამაშობენ სხვები, გული მისკდება. მაგრამ მე გადაწყვეტილება მივიღე. გასული სეზონი ძალიან წარმატებული იყო, მაგრამ ამავდროულად დაძაბულიც და სიმართლე გითხრათ, მიხარია, რომ ის დასრულდა. იმისთვის, რომ მომავალი რამდენიმე წელი მაღალ დონეზე ვითამაშო, ახლა აუცილებლად უნდა ავილო პაუზა. იმედი მაქვს, გულშემატკივრები გამიგებენ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# კუბიცა: 2012 წლამდე რენოში

„რენოს“ პილოტმა **რობერტ კუბიცამ** 2012 წლის ბოლომდე გააგრძელა კონტრაქტი თავის ამჟამინდელ გუნდთან. 25 წლის პოლონელმა განაცხადა, რომ ეს გადაწყვეტილება უპრობლემოდ მიიღო. ამჟამად კუბიცას 83 ქულით მეექვსე ადგილი უკავია პილოტთა საერთო ჩათვლაში.

„კონტრაქტის გაფორმება იმ გუნდთან, რომელშიც თავს ძალიან კომფორტულად ვგრძნობ, მარტივი გადასაწყვეტი



იყო. ჩემთვის მნიშვნელოვანია კარგ ატმოსფეროში იმ სპეციალისტებთან მუშაობა, რომლებსაც სწორი მიმართულებით მიჰყავთ საჯინიბო. სწორედ ამის მიღწევას ვცდილობდით „რენოში“ ჩემი მოსვლის პირველივე დღიდან.

ბევრი რამის გაკეთება მოვასწარით და მიმაჩნია, რომ კიდევ მეტი ძალისხმევითა და სწორი მიდგომით დიდ პროგრესს მივაღწევთ. ასეთია მიზანი და გავაგრძელებთ მუშაობას მანქანაზე არამარტო ამ სეზონში, არამედ მომდევნო სეზონისთვის, როცა ისევ შეიცვლება წესები. ამ გამოწვევას მოუთმენლად ველოდები“, - ამბობს პოლონელი პილოტი.

„მოხარულები ვართ იმის გამო, რომ როსბერგი უახლოესი ორი სეზონის განმავლობაში ჩვენთან დარჩება. მინდა მადლობა გადავუხადო იმ ნდობისთვის, რომელიც მან გუნდს გამოუცხადა. ბოლო რამდენიმე კვირაა ვრცელდებოდა ათასგვარი ჭორი რობერტის მომავალი კარიერის შესახებ, რაც კუბიცას კარგი გამოსვლით არის გამოწვეული. ჩვენ კმაყოფილი ვართ ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმებით.

მომდევნო ორ სეზონში ჩვენი მიზანი - ტიტულისთვის ბრძოლაა. ამისთვის გუნდს კუბიცას დონის პილოტი სჭირდება - სწრაფი, მოტივირებული, თითქმის უშეცდომო. მისი მოქმედება 2010 წლის სეზონის დასაწყისში უნაკლო იყო და იმედი გვაქვს, მომავალშიც ასე იქნება“, - ამბობს „რენოს“ შეფი **ერიკ ბუიე**.

ავტოსპორტი

# დაკარს ბრაზილია, პარაგვაი და პერუ დაემატება

ლეგენდარული რალი-რეიდის - „დაკარის“ ხელმძღვანელობა მომავალში სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე მარშრუტის შეცვლის შესაძლებლობას განიხილავს. კერძოდ, არგენტინისა და ჩილეს გარდა, რალის ეტაპები, შესაძლოა, ბრაზილიის, პერუსა და პარაგვაის ტერიტორიაზეც გაიმართოს. ჯერჯერობით არ დაზუსტებულა, როდის აპირებენ რალის ორგანიზატორები ამ პროექტის რეალიზებას.

გარდა ამისა, „დაკარის“ დირექტორმა **ეტიენ ლავინმა** უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ბოლივიის მთავრობასთან ამ ქვეყნის რალის მარშრუტში ჩართვის თაობაზე. შეგახსენებთ, რომ „დაკარი“ სამხრეთ ამერიკაში 2009 წლიდან ტარდება.

„პროექტი ითვალისწინებს არგენტინისა და ჩილეს გარდა სამი ახალი ქვეყნის მარშრუტში ჩართვას. უკვე ვეწვიეთ პარაგვაისა და პერუს და ადგილზე გავეცანით პირობებს. პერუელებთან კონტაქტს ახლაც ვაგრძელებთ, თუმცა ჯერ უცნობია, როდის განხორციელდება ეს პროექტი“, - ამბობს ლავინი.

ჩოგბურთი

# ნადალს ვიცეპრეზიდენტობა შესთავაზეს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **რაფაელ ნადალმა** საინტერესო წინადადება მიიღო - ესპანური საფეხბურთო კლუბის „მალიორკას“ ხელმძღვანელობამ ჩოგბურთელს ვიცეპრეზიდენტის პოსტი შესთავაზა.

კლუბი, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატში ნადალის მშობლიურ კუთხეს წარმოადგენს, სტრუქტურის რეორგანიზაციით არის დაკავებული. უფრო ადრე, „დიდი სლემის“ ტურნირების რვაგზის ჩემპიონმა „მალიორკას“ აქციონერთა რიგებში შესვლის სურვილი გამოთქვა.

ნადალს ვიცეპრეზიდენტის მოვალეობების შესრულებაში ATP-ის გადატვირთული კალენდარი შეუშლის ხელს - ამ მიზეზით ის ხშირად ვერ ჩავა მშობლიურ მალიორკაზე. მიუხედავად ამისა, კლუბის მფლობელებს ეს გარემოება არ აშინებთ და ჯერ უკან არ წაუღიათ თავიანთი წინადადება.

სხვათა შორის, ნადალების ოჯახის ერთი წარმომადგენელი - რაფას ბიძა **მიხელ ანხელ ნადალი** ცოტა ხნის წინ „მალიორკას“ მთავარი მწვრთნელის **მიკაელ ლაუდრუპის** თანაშემწედ დაინიშნა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ რაფაელ ნადალი მადრიდის „რეალის“ თავგადაკლული ფანია.

# ბოლეტიერი: ფედერერის ეპოქა დასრულდა

ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა **ნიკ ბოლეტიერიმ** The Independent-ისთვის მიცემულ ინტერვიუში უიმბლდონის შედეგები შეაჯამა და პირველ რიგში, „ფედერერის ეპოქის“ დასრულებას გაუსვა ხაზი.



„ვფიქრობ, ფედერერის ხანა დასრულდა. ერთ თვეში როჯერს 29 წელი შეუსრულდება. რა თქმა უნდა, არსებობს იმის შანსი, რომ მან უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მაღალ დონეზე ითამაშოს. შესაძლოა, კიდევ მოიგოს „დიდი სლემის“ ტურნირები, მაგრამ ამის ალბათობა სულ უფრო ნაკლები ხდება. შვეიცარიელს უკვე ძალიან უჭირს, რადგან მისი სპორტული ფორმის პიკი კარგა ხანია უკან დარჩა.

რა თქმა უნდა, წელს მან ბრწყინვალე სტილში მოიგო ავსტრალიის ღია პირველობა და არ შეიძლება ეს დონე ასე უბრალოდ გაქრეს რამდენიმე თვის განმავლობაში. ფედერერის სიტყვებით, მას პრობლემები ჰქონდა ზურგთან და ფეხთან დაკავშირებით. მაგრამ უიმბლდონი - მისი ტერიტორიაა, სადაც ის მუდმივად იმარჯვებდა 2008 წლის გარდა, როცა ისტორიული ფინალი წააგო რაფაელ ნადალთან. ფედერერის სირთულეებმა და მეოთხედფინალში ტომაშ ბერდიხთან წაგებამ როჯერის დომინირების დასასრული დაგვანახვა. სწორედ ამიტომაც გახდა წლევანდელი უიმბლდონი ასეთი არაპროგნოზირებადი - ბევრს შეეძლო გამარჯვება“, - განაცხადა ბოლეტიერიმ.

მძლეოსნობა

# ბოლტი ხტომას დაიწყებს

იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი** 2016 წლის ოლიმპიადამდე არ აპირებს კარიერის დასრულებას და წინ დიდი გეგმები აქვს განსახორციელებელი. 2012 წლის ლონდონის თამაშებამდე მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი თავის ჩვეულ დისციპლინებში - 100 და 200 მეტრზე სირბილში გამოვა, ამის შემდეგ კი პროფილს შეიცვლის და სიგრძეზე ხტომაში მოსინჯავს ძალებს.

ბოლტის განცხადებით, ამპლუის შეცვლის საბოლოო გადაწყვეტილებას ის ლონდონის ოლიმპიადის დასრულების შემდეგ გამოაცხადებს. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის თქმით, თუ ის ბრიტანეთის დედაქალაქში სპრინტს მოიგებს, მაშინ გულშემატკივრებისთვის მისი გამარჯვებები უინტერესო გახდება და მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიპყრობს ფანების ყურადღებას, თუ სიგრძეზე ხტომაში დაიწყებს გამოსვლას.

ამჟამად ბოლტი შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში იმყოფება, სადაც მონაწილეობა უნდა მიიღოს „ბრილიანტის ლიგის“ მორიგ ეტაპზე - იამაიკელი 100 მეტრზე მოსინჯავს ძალებს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### ევროპის თასი

#### I საკ. ეტაპი. II მატჩები

| | |
|---|---|
| ბანანტსი-ანორთოსისი | 0:1 (0:3) |
| მეტალურგი (ს)-ყარაბახი | 1:1 (1:4) |
| ტაურასი-ლანელი | 3:2 დ.დ. (2:2) |
| მოგრენი-სანტა კოლომა | 2:0 (3:0) |
| შლიემა-შიბენიკი | 0:3 (0:0) |
| ბნეი იეჰუდა-ულისესი | 1:0 (0:0) |
| დნეპრი (მ)-ლასი | 7:1 (1:1) |
| სკონტო-პორტდაუნი | 0:1 (1:1) |
| ხაზარი-ოლიმპია | 1:1 (0:0) |
| მიუპა-ტრანს ნარვა | 5:0 (2:0) |
| დაჩა-ზეტა | 0:0 (1:1) |
| დუდელანჟი-რანდერსი | 2:1 (1:6) |
| დიორი-ნიტრა | 3:1 (2:2) |
| გეფლე-რუნავიკი | 2:1 (2:0) |
| ზალაეგერსეგი-ტირანა | 0:1 დ.დ (0:0) |
| ლუსიტანსი-რაბოტნიჩკი | 0:6 (0:5) |
| პორტ ტელბოტი-ტურკუ | 0:4 (1:3) |
| ურინსკი-ტოგოლი | 2:1 (2:1) |
| დანდალკი-გრევენმახერი | 2:1 (3:3) |
| სტეიმური-კალმარი | 0:3 (0:1) |
| გლენტორანი-რეიკიავიკი | 2:2 (0:3) |
| რუხი-შახტიორი (ჟ) | 1:0 (2:1) |
| შირ. ბრიჯი-ოლიმპია (ლ) | 3:0 (2:0) |
| ფილკირი-ტორპედო (ქ) | 1:3 (0:3) |

### ისლანდია

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-სტიარნანი | 4:0 |
| გრინდავიკი-სელფოსი | 1:1 |
| ვალური-ჰაუკარი | 2:2 |
| ვესტმანაიეარი-კეფლავიკი | 2:1 |
| ჰაფნარი-ფრამი | 4:1 |

### ჩეხეთი

#### სუპერთასი

| | |
|---|---|
| სპარტა-პლზენი | 1:0 |

### რუსეთი

| | |
|---|---|
| ნალჩიკი-ტერეკი | 2:1 |

### ლატვია

| | |
|---|---|
| მეტალურგსი-დაუგავა | 0:1 |

## ჩოგბურთი

### ATP. ნიუპორტი

| | |
|---|---|
| ბრაუნი-დაბული | 4:6, 4:6 |
| ო. როხუსი-კლაასენი | 6:1, 6:3 |

### WTA. ბასტადი

| | |
|---|---|
| საფაროვა-ბ. ზახვალოვა | 6:4, 7:6 |
| რეზაი-პარა სანტონხა | 6:1, 6:4 |
| დულკო-ვრლიჩი | 6:0, 6:0 |
| პენეტა-კრეიბასი | 6:4, 6:4 |

### WTA. ბუდაპეშტი

| | |
|---|---|
| ვინჩი-ონდრაშკოვა | 4:6, 0:6 |
| დულგერუ-ჩაკვეტაძე | 7:6, 1:6, 6:2 |
| ბაშჩინსკი-კორნე | 0:6, 4:6 |
| შავაი-მოისბურგერი | 7:5, 6:3 |
| მედინა გარიგესი-არნი | 7:5, 6:3 |

TV პროგრამა

## 9 ივლისი. პარასკევი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**07:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ბარსელონა.
**09:15** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**10:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მარსელი-რეალი.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვალენსია.
**13:50** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ინტერი-რუბინი.
**15:50** საფეხბურთო პროგრამა.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ჩელსი.
**18:10** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.
**20:00** საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
**20:45** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. დინამო-ბარსელონა.
**22:35** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. მარსელი-ლიონი.
**00:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ჰამბურგი.
**02:10** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ვალენსია.
**04:00** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-მილანი.
**05:45** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლილი.

### EUROSPORT

**10:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**11:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. V ეტაპი. ეპერნე-მონტარჟი.
**12:40** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**12:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**13:15** ჩოგბურთი.
**14:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**15:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი.
**16:10** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**16:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ეტაპი. მონტარჟი-გენიონი (LIVE).
**19:30** ტამესივარი (ნივთების მსხვრევა). მსოფლიოს ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
**20:00** ჩოგბურთი.
**21:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ეტაპი. მონტარჟი-გენიონი.
**22:00** ახალი ამბები.
**22:05** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**22:40** ახალი ამბები.
**22:45** პოკერი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ევიანი.
**00:30** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
**01:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**01:55** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**02:00** ალპინიზმი. ევროპის ჩემპიონატი. ობერსაქსენი. შვეიცარია.
**02:30** ტამესივარი (ნივთების მსხვრევა). მსოფლიოს ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
**03:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

ამბები

## მოტორბოლა

### როსი დაბრუნებისთვის მზადაა

იტალიელი **ვალენტინო როსი** სრულად გამოჯანმრთელდა და ფეხის მოტეხვიდან ერთი თვის თავზე ტრასაზე დაბრუნდა.

მოტოგრან-პრიში მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა უკვე ივარჯიშა იტალიური მიზანოს ავტოდრომზე. ვარაუდობდნენ, რომ როსის დაახლოებით ნახევარი წელი მკურნალობა დასჭირდებოდა, ახლა კი ირკვევა, რომ ვალენტინო 15 აგვისტოს, ჩეხეთის გრან-პრიზე გამოსვლას შეძლებს.

## ჰოკეი

### ბაფალომ ვეტერანი დაიმატა

„ბაფალო სეიბრზმა“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა ვეტერან ფორვარდ **რობ ნიდერმაიერთან**. 35 წლის ჰოკეისტი ახალ კლუბში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

კარიერის განმავლობაში ნიდერმაიერს NHL-ის ოთხ კლუბში უთამაშია - „ფლორიდაში“, „კალგარიში“, „ანაჰაიმსა“ და „ნიუ ჯერსიში“. ამ დროის განმავლობაში მან 1082 მატჩი ჩაატარა და 450 ქულა (181+269) დააგროვა. რობი „ანაჰაიმის“ რიგებში სტენლის თასის მფლობელი გახდა.

## კრივი

### პაკიაო ტესტებს დათანხმდა

ფილიპინელი **მენი პაკიაოს** პრომოუტერმა **ბობ არუმმა** განაცხადა, რომ მისი კლიენტი მზად არის გაიაროს შემთხვევითი დოპინგ-ტესტები ამერიკელ **ფლოიდ მეივეზერთან** შესახვედრად.

ახლა არუმი მეივეზერის პასუხს ელოდება - თუ ფილიპინელი ამერიკელის ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებს, მაშინ საკრივო სამყაროში ყველაზე სასურველი ბრძოლა ამა წლის შემოდგომაზე უნდა გაიმართოს. შეხვედრის სავარაუდო თარიღად 13 ნოემბერი სახელდება.

## ველოსპორტი

### ტურ დე ფრანსი 2010

#### IV ეტაპი. კამბრე-რეიმსი (153 კმ)

1. **ალესანდრო პეტაკი** (იტა, Lampre) - 3.34,55; 2. **ჯულიან დინი** (ახ. ზელ, Garmin) - იგივე დრო; 3. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, Team Sky) - იგივე დრო; 4. **რობი მაკიუენი** (ავსტრა, Team Katusha) - იგივე დრო; 5. **რობერტ ჰანტერი** (ს. აფრ, Garmin) - იგივე დრო; 6. **სებასტიან ტურგო** (საფ, Bbox Telecom) - იგივე დრო...

#### საერთო ჩათვლა

1. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, SaxoBank) - 18.28,55; 2. **ჯერეინტ ტომასი** (ბრიტ, Team Sky) - +0,23; 3. **კადელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,39; 4. **რაიდერ ჰეშედალი** (კან, Garmin) - +0,46; 5. **სილვენ შავანელი** (საფ, Quick Step) - +1,01; 6. **ანდი შლეკი** (შვეიც, Team SaxoBank) - +1,09; 7. **ტორ ჰუშოვდი** (ნორ, Cervelo TestTeam) - +1,19; 8. **ალექსანდრ ვინოკუროვი** (ყაზ, Astana) - +1,31; 9. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, Astana) - +1,40... 18. **ლენს არმსტრონგი** (აშშ, RadioShack) - +2,30... 24. **ლევი ლაიპჰაიმერი** (აშშ, RadioShack) - +2,53... 48. **კარლოს სასტრე** (ესპ, Cervelo TestTeam) - +3:19... 49. **ივან ბასო** (იტა, Liquigas) - +3:20...

ეროვნული ბიბლიოთეკა





# სუზანა ვერნერის მეორე ცდა

1998 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ ბრაზილიაში არ ცხოვრობდა სუზანა ვერნერზე საძულველი ადამიანი, რომელსაც უხამსობაში, ვერაგობასა და სამშობლოს ღალატში ადანაშაულებდნენ. და აი, 12 წლის შემდეგ სუზანას სახელი ისევ ყველას პირზე აკერია. თუმცა ახლა, ნაკრების პირველი მეკარის ჟულიო სეზარის მეუღლეს დითირამბებს უძღვნიან და მას „მსოფლიოში საუკეთესო ცოლს" უწოდებენ. თუმცა ახლა, ჰოლანდიასთან წაგების შემდეგ, სახალხო სიყვარულს კიდევ ერთი გამოცდის ჩაბარება მოუწევს.

15 წლის წინ, რიოში შოკოლადისფერ ბრაზილიელ ქალებს შორის გრძელფეხება, ქერათმიანი გოგონა გამოჩნდა, სახელად **სუზანა ვერნერი**. თავისი ევროპული გარეგნობა მას წარმოშობით გერმანელი წინაპრებისგან ერგო. უცხო იერისა და შესანიშნავი პარამეტრების გამო ვერნერმა საკმაოდ ადრეულ ასაკში მიიღო სამუშაო პრესტიჟულ სამოდელო სააგენტოში და თავით გადაეშვა ღამის გიჟურ ცხოვრებაში. იმ პერიოდში ცნობილი ბრაზილიელები ძირითადად „მარაკეშის" ღამის კლუბში იკრიბებოდნენ, სადაც ყველაზე იაფი შამპანურის ფასი 900 დოლარი იყო, ხოლო იქაურ გოგონასთან ღამის გატარება 2 ათასი დოლარი ღირდა. გასაგებია, რომ საფეხბურთო ვარსკვლავებს, რომლებიც ფუტკრებივით ეხვეოდნენ კლუბს, შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ სუზანას გამოჩენა. „გერმანელზე" ნამდვილი ნადირობა გამოცხადდა, რომელშიც თითქმის მთელმა ბრაზილიის ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა. მაგრამ ვერნერმა ყველა მოიშორა თავიდან, რის გამოც რასიზმში დაადანაშაულეს - აქაოდა, შავკანიანებსა და მულატებს სრულ იგნორირებას უკეთებსო. სინამდვილეში, სუზანას არ უნდოდა დაოჯახებულ მამაკაცებთან საქმის დაჭერა და როცა „მარაკეშში" ევროპიდან დასასვენებლად დაბრუნებულმა მარტოხელა **რონალდომ** შეიხედა, მოუხელთებელი სუზანა მაშინვე მოლბა. ბავშვობიდან ქერათმიანებზე შეშლილმა ფეხბურთელმა მაშინვე აურია გონება ვერნერს. გაცნობიდან რამდენიმე საათის შემდეგ სუზანა ფეხბურთელის ბინაში აღმოჩნდა, საიდანაც ახალი „რონალდინიას" სტატუსით გამოვიდა - ის ბრაზილიაში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის ოფიციალური შეყვარებული გახდა.

■ ■ ■

ეს ორმხრივად სასარგებლო ალიანსი აღმოჩნდა. ბრაზილიის ერთ-ერთ ულამაზეს გოგონასთან რომანმა რონალდო სექსსიმბოლოდ აქცია და ახალი სარეკლამო კონტრაქტებიც მოუტანა. სუზანამ კი საქვეყნო პოპულარობის გარდა, „საპნის ოპერებში" გადაღების საშუალება მიიღო. მაგრამ ამასთან, ეს მეტად უცნაური კავშირი იყო. მუდმივი გადაღებებისა და მატჩების გამო, შეყვარებულები წელიწადში ორი თვე ხვდებოდნენ ერთმანეთს. დანარჩენ დროს კი სუზანასა და რონალდოს შორის ერთგვარი შეჯიბრება მიმდინარეობდა: ვინ უფრო მეტჯერ უღალატებდა შეყვარებულს. როგორც კი ვერნერი გაიგებდა, რომ წინა დღეს მისმა ბოიფრენდმა ლამე მილანის ერთ-ერთ ბარში გაცნობილ გოგონასთან დაატარა, ის მაშინვე იწვევდა შინ რომელიმე მანეკენ მამაკაცს. ისინი არათუ ეჭვიანობდნენ ერთმანეთზე, პირიქით, მიიჩნევნენ, რომ ურთიერთღალატი ცხოვრებას უფრო საინტერესოს ხდიდა.

პრესამ დიდი ენთუზიაზმით აცნობა მკითხველს რონალდოსა და **ანა კურნიკოვას** პაემანის შესახებ, რასაც სუზანამ ცნობილი ტელეჟურნალისტის **პედრო ვიალას** შეცდენით უპასუხა - ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჟურნალისტი ქალთან ინტერვიუს ასაღებად მივიდა და მის ნომერში მთელი ღამით დარჩა...

მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ რონალდოს ისე მოუნდებოდა სექსი, რომ ნაკრების ბაზიდან შეყვარებულის სანახავად გაიქცეოდა, სუზანას კი ნომერში სხვა კაცი ეყოლებოდა... ფეხბურთელს სკანდალი არ აუტეხავს, უბრალოდ დატოვა ნომერი და ბაზაზე დაბრუნდა, სადაც რამდენიმე საათში დაემართა საქვეყნოდ ცნობილი ეპილეფტიკური შეტევა. მართალია, ამის შემდეგ მსოფლიო პრესაში მომხდარის მრავალი ვერსია წარმოიშვა (ტკივილგამაყუჩებლების ზედმეტი დოზა, ვახშამზე მოწამვლა და ა. შ.), მაგრამ ბრაზილიურმა ერმა ფინალში რონალდოს ცუდი თამაში სწორედ სუზანას დააბრალა.

რონალდოს შეიძლება ეპატიებინა ღალატი, მაგრამ მის გარშემო მოტრიალე აგენტებმა და სპონსორებმა მოღალატესთან ურთიერთობის გაწყვეტა მოითხოვეს. რონალდომ დათმო: ფინალიდან ნახევარი წლის შემდეგ ფეხბურთელმა ვერნერთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. ის დიდი ხანი არ ყოფილა მარტო - მალე აგენტებმა სრულიად ნორჩი **მილენა დომინგეში** უპოვეს, რომელიც სხვა ღირსებებთან ერთად პროფესიული ფეხბურთელიც იყო.

სუზანას კი გაყრის შემდეგ პრობლემები დაეწყო. რონალდომ არ მოისურვა მოღალატესთან ერთ ქალაქში ცხოვრება და „ინტერის" მეპატრონე **მასიმო მორატის** „შეუტია", მან თავის მხრივ **ჯორჯო არმანი** შეაწუხა და მალე სუზანას სამოდელო კონტრაქტი გაუქმდა. საბრალო გოგონას სამშობლოში დაბრუნებამ მოუწია და ნაცნობი ხერხით დაივიწყა რონალდო - არყის კოქტეილი და ყოველდღე ახალი მამაკაცი.

იმ წლებში, როცა რონალდოსა და „გერმანელს" „აწყვეტილი" ჰქონდათ, რიოში კარიერას იწყებდა **ჟულიო სეზარ სოარეშ ესპინდოლა**. ბავშვობაში თავისი საფეხბურთო შესაძლებლობების სალად შეფასების შემდეგ, ჟულიომ მეკარეობა გადაწყვიტა, რის გამოც ნათესავებისა და თანაკლასელების დაცინვის საგანი გახდა. იმ დროს ბრაზილიაში მეკარეობა მენაგვისა და რეკლამის გამავრცელებლის პროფესიასთან ერთად სამ ყველაზე „პრესტიჟულ" საქმიანობას განეკუთვნებოდა. მაგრამ საბედნიეროდ, მეთევზე წინაპრებისგან ჟულიო სეზარს აუღელვებელი ხასიათი და მოთმინების უნარი ერგო, რისი წყალობითაც გმირულად იტანდა დაცინვას და ყოველდღიურად 10-12 საათი ვარჯიშობდა. საქმისადმი ამგვარი მიდგომით ის 20 წლის ასაკში „ფლამენგოსა" და ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი მეკარე გახდა. ორი წლის შემდეგ კი „ადამიანმა-კლდემ" მილანის „ინტერიდან" მიწვევა მიიღო.

იტალიური კონტრაქტის აღნიშვნა ერთ-ერთ ღამის კლუბში გადაწყვიტეს, სადაც იმ საღამოს თავის მეგობრებთან ერთად სრულიად შემთხვევით სუზანა ვერნერი ერთობოდა. დანარჩენი ძალიან მარტივი იყო: მეკარეს ერთი ნახვით შეუყვარდა ქერათმიანი ქალი. ერთი პორცია ვისკის მიღების შემდეგ გათამამდა და საცეკვაოდ გაიწვია „გერმანელი". იმის გამო, რომ ჟულიო სეზარი ერიდებოდა ღამის კლუბებს, არ კითხულობდა ტაბლოიდებს და იშვიათად უყურებდა ტელევიზორს, მან თავის ახალ ნაცნობში ყოფილი „რონალდინია" ვერ ამოიცნო. რა თქმა უნდა, ვერც სუზანამ იცნო ბრაზილიის ყველაზე ნიჭიერი მეკარე. თავიდან გოგონა ფიქრობდა, რომ მათი ნაცნობობა ერთი ღამით შემოიფარგლებოდა, მაგრამ ყურებამდე შეყვარებულ ჟულიო სეზარს სულ სხვა გეგმები ჰქონდა. სუზანას სკანდალურ წარსულს ის არ შეუშინებია. მთელი წელი დასდევდა გოგონას, ყოველდღე ყვითელი ვარდების თაიგულს უგზავნიდა, სასიყვარულო ბალადებს თხზავდა და კონცენტებსა და თეატრებში დაატარებდა. ამით მეკარე ძალიან განსხვავდებოდა რონალდოსგან, რომელიც არც კითხულობდა, არც წერდა და არც სიმღერებს ასრულებდა - სექსის გარდა მისი ერთადერთი გასართობი კომპიუტერული თამაშები იყო. და 2002 წლის ზაფხულში სუზანა დანებდა - მან ჟულიოსგან მოკრძალებული, ორკარატიანი საქორწილო ბეჭედი მიიღო.

■ ■ ■

როცა ჟულიომ მეგობრებსა და ახლობლებს ნიშნობის შესახებ შეატყობინა, მათ მეტად მტკივნეულად მიიღეს ახალი ამბავი. *„რაში გჭირდება ეს ბოზი?"*, - წამოიყვირა დედამისმა. *„ასეთი ჩამოფასებული საქონლით საკუთარ თავს პატივს არ სცემ!"* - დაამატა ფეხბურთელის ძმამ - პროფესიით ვაჭარმა. ჟულიო მიხვდა, რომ სამშობლოში არ მოასვენებდნენ და შეყვარებულთან ერთად იტალიაში გაემგზავრა, სადაც დაარეგრისტრირა კიდეც ქორწინება.

თავიდან ახალდაქორწინებულებს აპენინებზე გაუჭირდათ. ჟულიო სეზარი მყარად დაჯდა სათადარიგოთა სკამზე, სამოდელო სახლები კი უარს ეუბნებოდნენ ერთ დროს არმანის მიერ დაწუნებულ გოგონას. მაგრამ ცოტა ხანში სუზანას სამუშაოსთვის აღარ ეცალა - ის დაფეხმძიმდა. მათი პირველი შვილი (ვაჟი) კიევოში დაიბადა, სადაც „ინტერმა" მეკარე არენდით გაუშვა სათამაშოდ. ამ პროვინციიდან სეზარი მილანში ძირითადი მეკარის სტატუსით თუ არა, ცნობილი **ტოლდოს** შემცვლელის რანგში დაბრუნდა. მეუღლეები პირდაპირ „სან სიროს" სტადიონის წინ, 300-მეტრიან მდიდრულ პენტჰაუსში დასახლდნენ.

აი ასე წარმატებით დასრულდა სუზანას მეორე მცდელობა, საფეხბურთო ვარსკვლავის ცოლი გამხდარიყო. ყოფილი ქარაფშუტა გოგონა, რომლის ხელშიც ორასამდე მამაკაცს გაუვლია, იდეალურ მეუღლედ იქცა. ის დიასახლისია და ამასთან, კვლავ რჩება სექსუალურ ქალად, რომელიც დღემდე აღძრავს მამაკაცებში უდიდეს სურვილს. ამბობენ, რომ „ინტერის" მთელი შემადგენლობიდან ჟულიო სეზარი ერთადერთია, ვისაც ცოლისთვის არ უღალატია. და გასაკვირი არ არის, რომ ასეთი ზურგით ჟულიო ერთ-ერთი უძლიერესი მეკარე გახდა პლანეტაზე. თუმცა ერთგულებამ და წესიერებამ მეკარე ჰოლანდიის ნაკრებთან წაგებას ვერ გადაარჩინა.

**გია თვალაბეიშვილი**

9 ივლისიდან




რუსეთის დაზვერვის მორიგი მარცხი

რუსეთის სახარგებლოდ ჯაშუშობაში აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თერთმეტი ეჭვმიტანილი დააკავა. ეს შემთხვევა სპეცსამსახურების ისტორიასა და პრაქტიკაში უნიკალურია სამი გარემოების გამო...

ამჟამად დასტურდება ის ვარაუდი, რომ ეს ჯაშუშური ოპერაცია რუსეთის საგარეო დაზვერვის გრძელვადიანი პროექტი იყო და ითვალისწინებდა აგენტების ღრმად ჩანერგვის მიზნით ჯაშუშური ოჯახური წყვილების შექმნას ამერიკის ტერიტორიაზე.

...სრულად იხილეთ ჟურნალში

- მილიონერების მფრინავი სათამაშოები
- ნივთიერებები, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო...
- როგორ ესროლა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტა... საბჭოთა კავშირს
- ირანი საზღვაო ომისთვის ემზადება

ყველაზე კაცური ჟურნალი
არა მარტო მამაკაცებისთვის